

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება-საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ბ ი თ ხ ი
A R C H E I O N

III

ბათუმი 2012 Batumi

სარედაქციო საბჭო:

თენგიზ ცინცქილაძე - აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)

თამაზ ფუტკარაძე – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასშედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (რედაქტორი)

თეონა იაშვილი - ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი

სანდო ბერიძე - აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე

ნარგიზ ბასილაძე - აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე

ელგუჯა ჩაგანავა – აჭარის არ საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსი

მაია რურუა – ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი

ფრიდონ ქარდავა - საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასშედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

მარიანა პისკოვა - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის (ბულგარეთი) პროფესორი

ნურიე მურატოვა - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის (ბულგარეთი) პროფესორი

მერაბ კევაძე - ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი

Editorial Board

Tengiz Tsintskiladze – Head of Ajara AR – Archives Administration (chairman of editorial board)

Tamaz Putkaradze – head of foreign, public, media relations and publication and utilization department, doctor of science, associate professor (editor)

Teona Iashvili – General Director of National Archives

Sandro Beridze – Deputy chief of Ajara AR - Archives Administration

Nargiz Basiladze - Deputy chief of Ajara AR - Archives Administration

Elguja Chaganava - head of office of Archives Administration

Maia Rurua – Archives Administration, Head of national archival fund's registration and scientific-informational department

Fridon Kardava – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department

Mariana Piskova – Professor of Neofit – Rilski University (Bulgaria)

Nurie Muratova – Professor of Neofit – Rilski University (Bulgaria)

Merab Kezvedadze – Director of Kutaisi Central Archives

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დანესტებულება – საარქივო სამმართველო 2012 წ

გამოცემლობა „ანისალი“, 2012

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

**თამაზ გუბერნატორი
ნატო ქიქავა**

**საარქივო სამმართველოს სათავეებთან
(წარითხული 2012 წლის 2 მარტს არქივისტის დღისადმი მიძღვნილ III
სამუცნიერო კონფერენციაზე)**

საარქივო საქმე სახელმწიფო მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ ინტერესებს, წინაპრების დოკუმენტური მეხსიერების დაცვას. ქველ საქართველოში დოკუმენტებს ინახავდნენ ეკლესიებში და სასახლის კარზე. მე-18 საუკუნეში იქმნება საქციალური დაწესებულება – დავთარხანა.

XVI-XIX ს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში საარქივო საგანძურს ისტორიული ბედუკულმართობის გამო მიადგა მნიშვნელოვანი ზარალი. დოკუმენტების ნაწილი დაზიანდა ან დაიტაცეს. 1878 წ. 20 აგვისტოს ქუთაისში, თურქეთის კომისარებთან დადებული პირობების მიხედვით ბათუმისა და ბათუმის ოლქის შესახებ არსებული დოკუმენტები უნდა დარჩენილიყო ადგილზე და გადასცემოდა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ეს პირობები დაირღვა. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მათი დიდი ნაწილი თურქებმა გაიტაცეს, ნაწილი პეტერბურგში იგზავნებოდა, ადგილზე დარჩენილი დოკუმენტები კი ნადგურდებოდა და ნიავდებოდა, რადგან ვერ მოხერხდა დოკუმენტებისათვის შესაფერისი ფართის გამონახვა. ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მცდელობის მიუხედავად პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. ბათუმის სამხედრო კომისრის ქადენტის წერილიდან ირკვევა, რომ ბათუმის სამხედრო კომისარიატში შექმნილა დროებითი კომისია სამხედრო-ისტორიული მასალების შეგროვებისა და კლასიფიკაციისათვის. სამხედრო კომისარი ითხოვს მკაცრი ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნება აცილებული დოკუმენტების „დატაცება და გაფუჭება“. ამ მიზნით ადრიცხვაზე უნდა აეყვანათ არსებული დოკუმენტები და საუწყებო არქივები გადასულიყო დროებითი კომისიის განკარგულებაში.

„საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს რევკომის 1921 წლის დეკრეტის საფუძველზე აჭარაში დაიწყო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა. მოგვიანებით, 1923 წ. 11 აპრილს მიღებული იქნა გადაწყვეტილება განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილიყო საარქივო განყოფილება. ეს დღე უნდა ჩაითვალოს აჭარაში საარქივო დაწესებულების დაბადების დღე. აჭარის ცხა ჩამოყალიბდა ქალაქის მმართველობის არქივის ბაზაზე. ამ დროიდან მოყოლებული სისტემატურად იკრიბებოდა სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, წარმოება-დაწესებულებების, უწყებების დოკუმენტური მასალები. „საარქივო აპარატის შექმნის გეგმა“ ითვალისწინებდა საარქივო დოკუმენტების თავმოყრას ერთ დაწესებულებაში (ასსც, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გააჭირდა მანამდე არსებული დოკუმენტების მოძიების პროცესი. გადაწყდა „სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივების ერთ არქივში მოგროვება“. დადგინდა, რომ „დაახლოებებით ყველა ბათომის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება წონით: а) კომუნალურ მეურნეობაში - არანაკლებ 600 ფუთი; ბ) ცენტროსოიუზის სარდაფში - 500 ფუთი; გ) სახალხო ბანკის სარდაფში - 400 ფუთი; გ)“

მე-2 ქალ. საავადმყოფოში - 15 ფუთი; დ) ბათომის საბაჟოში - 400 ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში - 50 ფუთი; ქ) ბურუნგრაბიის საწყობში - 100 ფუთი; სულ 2200 ფუთამდე. ამის გადატანას მოუნდება 40-45 - მდე ერთი ცხენი დროვი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა. დღეში 1 ლირა თითო მუშას), სულ არქივის გადატანას დაჭირდება 100 ლირამდე (აცხა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გეგმა ითვალისწინებდა არქივისათვის „ერთ დღი თოას საწყობისათვის არანაკლებ 15X15 არშ., ერთ პატარა ოთახს 5X5 არშ. კანცელარიისა და სამუშაოებისათვის”, ასევე 4-იარუსიან თაროებს, რომელთა საერთო სიგრძე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 100 მეტრი (ასხა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). საარქივო მმართველობის მთავარი გამგის ს. კაკაბაძის N109 წერილიდან (1923 წ. თებერვალი) ირკვევა, რომ აჭარაში საარქივო დოკუმენტების განთავსების საკითხი რწმუნებულ გიორგი ფურცელაძის უანგარო, უხელფასო მუშაობის მიუხედავად ჯერ კიდევ მოუგარებელია, რომ „დოკუმენტებისათვის გამოყოფილი ერთი ოთახიც კი დააცლევინა კომუნალური მეურნეობის გამგებ” და საარქივო საქმეები გადაიტანეს სარდაფში (ასხა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). მანამდე, 1921 წ. ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოაჩინეს დოკუმენტების გროვა. ასეთივე გროვა აღმოჩნდა 1923 წელსაც (ასხა, ფ. 89, ან. (7)1, ს. (72 ბ) 253. მ. თავაძის სადიპლომო ნაშრომი)



**ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოჩენილი დოკუმენტების
გროვა 1921 და 1923 წლებში.**

აუცილებელი გახდა მათი განთაგსება ახალ შენობაში. საარქივო მმართველობის მთავარი გამგე აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა, რათა მიღებულიყო „ზომები, რომ საარქივო საქმეს ბათომსა და აჭარაში არ ეძლეოდეს ზიანი, რომლის გამოსწორება, თუ მას საქმეების დაღუპვა მოყვა, მომავალში შეუძლებელი იქნებოდა”. ს. კაკაბაძე აჭარის ასსრ - ის სახელმწიფო თავმჯდომარეს თხოვდა დახმარებას, რათა საარქივო დოკუმენტებისათვის ბათუმში გამოყოფილიყო „შესაფერისი ბინა და თუ ეს ამ მოკლე ხანში შეუძლებელი იყო, საჩქაროდ დაბრუნებოდა მას ფართი წინანდელი კომუნალური მეურნეობის შენობაში, მომავალში კი მოპოვებულიყო უფრო ფართე ბინა” (ასხა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). ბათუმში - მთავარი საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გიორგი ფურცელაძის 1923 წ. 9 მარტის მოხსენებიდან ირკვევა, რომ საარქივო დოკუმენტები მიმობნეული იყო ქალაქის სხვა-

დასხვა დაწესებულებებში, კერძოდ: „1: ბათომის სამხედრო გუბერნატორის, საპოლიციო, ქალაქ ბათომის თვითმმართველობის, ტრაპეზონის და ბაქოს სამხედრო რეინის გზების, - მოთავსებულია კომუნალური მეურნეობის შენობაში, ქვედა სარდაფში; 2: სასამართლოს პალატის და ოლქის სასამართლოს, რომელიც თბილისიდან აქ არის ჩამოტანილი, მოთავსებულია „ცენტროსოიუზის” შენობაში, ქვედა სარდაფში. 3. დანარჩენი ამიერკავკასიის, რუსეთ-აზიის და კავკასიის ბანკების - მოთავსებულია ეხლანდელი სახალხო ბანკის შენობაში, ქვედა სარდაფში 4. ბათომის საბაჟოს არქივი მოთავსებულია ბათომის საბაჟოს საკუთარ შენობაში, პატარა ოთახში 5. ამის გარდა არის მცირე არქივი სასანიტარო დაწესებულებების, რომელიც მოთავსებულია მე-2 ქალ. საავადმყოფოში 6. ციხესიმაგრის საინჟინერო არქივი - ინახება ფოსტ. „ბურუნტაბიის” საწყობში” (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). რწმუნებული შემფოთებულია იმის გამო, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ დაწესებულებაში დგება წყალი, „ქალალდები დანოტვილი და გამწვანებულია” და ოუ შესაფერისი ფართი არ გამოინახა დოკუმენტებისათვის, ისინი „სრულებით გამოუსადეგარი იქნება არქივის მასალათ” (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). ასეთ შემთხვევაში გიორგი ფურცელაძე მიზანშეწონილად მიიჩნევდა „გადარჩეულიყო საქმეები და ცენტრში გადაგზავნილიყო”, რათა შესაძლებელი ყოფილიყო „დაღუპვის გზას მყოფი მთელი საარქივო მასალის” გადარჩენა (ასსცა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 167).

მალე, არქივისათვის გამოიყო სათავსო ქალაქის საბჭოს შენობაში, თუმცა იგი იყო ბნელი, ნებსტიანი. წვიმის დროს დგებოდა წყალი, ნადგურდებოდა დოკუმენტები. ამიტომ აუცილებელი გახდა სხვა შენობის მოძიება, რასაც რამდენიმე წელი დაჭირდა. მოგვიანებით, საარქივო დოკუმენტების განთავსებისათვის ლიკვიდირებული ლომბარდის შენობაში (ინფორმაციის დაზუსტებასა და დახმრებისათვის ელგუჯა ჩაგანაგას და მაია რურუას მაღლობას მოგახსენებთ) გამოყოფილი იქნა 3 ოთახი და ერთი დერეფანი, თუმცა, შემდეგში მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ქალაქის არქიტექტორმა უფლება არ მისცა საცავში განეთავსებინათ ორ სტელაზე მეტი, რადგან შენობის იატაკი მეტ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ამიტომ დოკუმენტების ნაწილი ისევ სარდაფში განათავსეს. ცხადია, აღნიშნული შენობა ვერ აქმაყოფილებდა დოკუმენტსაცავისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. საკითხის მოსაგვარებლად განათლების სახ. კომისარიატიდან კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის სახელზე გაიგზავნა წერილი. ავტორი ს. რეშიდი ითხოვდა არქივისათვის შენობის შეღავათიან პირობებში გადაცემას. პარტკომის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა არქივისათვის გადაეცათ ყოფილი „სამხედრო სობორის” შენობა. ამ შუამდგომლობას ეთანხმება კომუნალური მეურნეობის მმართველიც.



ლიკვიდირებული ლომბარდი



სამხედრო ტაძარი

ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან ჯერ ერთი, როგორც ჩანს მაშინ ვე მტკიცედ იყო გადაწყვეტილი მისი დანგრევა, ამასთან, იმუამად სამხედრო ტაძარში მუზეუმი იყო განთავსებული. არქივის მმართველის პროფესორ სპილიოტტისადმი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის 1928 წ. 13 ოქტომბრის წერილში აღნიშნულია, რომ „სობორის გათავისუფლებამდე არქივი გადაეტანათ ოთახებში, სადაც ადრე მოთავსებული იყო განათლების სახალხო კომისარიატი”. მალე დოკუმენტები დროებით განათავსეს ორჯონიჯიძის და პიონერის ქუჩების კვეთაში მდებარე ახალ შენობაში.



17 წლის განმავლობაში არქივმა 10-ჯერ შეიცვალა აღგილი. საარქივო მასალების გადატანისას არაერთი დოკუმენტი განადგურდა. 1936 წლიდან არქივმა ბინა დაიდო ლიბკნეხტის N 44-ში (ახლ. მაზნიაშვილის ქუჩა) მდებარე ბინიათ ოფიციულ სახლში, არქიტექტორთა კავშირის ყოფილ სასტუმროში (ე. წ. სოკოს შენობა), ხოლო 1938 წ. 14 დეკემბერს საარქივო დოკუმენტები გადაიტანეს კათოლიკური ეკლესიის შენობაში (შაუმიანის, ეხლ. დიმიტრი თავდადებულის 53).



სოკოს სახლი



კათოლიკური ეკლესია

1962 წ. გადაწყდა არქივისათვის სპეციალური შენობის აშენება. გამოუყეს მიწა გორგის, ეხლ. გორგილაძის ქუჩის ბოლოში, შემუშავდა შესაბამისი პროექტი, რომლის საფუძველზეც აშენებული იქნა არქივის სამსართულიანი შენობა,



სახელმწიფო არქივი



დოკუმენტების მიღება



სამშენებლო სამუშაოები



სახელმწიფო არქივი

მაგრამ ეს შენობა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, არ იყო გათვალისწინებული საარქივო დაწესებულების სპეცი-

ფიკა, არ არსებობდა დოკუმენტების მოვლა – შენახვისათვის საჭირო პირობები, ამიტომ 1968 წ. დაიწყეს საარქივო დაწესებულებისთვის ახალი, 6 სართულიანი შენობის მშენებლობა, თუმცა იგი დროში გაიწელა და ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ 1992 წელს.

2011 წლის სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე საარქივო სამმართველოს აღმინისტრაციული შენობა ქალქის უსახურ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნებოდა:



საარქივო სამმართველო



სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე

2011 წ. ოქტომბერ-დეკემბერში ამ შენობას ჩაურატდა სარემონტო სამუშაოები, ფაქტიურად მწყობრში ჩადგა ახალი შენობა. საარქივო სამმართველო აღიჭურვა თანამედროვე საოფისე ავეჯით და კომპიუტერული ტექნიკით.



საარქივო სამმართველო სარემონტო



სამუშაოების დასრულების შემდეგ

შეკეთდა და კეთილმოეწყო სამუშაო ოთახები, კანცელარია და სამკითხველო დარბაზი.



სამკითხველო დარბაზი

დღეისათვის საარქივო სამმართველოს შენობა ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, ლამაზი და კეთილმოწყობილი საარქივო დაწესებულებაა საქართველოში. მასში დაცულია 1648 ფონდის 564870 საქმეთა ერთეული. არქივის ფონდსაცავებში დაცული დოკუმენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი), ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166-167.
2. ასსცა, ფ. 89, ან. (7)1, ს. 72 პ. მ. თავაძის სადიპლომო ნაშრომი
3. ასსცა, ფოტოდოკუმენტები

Tamaz Putkaradze, Nato Kikava

Sources of Archives Administration

Summary

The archival work is of the most important branch of state importance. It serves county's political, economical, scientific and cultural interests, and also protection of ancestors documentary memory. In the article according to archival data is discussed about main issues of Ajara archival institution history since its foundation.

ქუთავის იურიდიკული მუზეუმი

აზხაზები აჟარაში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლი XIX ს. მეორე ნახევრიდან იქცა ინტენსიური სამეურნეო და ეკონომიკური ათვისების ზონად. ხელსაყრელმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა, ბათუმის საპორტო ქალაქად ქცევამ ხელი შეუწყო რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებას, მიიზიდა მოსახლეობის ფართო ფენები. ყოველივე ამან განაპირობა მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. დღეისათვის ბათუმში ქართველების გვერდით ცხოვრობენ: რუსები, ებრაელები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები და სხვა ერის წარმომადგენლები. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ აფხაზებს. აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მეტად საინტერესო მონაცემები, რომლებიც ასახავენ აფხაზთა აჭარაში დამკვიდრების ისტორიას, მრავლადაა დოკუმენტური წეროები აფხაზთა რაოდენობის, გვარობრივი შემაღებლობის, მუჭაჯირობის, განსახლების საკისთან დაკავშირებით. აღნიშნულ თემაზე დაიწერა არა ერთი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი, ფუნდამენტალური გამოკვლევები. ზოგიერთ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები საჭიროებენ დაზუსტებას, ნაწილი კი აშკარად ტენდენციურ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთი ასეთი ავტორია თემიურაზ აჩუგბა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ბათუმში, სამეცნიერო კალეგით ინსტიტუტში. მოგვიანებით იგი გახდა სეპარატისტული აფხაზეთის პარლამენტის წევრი და ანტიქართული მოძრაობის ერთერთ ლიდერად მოგვევლინა. ბოლო პერიოდში აფხაზეთში გამოცემულ წიგნში მან სამურზაუანოელები (გალის რაიონი) აფხაზებად გამოაცხადა (მსგავსი მოსაზრებები ქართველებთან მიმართებაში გამოხატულია თურქულ ისტორიოგრაფიაში, სადაც ქართველები მოიაზრებიან თურქული მოდგმის ყივჩადების შთამომავლებად). ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკური ჯგუფის ისტორიის ობიექტურ შესწავლას, მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავებას, რათა არ იქნეს დაშვებული ისეთი შეცდომები, რომელთაც შესაძლოა მოჰყვეს გამოუხატორებელი შედეგები.

საქართველო, როგორც პოლიეტნიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სტრატეგიული ქვეყანა, ყოველთვის იდგა ეთნოკონფლიქტების გადვიფების საშიშროების წინაშე. ანტიქართული დემოგრაფიული პოლიტიკის წყალობით იმპერიის ხელისუფლებამ შეძლო საქართველოს სასაზღვრო ზოლში ინოეთნიკური ჯგუფების დამკვიდრება, თანაც ეს კეთდებოდა შეფარულად, ეშმაკური პოლიტიკის გამოყენებით, ისე, რომ ამა თუ იმ უცხოეთნიკური ჯგუფის კომპაქტური დასახლება ტერიტორიულად ესაზღვრებოდა მისივე ეთნოსით დასახლებულ სხვა სახელმწიფოს. ასე შეიქმნა ინოეთნიკური ჯგუფების „მიკრო კუნძულები“ საქართველოს თითქმის მთელი სასაზღვრო ზოლის გაყოლებით, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში-სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე - ლექების, პანგისის ხეობაში-ჩეჩენეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე-ქისტების, სამაჩაბლოში-ჩრდილოეთ ოსეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე - ოსების კომპაქტური დასახლებები.

საქართველოს განუყოფელი ნაწილი-აფხაზეთი, დღეს რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებულია დამოუკიდებელ რესპუბლიკად. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები სპეციფიკურობით ხასიათდება. მასში მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი, მაგრამ ყოველგვარი შეფარვის გარეშე მოქმედებს გარეშე ძალა-ერთის მხრივ თავად რუსული სახელმწიფო მანქანა, მეორეს მხრივ კაზაკები, ჩრდილო კავკასიელი ბოევიები თუ სხვა ჯგუფები. აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში ჩაბმული აღმოჩნდნენ ჩეჩენებიც, რამაც თავის დროზე საქართველოს ახალი სირთულეები შეუქმნა.

ადნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიზნშეწონილად მიგგაჩნია წარმოვაჩინოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ეთნიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. რასაკვირველია, წინა პლაზე უნდა წამოიწოს ისეთი მოვლენები, რომლებიც ხელს შეუწყობენ არაქართული ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციას ქართულ ეთნოსციალურ ორგანიზმში.

აჭარაში აფხაზების დასახლება XIX ს. პირელ ნახევარში დაიწყო, მაგრამ მან მასიური ხასიათი მიიღო XIX ს-ის 60-70-იან წლებში, რაც მუკაჯირობის პერიოდთან არის დაკავშირებული. მუკაჯირობა ყველაზე ტრაგიკულ მოვლენადაა მიჩნეული აფხაზი და კავკასიის სხვა ხალხების მრავალ-საუკუნოვან ისტორიაში. მუკაჯირობა-წერს შ. ინალ-იფა, ეს არის არა უბრალოდ უბედური ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც გამოიწია აფხაზთა სწრაფი შემცირება თავისსავე სამშობლოში და დააყენა აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე (აჩუგბათ., 1988: 3,4).

აფხაზეთის ისტორიაში ცნობილია გადასახლების 5 ტალღა: 1840-1841 წწ., გენერალ მურავიოვის დამსჯელი ექსპედიციის შემდეგ; 1853-1856 წწ., ყორიმის ომის დრო; აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864) შემდეგ, მაგრამ გადასახლებამ ყველაზე სერიოზული ხასიათი მიიღო 1866 წ. ლიხნის აჯანყების პერიოდში, განსაკუთრებით კი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს (Копешавидзе გ., 1985:3).

ცნობილია, რომ კავკასია და მათ შორის აფხაზეთი უძველესი პერიოდიდან წარმოადგენდა სხვადასხვა ჯურის აგრესორთა შემოსევების ობიექტს. ელინები, რომალები, სპარსელები, არაბები, ოსმალები და სხვა. გამუდმებით ეწეოდნენ დამპყრობლურ ომებს აფხაზი და სხვა ხალხების დასამონებლად. მე-19 ს. დასაწყისში, კერძოდ 1810 წელს, აფხაზეთის სამთავრო ოფიციალურად შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რის შემდეგაც დაიწყო აფხაზთა შფოთიანი ცხოვრება. მართალია, აფხაზეთის მთავარმა გიორგი შერვაშიძემ (ჩაჩბა) და დიდებულთა ნაწილმა აღიარეს ცარიზმის პროტექტორობა, მაგრამ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით გლეხობამ, უარი განაცხადა რუსეთის ქვეშევდომობაზე. დაიწყო ანტიკოლონიური გამოსვლები.

აფხაზეთის საბოლოოდ დამორჩილების გზაზე ცარიზმი საჭიროდ თვლიდა ეროვნული თავისუფლებისათვის ასე თავგანწირვით მებრძოლი მკვიდრი მოსახლეობის გადასახლებას იმპერიის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორ ალექსანდრე II-ს თხოვდა - კავკასიის შავიზდვისპირეთის საბოლოოდ „გაწმენდას“ მკვიდრი მოსახლეობისაგან. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ასიათასობით აფხაზურ-ადიდეური და სხვა კავკასიელი ხალხის მასობრივი, ძალდატანებითი აყრა-გადასახლება მშობლიუ-

რი მიწა-წელიდან. 1864 წლის 2 აპრილს რუსეთის სამხედრო შტაბში მოსული უბიექტის, შაფსულების და საძების წარმომადგენლებს, რომლებიც ითხოვდნენ სამშობლოში დარჩენის ნებართვას, მიეცათ მკაცრი მითითება, რომ ერთი თვის განმავლობაში გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში მთიელები ჩაითვლებოდნენ სამხედრო ტყვეებად და მათ მოქადაგები საომარი წესების შესაბამისად. 19 აპრილს რუსეთის ჯარებს მთებში უკვე აღარ დახვდათ მოსახლეობის ნაწილი, თუმცა მთიელების დიდი ნაწილი არ აპირებდა სამშობლოს დატოვებას. მათ გადაწყვიტეს ბოლომდე ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მთიელები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მამა-პაპათა მიწა-წელი და უცხოეთში გადახვეწილიყვნენ. მთებსა და უღრან ტყვეებში გახიზნული მოსახლეობის ამოსაულებელ დაიგზავნა საგანგებო დამსჯელი რაზმები, რომლებმაც ერთგულად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა - არ დაინდეს არც ბავშვები, არც ქალები და არც მოხუცები (აჩუგბათ., 1988:12). ივანე ჯავახიშვილის თქმით „მეკომურნი აჰეარეს ხოლო 1867 წ. აფხაზეთის აჯანყების შემდგომ, წებელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედაბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო“ (ივ. ჯავახიშვილი, 1989)

როგორც 1864 წლის, ასევე 1866-1867 წლების მუპაჯირობის პერიოდში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას მართავდნენ და საგანგებო გემებსაც ადგენდნენ თუ რამდენი კაცი, როდის და რა საშუალებით გადაესახლებინათ აფხაზეთიდან ოსმალეთში.

რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობათა თანამშრომლობა აფხაზებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუპაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გადასახლებით კავკასიის კოლონიზაციის საქმეს „აწესრიგებდა“, თურქეთის ხელისუფალთ გამიზნული პქონდათ რუსეთის იმპერიიდან გამოქცეული მთიელები დაებინავებინათ ოსმალეთის დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ოლქებში, აგრეთვე რუსეთის სახლვრისპირა რაიონებში. ამ კონტინგენტს სულთანი გამოიყენებდა ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსალოდნელ ომში (აჩუგბათ., 1988:15)

ახალი უბედურება დაატყდათ აფხაზებს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. ომითა და რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლებით შეწუხებული გლეხობა აჯანყდა. ცარიზმმა გლეხთა ეს გამოსვლაც სისხლში ჩაახრმო და მოსახლეობა განაიარადა. მაგრამ მალე რუსთა ჯარის სარდლობამ სამხედრო ნაწილები მთებში გახიზნა. ბედის ანაბარა მიტოვებულ ქალაქებსა და სოფლებს ოსმალები შეესივნენ. ხოლო როცა ბრძოლის სახწორი რუსეთის მხარეს გადაიხარა, დამარცხებული ოკუპანტები უკან იხევდნენ, სოფლებს აოხრებდნენ და თან უიარაღო მოსახლეობას ძალით მიერეაქტოდნენ ზღვის ნაპირისაკენ, იქედან კი გემებით მაჟყავდათ ოსმალეთში. „თურქებმა-ვკითხულობთ აფხაზ მუპაჯირთა ერთ-ერთ წერილში, სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენ დაპატიმრება დაგვიწყეს... როდესაც თურქებს საქმე ცუდად წაუვიდათ უკან დახევის დროს, ჯარი ჩვენს სოფელს შემოესია... და ხალხს ძალად მიერეკებოდნენ ნაპირებისაკენ, გაქცეულებს კი ხვრებდნენ (მეგრელიძე შ., 1964:4). შიმშილი და ეპიდემია მუსრს ავ-

ლებდა სამშობლოდან მოწყვეტილ ტყვეებს. ოსმალოს ჯარისკაცები არ ერიდებოდნენ გემების გათავისუფლებას „უსარგებლო ტვირთისაგან“. თურქებს გემებით მიჰყავდათ მოხუცებიც, ახალგაზრდებიც, და ბავშვებიც, მარგამ როგორც კი გემი ზღვის სიღრმეში გაუჩინარდებოდა, იწყებოდა აფხაზი ტყვეების „დახარისხება“. ყველა მოხუც მამაკაცს, ვისაც კი იარაღის ტარება არ შეეძლო, მოხუც ქალებს, რომლებიც პარამხანისათვის არ გამოდგებოდნენ, ბავშვებს, ვისაც დედის მზრუნველობა ესაჭიროებოდათ გემებიდან ზღვაში ყრიდნენ (აჩუგბა თ. 1988:17).

სერგეი მესხის ცნობით მარტო 1877-1878 წწ. მუჭაჯირობისას აფხაზეთიდან გასახლებულ იქნა 50 ათასი აფხაზი. ლიტერატურაში გხვდება სხვა ციფრებიც. სადავო სულ რამდენი ათასი კაცი გადასახლეს აფხაზეთიდან XIX ს. მეორე ნახევარში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მუჭაჯირობამდე დასახლებული მხარე 70-იანი წლების ბოლოსათვის თითქმის დაცარიელდა (აჩუგბა თ. 1988:18-19).

ოსმალეთში ძალდატანებით გადასახლებული აფხაზები მთავრობამ „მოდალატებად“ მონათლა და აუკრძალა მათ სამშობლოში დაბრუნება. ხოლო ვინც გადასახლებას გადაურჩა, ისინი მეფის წინაშე „დამნაშავეებად“ გამოაცხადეს, თვით სახელწოდება „აფხაზეთი“ ხმარებიდან ამოიღეს და მას სოხუმის ოლქი უწოდეს (აჩუგბა თ. 1988:19).

ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა აფხაზეთი და მისი მოსახლეობა, როცა აფხაზთა ერთი ნაწილი აღმოჩნდა აჭარის ტერიტორიაზე (აჩუგბა თ. 1988:20), თუმცა აჭარის ზღვისპირეთში მათი დასახლება XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარეობდა (აჩუგბა თ. 1988:21).

ემიგრანტები აჭარაში არა მარტო უშუალოდ აფხაზეთიდან გადმოსახლების შემდეგ რჩებოდნენ საცხოვრებლად, არამედ ოსმალეთში გადასახლების შემდგებაც ბრუნდებოდნენ აჭარაში იმ იმედით, რომ აქედან ისევ მშობლიურ მიწას დაუბრუნდებოდნენ, მაგრამ ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლება არ აძლევდა სამშობლოში დაბრუნების ნებას, რის შემდეგაც მათი ნაწილი აჭარაში რჩებოდა საცხოვრებლად, ნაწილი კი უკან ოსმალეთში ბრუნდებოდა (აჩუგბა თ. 1988:22).

წერილობითი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ თურქ ხელისუფლებას აფხაზები ძირითადად დაუსახლებია ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში. 1860-იანი წლების დასაწყისში აფხაზები დასახლებულია: კალტიბაურში, ყუშადიეში (ჩელტა), იმამიეში (სალუბაური), ბედენიეში, ფეიზიეში, სოუქსუში, იჯადიეში, ფერიეში//შუქრიეში, ლუთფიეში, ათიეში, ადლიეში, ნურიეში, ერგეში, მამუდიეში, ნამანდროში//უზათიეში, ურქეში და სხვა (სიჭინავა ვ. 1958:53; აჩუგბა თ. 1988:28). დაახლოებით იმავე პერიოდიდან აფხაზები ცხოვრობდნენ გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში, ჩაქში, ციხისძირში, ბობოვათში, ქობულეთში, ფიჭვნარში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ემიგრანტებისათვის უმეტესად დაუსახლებელი მიწები გამოუყვიათ, კერძოდ სახელმწიფოს კუთვნილი, ქწ. ერაზი მირიეს კატეგორიის მიწები (კავკასიის მთიელთა ოსმალეთში დაფუძნების საქმეს ემსახურებოდა კანონი, რომელიც ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ) შემუშავდა. ამ კანონის მიხედვით კავკასიელ ემიგრანტებს უსასყიდლოდ ეძლეოდათ „ერაზი მირიეს“ კატეგორიის თავისუფალი, ნაყოფიერი მიწები. ახალმოსახლეები გარკვეული ვადით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან და სამხედრო

ბეგარისაგან (ავალიანი ა. 1960). დასახლებიდან 20 წლის გასვლის შემდეგ მუპაჯირებს მათოვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გაყიდვის უფლება ეძლეოდათ. კერძო საკუთრებად ქცეული მიწები, ე.წ. „მულქი“, ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში გამონაკლისის სახით არსებობდა (ავალიანი ა. 1960:104-106). ამგვარი შედავათები უკავშირდებოდა ლტოლვილთა აჭარის ტერიტორიაზე დასახლების სურვილს და ოსმალთა სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს.. აფხაზი მუპაჯირების მიმართ ოსმალთა მიერ გატარებული მიწის კანონი მოგვიანებით ცარიზმის მოხელეებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. აჭარაში აფხაზ მუპაჯირთა ძირითადი ნაწილის დასახლების ვადა 20 წელს არ აღწევდა. რუსეთის ხელისუფლებამ ქალაქში, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ უბნებში მცხოვრები აფხაზების უმეტესობა აასახდა და ბედის ანაბარა მიატოვა. მათი ნაწილი იძულებული გახდა ისევ თურქეთში გადასახლებულიყო, რადგან აფხაზეთში დასახლების უფლება არ ეძლეოდათ. მცირე ნაწილი კი ბათუმთან ახლო მდებარე სოფლებში დასახლდა. განსაკუთერებით დაზარალდნენ ქალაქის ერთ-ერთი უბნის - „ნურიე“ მცხოვრებნი (აჩუგბა თ.1988:29).

აჭარაში მცხოვრები აფხაზთა წინაპრები აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონებიდან არიან გადმოსახლებული. ბ. ბდაუბა აჭარის აფხაზებს ორ ჯგუფად ყოფება: ფერიელ და ანგისელ აფხაზებად. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ანგისელი აფხაზები გადმოსახლებული არიან სოფ. თხუბუნიდან (ძდ. კელასურის მარცხენა სანაპირო) და თავიანთ თავს „სოხუმელ აფხაზებს“ უწოდებენ, ხოლო ფერიელები-საძენიდან (გაგრა-ადლერი). დაახლოებით ამავე აზრისაა ე. კილბაც. ორივე ავტორი მიიჩნევს, რომ ანგისელთა მეტყველება ახლოსაა აფხაზური ენის აბუურ დიალექტთან, ხოლო ფერიელთა მეტყველება აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტთან. საკუთრივ აჭარის აფხაზებიც წარმომავლობის თვალსაზრისით ფერიელ აფხაზებს ასხვავებენ ანგისელებისაგან. ფერიელები ანგისელებს უწოდებენ ბზიფის აფხაზებს - „ბზიფა აფხუა“, ხოლო ანგისელი აფხაზები ფერიელებს ჩერქეზ აფხაზებს - „ჩერქეზ აფხუა“ (აჩუგბა თ.1988:36). აჭარაში მცხოვრები ჩერქეზ აფხაზთა შთამომავლები, რომლებიც ძირითადად სოფ. ფერიაში ცხოვრობენ, საძენიდან ანუ „მცირე აფხაზეთიდან“ უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. ეს ტერიტორია ქართულ წყაროებში ჯიქეთის, ხოლო იქ მცხოვრებნი ჯიქების სახელწოდებითაა ცნობილი. 1886 წ. მონაცემებით ბათუმის ოკრუგში სულ 915 აფხაზი იყო აღრიცხული (თოფჩიშვილი რ. 2007). საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით აჭარაში სულ 1558 აფხაზი ცხოვრობს, მათგან - 800 ქ. ბათუმში; 15 ქედის რაიონში; 50 ქობულეთის რაიონში; 25 შუახევის რაიონში; 645 ხელვაჩაურის რაიონში; 23 ხულოს რაიონში (საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ.1, თბ. 2003).

აჭარაში, ქართველებსა და აფხაზებს შორის საუკუნოვანი თანაცხოვრების პირობებში უბრალო გაუგებრობის არცერთი შემთხვევაც კი არ დასტურდება. აფხაზები აქტიურად მონაწილეობენ რეგიონის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. საფუძვლიანად შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობა არის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კლასიკური მაგალითი. ქართველები და აფხაზები შესანიშნავად იცნობენ ერთმანეთს. ყოველი აფხაზი ან ის ქართველი, რომელსაც დედა, ბებია ან ოჯახის რომელიმე

წევრი აფხაზი ჰყავს, სიამოგნებით საუბრობს თავის გენეტიკურ წარსულზე. აჭარაში მცხოვრები ქართველები აფხაზებს თვლიან პატიოსან, მშრომელ, წესიერ, სტუმართმოყვარე ხალხად (გვანცალაძე ო., ტაბიძე მ. 2011:27). ყოველივე ეს ქართველების და აფხაზების ურთიერთნდობა-ურთიერთპატივის-ცემაზე მიუთითებს და წარმოდგენას გვიქმნის ქართველ-აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციულ მექანიზმებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავალიანი. ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960
2. აჩუგბა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში. ბათ., 1988
3. გვანცალაძე თ., ტაბიძე მ. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა.თბ. 2011
4. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ., 2007
5. მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან თბ., 1964, გვ. 4.
6. საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ.1, თბ. 2003
7. სიჭინავა გ. ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958
8. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად დათანამედროვე თვალდესაზრისით
განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989
9. კოშავაძე გ., ხოვართობის ურთიერთნდობა-ურთიერთპატივის შედეგები, თბ., 1985

*Ketevan Iakobadze
Tsitsi Tsintsadze*

Abkhazians in Ajara

Summary

From the second half of XIX century South-West Georgia coastline becomes intensive agricultural and economical developing zone. In Ajara together with Georgians live Abkhazians, Russians, Armenians, Jews, Kurds and other nation representatives. Among them especially important are Abkhazians. In article are analyzed establishment preconditions of Abkhazians, geographical area of resettlement, principles of peaceful co-existence.

ფრიდონ ქარდაგა

ლაზების საგითხი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 აღმართის რაის შემდგომ (საარქივო მასალების მიხედვით)

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების სიხარულს საგრძნობი ჩრდილი მიაყენა იმპერიების იმპერიულმა ქმედებებმა, რაც ამ ძველქართული კუთხიდან ძირძველი ქართველების გასახლების წახალისებითა და რიგ შემთხვევაში თურქეთში იძულებით ემიგრაციაში წასვლით გამოიხატა. ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება სწორედ აჭარიდან ქართველების, მათ შორის ლაზების, აყრის და თურქეთში გასახლების შესახებ არქივში დაცულ მასალებს მივაპყროთ.

ჯერ მცირე რამ იმდროინდელი ლაზისტანის შესახებ: როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია თურქული ოკუპაციის პერიოდში ლაზისტანი შედიოდა ტრაპიზონის ვილაიეთში, (სიჭინავა ვ., 1956) რომელსაც ვალი (გენერალ გუბერნატორი) მართავდა. ამის საილუსტრაციოდ საინტერესო საარქივო მასალაა კონსულ ჯიფორდ პალგრევის მოხსენებითი ბარათი (ნაწყვეტი):

„ლაზისტანის სანჯაყი თუ ოლქი (division) კომერციული თვალსაზრისით, მესამე, ხოლო პილიტიკური და ეთნოგრაფიულით, პირველი მნიშვნელობისაა იმ ოთხს შორის რომელსაც შეიცავს ტრაპიზონის ვილაიეთი. მას უკავია ვილაიეთის აღმოსავლეთ ნაწილი რიზეს საზღვრიდან რუსეთის საზღვრამდე. მისი პირდაპირი მმართველი არის ფაშა, მუთასერიფის წოდებით, რეზიდენციით ბათუმში. ის იყოფა სამ ნაწილად ან კაიმაგამა~ (ასსცა, ფ. ი-83. ან.1, ს.-1 ფურც .255)

სანჯაყის ცენტრში-ბათუმში, მუთესარიფთან ერთად იმყოფებოდა მეჯლისი (საგუბერნიო საბჭო), სასამართლო, საბაჟო მმართველობა, ბატალიონის შტაბი. ბუნებრივია, რომ ბათუმის რუსეთის მმართველობაში გადაცემის საქმის განხილვისას დღის წესრიგში დადგა ლაზების საკითხი.

განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი ბერლინის კონგრესზე განიხილებოდა. ბრიტანეთს არ სურდა ბათუმი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში გადასულიყო და ყველა ღონეს ხმარობდა კონგრესზე თავისი სურვილის გასატანად. სწორედ მაშინ გამოიყენა ბრიტანეთმა ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა. როგორც მკვლევარი არჩილ ჩხეიძე წერს „საუბარში ხოლოს ბერლინი შეხებია ლაზების საკითხებაც: ინგლისს ბევრი პროტესტი მოსდის ლაზებისაგანო, ისინი შეედას გვთხოვენ, რათა არ მოექცენებ რუსების უღელქვეშ და არ დაკარგონ ეროვნული სახეო. ინგლისის კაბინეტი შეშფოთებულია ამით და უსამართლოდ მიაჩნია, რომ ხალხს, წინააღმდეგ მისი სურვილისა, სხვის ბატონობას ახვევენ თავს...“ (ჩხაიძე ა., 1974:68). ბუნებრივია, გულუბრყვილობაა იმის დაჯერება, რომ ბრიტანეთი ლაზებზე ზრუნვით იწუხებდა თავს, სამწუხაროდ მას ლაზები, მხოლოდ და მხოლოდ, რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებელ ინსტრუმენტად სჭირდებოდა და როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, თავიდან ყოველნაირად აწყობდა ლაზების შფოთი და წინააღმდეგობის მოძრაობა, ხოლო შემდეგ, რო-

გორც იმპერიებს სჩვევიათ, ლამის ბედის ანაბარა მიატოვა ისინი, რამაც მართალია სისხლისღრამდე არ მიიყვანა საქმე, მაგრამ ლაზების ძირმველი ქართული მიწებიდან გასახლება მოჰყვა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 2008:71). დიდი ალბათობით ინგლისის გეგმა ასეთი იყო: შეექმნა ბათუმის დამოუკიდებელი სახანო ბრიტანეთის პროტექტორატით, რადგანაც რუსეთი ბათუმის უშუალოდ თურქეთის შემადგენლობაში დატოვებას უფრო უარყოფითად მოეკიდებოდა: თუ რუსეთი ამაზე დათანხმდებოდა, მაშინ ინგლისი მხარს დაუჭერდა ბათუმიდან თურქული ჯარის გაყვანას და პპირდებოდა რუსეთს მომავალში ლაზისტანის სახანოზე რუსეთის შესაძლო გავლენას; ამ წინადაღებას სოლსბერი სთავაზობდა შევალოვს (ჩხაიძე ა. 1974:69). საერთოდ, ინგლისი თავს აცხადებდა ლაზების ინტერესების დამცველად და მიანიშნებდა, რომ ინგლისს შეუძლია რეალური დახმარება გაუწიოს ლაზებს. თუმცა, ეტყობა, რუსეთის ინტერესი ბათუმისადმი იმდენად დიდი იყო, რომ არ წამოეგო ბრიტანული დიპლომატის ხრიკებს და არ დათანხმდა ლაზეთის სახანოს შექმნას. ამ მეტად საინტერესო პერიოდს ასახავს საარქივო სამმართველოში დაცული მასალები.

ბათუმში ბრიტანეთის ვიცე კონსული ალფრედ ბილიოტი ატყობინებს მარკიზ სოლსბერის:

N 41

ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის

(მიღებული 4 სექტემბერს)

ტრაბინზონი 1878 წლის 23 აგვისტო

(π 106 პოლიტიკური)

ბატონო ჩემო

მისმა აღმატებულებამ ბრიტანეთის ელჩმა კონსტანტინეპოლიში მომცა ინსტრუქცია ... გავაკეთო ყველაფერი რაც ჩემს ძალას შეესაბამება რათა დაგაცხრო ლაზთა აღშფოთება რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, მაქეს პატივი ამ სახით გადმოგცეთ, თქვენს ბრწყინვალებას ინფორმაცია, ამ საკითხთან დაკავშირებული ჩემი პასუხის ასლით“ (ასსცსა, ფ, ი-83. ან.1. ს.-1 ფურც. 348)

ეტყობა ამავე წერილში იყო მოთავსებული შემდგომი მოხსენებითი ბარათი:

„ვიცე კონსული ბილიოტი ხერ ა. პ ლეიარდს

ტრაბინზონი 1878 წლის 23 აგვისტო

ამ დილით მე მივიღე თქვენი აღმატებულების მიმდინარე თვის **15**-ში გამოგზავნილი დეპეშა, რომელიც ეხებოდა ლაზების მიერ დოროდ ბიკინსფოლდისადმი გაგზავნილ უკანასკნელ პეტიციას და გთხოვთ, ნება მომცეთ, მოგახსენოთ, თქვენი აღმატებულების ცნობისათვის, თუ როგორ განვახორციელეთ მასში მოცემული ინსტრუქციები.

როდესაც ლაზების წარმომადგენელმა, ალი ბეიმ, მე გადმომცა პეტიცია, მე შევახსენე მას, და გთხოვე გადაეცა მისი თანამემამულებისათვის, რომ ისინი ინფორმირებული არიან თქვენი ბრწყინვალების მიერ,

ჯერ კიდევ 23 აპრილს, რომ ბრიტანულმა პროტესტორატმა არ შეიძლება მოიცვას ისინი.

ვინაიდან არ ვიცი რა, მან აცნობა თუ არა დაზებს ამის თაობაზე, ყოველგვარი გაუგებრობების ასაცდენად, თავიდან გაგაგ ზავნე წერილი ჩემს აქ ყოფნაში, რომელ შიც მე ვათქმევინე მას თანამემამულებისათვის, რომ მე ისტრუქციები მივიღ თქვენი ბრწყინვალებისაგან, გავაკეთო ყველაფერი, რაც შემიძლია, რათა დაგაცხრო მათი სურვილი აღუდგნენ რუსეთის ოუბაციას, რამდენადაც ამას უსარგებლო სისხლისდვრის გარდა არაფერი მოჰყება.

ეს წერილი მე მოვათავს სხვაში, რომელიც მე ჩემდათავად გავუგ ზავნე სომხეთის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელს ბათუმში, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ლაზ ბეგებზე, ვთხოვე მას გადაეცა ის პირადად და ეცადა დაერწმუნებინა ისინი უარი ეთქვათ მათს წამოწყებაზე.

მე ასევე ვაცნობე იუსუფ ფაშას ის მითითებები რომელიც მივიღ თქვენი ბრწყინვალებისაგან, და ვთხოვე მას სიტყვიურად აქსნა ლაზი ბეგებისათვის, და დაეყოლიებინა ისინი....

მე მჯერა რომ ლაზები, ნახავენ რა რომ მათ არა აქვთ ბრიტანეთის ან ოტომანთა ხელისუფლებებისაგან დახმარების დიდი შანსი, უარს იტყვიან ბრძოლაზე ბეგისა და იმგდების წინააღმდეგ.

თქვენი აღფრული ბილიოტი “(ასსცა, ფ. ი-83. ა.1. ს.-1 ფურც . 348)

სწორედ ამ დოკუმენტებში ნახსენებ პეტიციას გულისხმობდა სოლსბერი. მთელი ეს პროცესი, როგორც საზავო მოლაპარაკების მსვლელობებში გამოიკვეთა, ბრიტანელებს აძლევდა ხელს, მაგრამ როგორც ჩანს ლაზების თემის წინ წამოწევით უკვე მაქსიმუმი პქონდა მიღებული ბრიტანეთს და უკვე ცდილობდა ლაზები დაეშოშმინებინა.

“N104

ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის

(მიღებული 4 სექტემბერს)

ტრაბინზონი 1878 წლის 21 აგვისტო.

ჩემთვის იუსუფ ფაშას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მაქვს პატივი გოდებებოთ შემდეგი: ორი დღის წინ როგორც ვაცნობე მის ბრწყინვალებას [ბრიტანეთის] ელჩს კონსტანტინოპოლიში :

„დერვიშ ფაშამ დაავალა ბათუმის მუთასირიფს რომ შეატყობინოს მოსახლეობას რომ რუსები შემოვლენ მიმდინარე თვის 27 ში, და ვინც აპირებს ემიგრაციაში წასელას უნდა გააკეთონ ეს. მუთასირიფმა უდებება სამგ ზაგრო გემებს დაიტვირთონ შიდა რაიონებიდან ჩამოსული აურაცხელი ემიგრანტი ოჯახით და მათი ბარვით. გენერალ-გუბერნატორმა ინსტრუქცია სოხუმის კონსტანტინეპოლის. ხოფას მოსახლეობა იტყობინება რომ გაიგეს მათს ქალაში რუსების ძალების შემოსვლის შესახებ და რომ ისინი წინ აღუდგებიან არმიას.“

ბათუმის მოსახლეობაში ხმა დაირჩა, ვისაც ახლავე არ უნდა წასვლა ემიგრაციაში, შეუძლია ასე მოიქცეს სამი წლის განმავლობაში, ხოლო მთელი ამ ხნის მანძილზე, ლაზისტანში დარჩენილები იქნებიან რუსეთის ქვეშვერდომები.

დაუყოვნებლივ ამის გამოცხადებისთანავე ლიგანის მოსახლეობის ნაწილმა უდებება პორტას, რომ მათ სურთ ემიგრირება მაღათიაში.

თხოვნის შესრულებისა და ტრანსპორტის დაპირების შემდეგ, პორტამ შეახსენა ლაზებს რომ მათ სამი წლის განმავლობაში შეუძლიათ ემიგრაციაში წასვლა და არ უნდა კარგავდნენ ქონებას ნაჩქარევი გამგ ზავრებით.

თურქულმა ტრანსპორტმა ამ დღეებში ბათუმიდან გაიტანეს 1200 შეკვა სამხედრო საჭურველი, უამრავი წერაქი, ნიჩაბი და ა. შ

რამდენიმე ოფიცრის ოჯახი და სხვა, არალაზი მუსულმანებიც ავიდნენ იმავე თბომავალ ზე“ (ასეცა ფ. ი-83. ან. 1. ს.-1 ფურც . 348)

როგორც ვხედავთ პროპაგანდა, რომელსაც ეწეოდნენ სულთნის აგენტები აჭარის ქართულ მოსახლეობაში, იმდენად თაგზარდამცემი იყო ქართველთათვის, რომ ლამისაა ცარიელ-ტარიელთ მიეტოვებინათ ღვთისგან ბოძებული სამშობლო მიწა.

„N 40

ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლ სბერის (მიღებული 4 სექტემბერს)
(6 104 პოლიტიკური)

ტრაბინზონი 1878 წლის 23 აგვისტო

ბატონო ჩემთ, გასულ კვირას მე შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგუგ ზავნე მის ბრწყინვალებას [ბრიტანეთის] ელჩს კონსტანტინოპოლ ში:

„პორტას ბრძანებით ბათუმის ჩაბარება გადაიდო 12 სექტემბრამდე და ტრაპინზონის გუბერნატორი ჩავა ხეალ ბათუმში, რათა სცადოს მოსახლეობის დამშენება, და თუ საჭირო გახდება მიიღოს ემიგრაციისათვის საჭირო ღონისძიებები. სამხედრო გემების და სამხედრო საჭურველის დატვირთისა და ბათუმიდან გამგ ზავრების ბრძანება უარის.“

როცა ორი დღის წინ ზემოთხესენებული ცნობა მიიღეს ბათუმში, ციხესიმაგრეში ზარბაზბენების, უკვე დაწყებული, მოხსნა შეწყვიტეს . იქ მოკალათებულმა ორმა სამხედრო გემმა , რომელიც მზად იყო გასამგ ზავრებლად, კვლავ ჩაუშვა ღუზა ყურეში, და გემზე ატვირთული საქონელი ისევ ჩამოტვირთეს.

თურქულ შენაერთებს ჯერ არ დაუტოვებიათ მოწინავე პოზიციები, მაგრამ მათი კარგა ნაწილი უკვე ბათუმშია და მჭიდროდ გარშემორტყმულია 6-7 ათასი ლაზი ჯარისკაცით.

დერვიშ ფაშა მიხვდა, რომ როული სიტუაციაა და პორტას წარმომადგენელმა ვერ მოუარა ლაზებს, რომელთაც არ სჯეროდათ მისი.

ამ სიტუაციის გამო იუსუფ ფაშას, ტრაბინზონის გუბერნატორს უდეპეშა პორტამ დაუყოვნებლივ ბათუმში ჩასვლა... იმ იმედით რომ ის დაარწმუნებდა ლაზებს, რომელთაც მისი სჯეროდათ, რომ მათ უკუგდოთ აჯანყების ყოველგვარი აზრი, და წასულიყვნენ ემიგრაციაში თუკი მათვის მიუღებელი იყო რუსეთის ქვეშეგრდომობა.

ჯერ არცერთი ემიგრანტი არ ჩამოსულა ბათუმში. თუმცა ბევრს ამბობენ, რომ ზღვისპირს მოადგნენ“ (ასეცა, ფ. ი-83. ან. 1. ს.-1 ფურც . 348)

ეს ის პერიოდია როდესაც წყდება ბათუმის დედასამშობლოსთან მიერთვა-ბა-არ მიერთების ჩვენთვის ესოდენ სასიცოცხლო საკითხი, როდესაც ოსმალეთს ჯერაც ეიმედებოდა ბრიტანეთის მხარდაჭერით მისი კვლავ ოკუპაციაში

დატოვება. დოკუმენტიდან უკვე იკვეთება ლაზების წინააღმდეგობის მოძრაობისა და უკმაყოფილების თემა, რომელსაც ბრიტანეთი მოლაპარაკებებისას აუკილებლად სათავისოდ გამოიყენებდა. ბილიონის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ორი კვირის შემდგომ ბათუმში რუსეთის ჯარების მოსალოდნელ შემოსვლას ასახავს, ლაზების საკითხის სიმწვავეს კარგად გადმოგვცემს:

“ვიცე ქონსული ბილიონტი მარკიზ სოლსბერის (მიღებულია 18 სექტემბერს) (N113 პოლიტიკური)

ბატონო ჩემო,

მაქვს პატივი, თქვენს ბრწყინვალებას, მოგწეროთ ინფორმაცია, რომელიც მე გაგუგზავნე გუშინ მის აღმატებულებას კონსტანტინოპოლის ეფრის.

„ალი ფაშამ (Tsuruksooli Ali Pasha ჩურუქსუს?) მაცნობა რომ, მიუხედავად რუსების დაპირებისა ყველა ლაზს გადაასახლებენ, ის იმყოფება გზად ორდუსაკენ, რათა პორტას ნებართვით აარჩიოს მიწა ემიგრანტებისათვის. ბათუმიდან ევაკუაცია მიმდინარეობს აქტიურად. რუსების შემოსვლას ციხისძირში (Sikinjir) გუშინ გელოდებოდით, ხოლო ბათუმში - შემდგომ პარასკევს ველით.

ინფორმაცია რუსების მიერ მიმდინარე თვის 1- ში ციხისძირში პოზიციების დაკავების შესახებ დადასტურებულია. ამ დღეებში ისინი, ასევე, შევიდნენ ართვინში. ბათუმი მზადაა მთლიანი ევაკუაციისათვის მიმდინარე თვის 6- ში, როცა ის უნდა გადაეცეს რუსებს.

ალი ფაშამ მაცნობა რომ მას მიეცა პორტასაგან უფლება აარჩიოს ორდუში, სადაც ის მოქმედებს, მიწა ჩურუქსუს მოსახლეობისათვის.

თუკი ხელმისაწვდომი სახელმწიფო მიწა არ იქნება საკმარისი, მაშინ ის კერძო საკუთრებიდან იქნება შესყიდული იმავე მიღამოებში.

ეს ემიგრანტები ელოდებიან დახმარებას მრავალრიცხოვანი ქართველებისგან, მათი თანამემამულეებისაგან, რომელთაც მაღალი მდგომარეობა უკავიათ თურქეთში.

ლაზებს ემიგრაციაში წასვლა რომ გადააფიქრებინონ, რუსები პირდებიან მათ სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას, გადასახადების არსებული რაოდენობის შებარჩუნებას და ერთი წლითა და მეტით საკვებით მომარაგებას.

მიუხედავად ამისა, ალი ფაშას ინფორმაციით ლაზისტანის მთელი მოსახლეობა, წავა ემიგრაციაში, მაგრამ ამჟამად მხოლოდ 500 თუ 600 ოჯახია ბათუმში, დანარჩენი რჩება თავის საცხოვრებელ ადგილას, ვიდრე საჭირო განკარგულება არ მისცემს საშუალებას მათ გაუყვნენ გზას თავიანთი ახალი ადგილის თუ კოლონიისაკენ.

ლივანას (Livanah) მოსახლეობა წავა მაღათიაში. (Malatia) მათთვის შესაფერისი ადგილი არ მოიძია აჭარაში, მაჭახელაში (?) (Madjkal) დ. ა.შ.

კონსტანტინეპოლიდან ელოდებიან რწმუნებულებს ემიგრანტების საქმის გასაძლოლად.

ალფრედ ბილიონტი“ (ასსცა, ფ. ი-83. ან.1. ს.-1 ფურც .353)

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, თურქეთის მთავრობას აწყობდა ლაზთა გადასახლება თურქეთში, რუსეთის ხელისუფლების განწყობა ამ დოკუმენტის მიხედვით ცოტა გაურკვეველია. კონსულის აზრით რუსები პირიქით, დარჩენას სთხოვენ ლაზებს, აი, ალი ფაშა კი ყოველნაირად არწმუნებს კონსულს, რომ სწორედ რუსები დევნიან ლაზებს აჭარიდან.

შეიძლება ითქვას, რომ ლაზების მცირე ნაწილის დარჩენა მაინც რუსების სურვილზე მეტად თურქეთის ხელისუფლების მიერ უკვე გადასახლებულთათვის გამოჩენილმა უგულისყურობამ და უპასუხისმგებლობამ გადაწყვიტა, რამაც საბოლოო ჯამში საქართველოს ამ ძირძველი და ავტოქთონური მოსახლეობის რაღაც რაოდენობა შეუნარჩუნა:

„ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მიღებულია 18 სექტემბერს)

(N115 პოლიტიკური)

ბატონო ჩემო,

წინა საღამოს ასეთი დეპეშა მიგიღე მის აღმატებულება კონსტანტინეპოლის ელჩისაგან:

[2000 ლაზი ემიგრანტი ჩამოვიდა; 100-ზე მეტს ველოდებით; არავითარი საკეთი არაა მათვის, მათ არავითარი თანხა არ მიუღიათ მთავრობისაგან. დიდი უკმაყოფილებაა მათ შორის. მთლიანობაში ძალიან მცირე ყურადღება გამოიჩინა ხელისუფლებამ და ტრაბზონის მოსახლეობამ ლაზი ემიგრანტების მიმართ. არ გამოყოფილა მათვის სახლები, რაც უდიდეს სიძნელეებს და მათი მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვას იწვევს, პურის მეოთხედი შეადგენს ზრდასრულ ადამიანების ულუფას; ბავშვებს არ მიუღიათ არაფერი.]

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება იუსუფ ფაშას დაბრუნებამდე, რომელიც დერვიშ ფაშასთან ერთად აპირებს აქ ჩამოსვლას, შემდეგ შაბათს. თუმცა, ჩანს, პორტა სარჩოს გამოყოფას მხოლოდ იმათვის აპირებს რომელთაც სრულებით არაფერი არ გააჩნიათ.

ლაზები ძალიან უკმაყოფილონი არიან და ლიად გამოხატავენ ამას, მათ რომ წინასწარ ცოდნოდათ ასეთი მოპყრობის შესახებ, არ გადაწყვეტდნენ ემიგრაციაში წასვლას. როცა ლაზებმბა, რომლებიც ამასვე აპირებენ, მაგრამ ჯერაც სამშობლოში არიან, გაიგეს ამ უკმაყოფილების შესახებ, გადაიფიქრეს მიბაძონ მათი თანამემამულეების, რომლებიც თურქეთისათვის დაკარგულები არიან, მაგალითს, და აღმოჩნდნენ ურთულესი დილემის წინაშე: იცხოვონ საძულველ მტრის ქვეშევრდომობაში თუ იშიმშილონ ერთმორწმუნებთან. მათ შეიძლება, ამ ყველაფრის მერე, მშობლიურ მთებში წამოიწყონ გიური მცდელობა რუსების წინააღმდეგ ბრძოლისა და გამოიწვიონ უაზრო სისხლისღვრა.

ალი ფაშა, რომელიც დაპირდა ხალხს ფულის გარკვეული ნაწილის მიცემას, რომელიც მას, როგორც მე მითხრა, გამოუყო პორტამ, არ მოსულა ორდუში, მისი შეყვოვნებაც დიდი ზიანის მომტანი იქნება ლაზი ემიგრანტებისთვის

ალფრედ ბილიოტი“ (ასსცა, ფ. ი-83. ან. 1. ს.-1 ფურც .353)

ეტყობა ბრიტანელების დაპირებებმა გარკვეული როლი ითამაშა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობის ჩამოყალიბებაში. მნელი დარჩა მათი გა-დარწმუნება, არადა დოკუმენტებში ირკვევა, რომ ბრიტანელი დიპლომატები ცდილობდნენ ლაზების დაშოშმინებას, რადგან როგორც ჩანს, მათ ლაზების ამბოხის შთაბეჭდილება სჭირდებოდათ და არა რეალური ბრძოლები რუსეთ-თანაც და თურქეთთანაც მათვის სასურველი შეთანხმების მისაღწევად.

საერთოდ, აჭარის ქართველთაგან დაცლა ორივე მეზობელ იმპერიას აწყობდა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 2008:68). ამ პროცესში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ლაზების საკითხი და მათი ემიგრაციაში წასვლა საჯილდაო ქვად იქცა ცალკე რუსეთისა და ცალკე თურქეთის ერთი მხრივ, და მეორე მხრივ უშუალოდ საქმეში ჩართული ჩინოვნიკებისათვის. თურქეთის მხრიდან ამ საქმეში როგორც ვხედავთ ჩანდნენ იუსუფ ფაშა, ტრაბინზონის გუბერნატორი (ასსცა, ფ. ი- 83; ან. 1; ს.-1; ფურც 348) და გენერალი, ბათუმში განლაგებული თურქული საოკუპაციო ჯარების მეთაური დერვიშ ფაშა (1817-1896) (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 2008:72). დოკუმენტით, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ ირკვევა, რომ იუსუფ ფაშა უფრო ემოციურად უყურებს საქმეს. ოსმალეთისაგან მიტაცებული ქართული მიწის დაკარგვას, ბათუმის საქართველოსთან მიერთებას პირად ტრაგედიად აღიქვამს. იგი უკმაყოფილებას გამოხატავს დერვიშ ფაშას მიმართ, რომელიც მიუხედავად მარცხისა, იმაზე ფიქრობს, თუ შემდგომში ომების დროს როგორ უნდა მიიტაცოს ოსმალეთმა ქართული მიწები. მისი აზრით, მაშინ ისინი ლაზებს გამოიყენებენ. ამიტომაც ეწინაამდევება მათ გადასახლებას თურქეთში:

**“N 342 ვიცე კონსული ბილიოტი მარკიზ სოლსბერის (მიღებულია 19სექტემბერს)(N118 პოლიტიკური)
ტრაპინზონი. 1978 წლის 7 სექტემბერი**

ბატონო ჩემო, მქონდა პატივი გუშინ მისი აღმატებულაება კონსტანტინოპოლის ელჩისათვის გამეგზავნა შემდეგი სახის დებეშა:

„რუსები შემოვიდნენ ბათუმში დღეს შუადღით. იუსუფ ფაშა გაემზავრა კაპიტულაციამდე. დერვიშ ფაშას აქ მოვეღით ხეალ. მთლიანად მოსული ჯარი შეადგენს 12 ბატალიონს. 6 ჯერაც ბათუმშია. ასევე ძევლი ზარბაზნები და საჭურველის ყუთები. ხუთი ათასი ლაზის ოჯახი ჩამოვიდა დღეს. რამდენიმე ათასი ისევ ელოდება გემებზე ჩასხდომას...“

ორი დღის წინ ერთი საგუშაგო და ორი სამხედროებით დატვირთული სამგზავრო რუსული გემი მოადგა ჩაქეს. ბათუმიდან 5 მილზე და გენერალი კომაროვი ორი ბატალიონით ართვინიდან. განხრახული იყო, რომ ეს ორი ძალა ერთდროულად შესულიყო მეორე დღეს ბათუმში და ჯარი დაიკავებდა თავის პოზიციას ნავსაღვურიდან მოშორებით, რათა ხელი არ შეეშალა ჯარისა და საჭურველის ევაკუაციისათვის.

იუსუფ ფაშამ, რომელსაც ახლახან შევხვდი, მაცნობა, რომ ის წამოვიდა ბათუმიდან ღამით, რადგან არ უნდოდა მონაწილეობა მიეღო მის ჩაბარებაში.

დერვიშ ფაშამ მოახსენა მას მის განზრახვაზე ზარბაზნის 101 ზალპის შესახებ, რომელიც მას კერ გადააფიქტებინა. რაღაც მას თან არ ჰქონდა გარგის ზარბაზნები, ის შეეცადა კიცე ადმირალ არიფ ფაშას უქნა ეს, მაგრამ მან კატეგორიული უარი უთხრა, შეესრულებინა მისი თხოვნა.

პორტას წარმომადგენელი ნიკად ფაშა და ალი ბერ რომელიც ჩამოვიდნენ აქ გენერალ გუბერნატორთან ერთად, გუშინ დამით დაბრუნდნენ უკან ბათუმში, კონსტანტინოპოლიდან დღის განმავლობაში მოსული ბრძანების საფუძველზე.

იუსუფ ფაშამ მიამბო, რომ დერვიშ ფაშას საწადელს წარმოადგენდა გადაეფიქტებინა და ზებისთვის ემიგრაციაში წასვლა, მას სურდა დაზისტანი მოქლი თავისი მცხოვრებლებით გადაეცა რუსებისათვის, და ისე შორსაც კი წავიდა რომ აქ გამოგზავნა აგენტები, რათა დაერწმუნებინა ემიგრანტები დაბრუნებულიყვნენ ბათუმში. სრულიად შესაძლებელია, რომ ლაზებისაგან გამოხატული უკამაყოფილება ნაწილობრივ სულაც დერვიშ ფაშას აგენტების ინტრიგების შედეგი იყოს ტრაპინზონში. პორტას ბოლო განკარგულების შედეგად უკელა ისინი დებულობენ რაციონს ნახევარ ოყას დღეში რაც სრულებით არაა საჯმარისი და ღონისძიებებს მათი განსახლების შესახებ უძღვება იუსუფ ფაშა.

ახლა როდესაც რუსებს თავისუფალი ასპარეზი აქვს ბათუმში, ემიგრანტები შეიძლება გადაეყარონ გადაულახავ სიძნელეებს, რომელიც შეიძლება მხოლოდ დროუბითი კომისიის მუშაობით მოვგარდეს, რომლის გაგზავნასაც იქ როგორც ამბობენ, პორტა აპირებს; იუსუფ ფაშა პორტას მიერ იმავდოროულად დანიშნულია დროუბით საემიგრაციო კომიტეტში. ლაზისტანის მოსახლეობა იქნებოდა ფასეული შევსება თურქეთისათვის. ისინი თავიანთი თვისებებით მნიშვნელოვნად აღემატებიან ჩერქეზებსა და აფხაზებს, და რუსეთთან მომავალი ომისას უზრუნველყოფდა არაგულგრილი კონტიგენტით, რომელთაც უქნებოდათ პირადი ანგარიში [რუსებთან].

ლაზი ბეგების განზრახვაა დასახლდნენ რაც შეიძლება ახლოს, და უკელა მიზეზს გარეშე შავი ზღვის პირას, რათა ზემოთ აღწერილი საგანგებო სიტუაციისას მზადყოფნაში იყვნენ.

დერვიშ ფაშაზე ამბობენ, რომ არ უხდის ჯარისკაცებს, მიუხედავად იმისა რომ ფული ხელთ ა აქვს; მას ეს-ესაა კონსტანტინეპოლიდან გამოუგზავნების 2 000 000 პიასტრი.

იუსუფ ფაშამ დასძინა რომ, კიდევ რამდენიმე დღე ბათუმში ჩემი დარჩენის საჭიროება რომ ყოფილიყო, აგად გავხდებოდიო, ისეთი ამაზრზენი იყო დერვიშ ფაშას მიერ გამოყენებული ინტრიგები ლაზების მიმართ, რომელთაც ის წარუდგენდა პორტას მუქ ფერებში და მექანიზმი, რასაც მან მიმართა რათა აეღო თავისთავზე მართვა, რადგანაც გახლდათ ყოველივეს თვითხმილველი.

როცა იუსუფ ფაშა ორი კვირის წინ ჩავიდა ბათუმში, მაშინ დერვიშ ფაშა და ლაზები იყვნენ ერთმანეთთან ომის ზღვართან. არავითარ განსაკუთრებულ მიზეზს არ გამოუწევია ასეთი ვითარება.

გეგები, რომელიც შეიცავდნენ სახელმწიფო სამხედრო ქონებას, რომელიც ლაზების მიერ შეტერებული იქნა ჩერქეზებში, რომელიც მაღლებები გაანთავისუფლეს, ამ ინციდენტს არ მიუცია მოტივი შემდგომი გაუგებრობისათვის და მცრობა ხალხსა და ხელმძღვანელს შორის დიდი ხნის შემდეგ აღმოცენდა.

ეს გამოწვეული იყო, როგორც ჩანს, დერვიშ ფაშას პროგოკაციული პოზიციით ლაზების მიმართ, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა აეძულებინა ისინი გამხდარიყვნებ რუსეთის ქვეშვრდომნი და უშლიდა ემიგრაციაში წახლას.

როცა დერვიშ ფაშამ აცნობა მათ, რომ პორტა დაეხმარებოდა მათ გადასახლებაში თურქეთის სხვა მხარეში, მათი აღშფოთება წამსკე დაცხა.

მთლიანი რაოდენობა ლაზებისა, რომლებიც ჩამოვიდნენ ამ დღემდე, არის დაახლოებით 1000 ოჯახი ან 6000 სული. ორ სამ თვეზე ადრე, გიდრე ისინი თავის მოსავალს არ შეაგროვებენ, მეტს არ ეელოდებით. ამავდროულად მათ გააგზნეს აგენტები ახლო-მახლო მოსახერხებელი ადგილების შესარჩევად.

პატივისცემით აღფრულ ბილიოტი. “ (ასსცა, ფ. ი- 83; ან. 1; ს.-1; ფურც 354-355)

დერვიშ ფაშას იმპერიალისტური და თურქულ-ოკუპანტური მცდელობები მისდაუნებურად აშკარად ჩვენდა სასარგებლო გამოდგებოდა, მართლაც რომ შეწყვეტილიყო ლაზების გასახლება. რა თქმა უნდა, ის ცდილობდა, რომ სწორედ თურქეთის დასაყვრდენად დაეტოვებინა ლაზები მშობლიურ მიწაზე, მაგრამ დედასაქართველოსთან დაბრუნებული ძირველი მიწის მკვიდრი ლაზები სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის დასაყვრდენი რომ იქნებოდნენ, ოკუპანტს ეს ვერ წარმოედგინა. დერვიშ ფაშა ოკუპაციის ცივი გონების სარდალი გახლდათ. შემდგომში, 1921 წელს მას გამოუწნდა მემკვიდრეები მაზნიაშვილის წინააღმდეგ მებრძოლი ქიაზიმ ბეისა და ლენინთან საქართველოსა და სომხეთის ხარჯზე გარიგებული ქემალ ფაშას სახით.

ამრიგად, ბრიტანული დიპლომატიის პრაგმატული და უტილიტარული დამკიდებულება ლაზების საკითხისადმი, ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა, ნაკარნახევი იყო მათი სურვილით, რომ ბათუმი არ გადასულიყო რუსეთის ხელში; ამასთან, თურქეთის დამპყრობლური და მეზობელი მიწებისადმი მტაცებლური დამოკიდებულება, რუსეთის ცარიზმის ველიკოდერჟავული თუ რუსიფიკატორულ-ასიმილაციური პოლიტიკა იმპერიისათვის შემოერთებული ქართული ტერიტორიების მიმართ, ისტორიულ ტრაგედიად, ადამიანურ ტანაზად და მამაპაპური მიწებიდან უმოწყალო აყრად დაუჯდათ ლაზებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სიჭინავა ვ. „ბათუმის ისტორიიდან“ ბათუმი, 1958
2. არჩილ ჩხაიძე „ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში“ ბათუმი, 1974
3. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008,
4. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი ი-83, ანაწერი ტომი 1, საქმე – 1 ფურც. 255
5. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი ი-83, ანაწერი ტომი 1, საქმე – 1 ფურც. 348

6. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი ი-83, ანაწერი ტომი 1, საქმე – 1 ფურც. 353
7. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი ი-83, ანაწერი ტომი 1, საქმე – 1 ფურც. 354-355

Fridon Kardava

Lazians issue after 1877-1878 years Russian – Turkish war

After 1877-1878 Russian-Turkish war, empires imperial behaviors caused Georgians eviction and emigration in Turkey. In article based on archival data is discussed about important issues of Georgians, among them Lazians eviction in Turkey.

**საქართველოს გასაბჭოება და გათუმას ოლიტის საკითხი
ოპოზიციურ პრესაში
(1921 წ.)**

ბოლშევკური ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არაერთი პოლიტიკური პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოქმედებდა. თბილისის აღებისთანავე, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს რევკომმა გამოსცა სპეციალური დეკრეტი, რომლის თანახმადაც გამოცხადა ამნისტია „ყველა პოლიტიკური პარტიის, ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფების, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის წინააღმდეგ“ [ი. კაჭარავა, 1958: 185] ამგვარი განცხადება იყო ერთგვარი ნიდაბი ხალხის გულის მოსაგებად, დრამატიზმის შესანელებლად, რეალობის შესალამაზებლად – წითელ ხელისუფლებას დრო სჭირდებოდა სულის მოსათქმელად და ძალების მოსაკრებად.

ბოლშევკები დემოკრატიული საქართველოს დევნილ მთავრობასაც მოუწოდებდნენ მორჩილებისა და მტრობის დავიწყებისაკენ. თუმცა, ანტისაბჭოთა პარტიებმა და ყოფილმა მთავრობამ უგულებელყევეს ეს მოწოდება, უარი თქვეს თანამშრომლობაზე და გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე.

ამათგან განსხვავებით სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთი ნაწილი, მისი მემაცხენე ფრთა, კომპრომისზე წავიდა საბჭოთა ხელისუფლებისთან იმ პირობით, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებდა და არ დაუშვებდა პროლეტარიატის დიქტატურას, მემამულეების და კაპიტალისტების მიმართ რეპრესიებს, არ გააჩადებდა კლასობრივ ბრძოლას და ა. შ.

ბოლშევკებმა იმთავითვე იცოდნენ, რომ ამ პირობათაგან არცერთს არ შეასრულებდნენ, მაგრამ საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრის მიზნით დაპირებები არ დაიშურეს და შესაბამისად, საბჭოთა საქართველოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე დაუშვებეს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ფუნქციონირება. მეტიც, რევგომის თანხმობითა და ფინანსური დახმარებით დაიწყო ამ პარტიის (უფრო ზუსტად, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მემარცხენე მუშა-ფედერალისტების ფრთის) გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ გამოცემა.

გაზეთი გამოდიოდა 1921 წლის 1 მარტიდან და 26 ივნისამდე. კვირაში ექვსჯერ, დაახლოებით A-2 ფორმატით. სულ გამოვიდა 120 ნომერი. გაზეთი ხან ორგვერდიანი იყო, ხან ოთხგვერდიანი. იცვლებოდა ფასიც: თავდაპირველად ლირდა 50 მანეთი, 43-ე ნომრიდან – 100 მანეთი, 77-ე ნომრიდან – 200 მანეთი, 95-ე ნომრიდან 500 მანეთი (300 მანეთი – თუ გაზეთი ორი გვერდით გამოდიოდა). ფასის ესოდენი ზრდა გამოწეული იყო ინფლაციით.

ამ როგორ პოლიტიკურ სიტუაციაში გაზეთი თუმცა ოპოზიციური იყო, ადგა ზომიერ, შემრიგებლურ გზას, ძირითადად მხარს უჭერდა ბოლშევკებს, მაგრამ იცავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას.

გაზეთს გამოსცემდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი, ე. ი. პარტიის წევრთა ის ნაწილი, რომელიც ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას დათან-

ხმდა. იბეჭდებოდა „სახალხო საქმის” სტამბაში (მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 6). [გბაქრაძე, 1946: 66]

გაზეთის რედაქტორი იყო თედო ლლონტი, საქრთველოს პარლამენტის წევრი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი 1992 წლიდან და ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

გაზეთი ერიდებოდა რადიკალიზმს, თუმცა მაინც ცდილობდა, შეხებოდა იმუამინდელი საქართველოს ყველა საჭიროობროტო საკითხს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სამუსლიმანო საქართველოს თემა ხშირად ხვდებოდა მის ფურცლებზე: იმ როველ ეპოქაში წინააღმდეგობათა ხაზი ბევრჯერ სწორებ ამ რეგიონზე გადიოდა. კერძოდ, იგულისხმება ავტონომიის საკითხები, თურქეთის და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვის გულსაკლავი პრობლემა.

ჩვენი მიზანი არაა 20-იანი წლების დასწყისის ისტორიული პროცესის ანალიზი, აქ მხოლოდ ერთი გაზეთის მასალას, აქ გამოხატული თვალსაზრისის წარმოჩენას ვცდილობთ. ეს თვალსაზრისი ზოგჯერ სუბიექტურობის-განაც არაა დაზღვეული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა საქართველოში მცირე ხნით ნებადართულ არაბოლშევიკურ გაზეთს ვეხებით, უნდა ვთქვათ, რომ ხებისმიერ შემთხვევაში ეს მასალა ინტერესს იმსახურებს.

გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება დიდი თუ მცირე კორესპოდენციები ბათუმის, აჭარის მთელი სამუსლიმანო საქართველოს შესახებ. მაგალითად, ასეთი: „ბათუმი მიესალმება საბჭოთა ხელისუფლებას...” „აჭარის სოფლებში შესდგა მიტინგები, რომელზედაც მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების მისალოცი რეზოლუციები...” ან კიდევ: „საოლქო რევკომმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეჯლისს მისცა სესხად 15 მილიონი მანეთი აჭარელთა საჭიროებისათვის. ამ თანხიდან ნაყიდ იქნა 5 მლნ-ის მარილი, რომელსაც აჭარა ძალიან საჭიროებს...” [გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი”, 1921, № 30] და ა. შ. ზემოხსენებულ კორესპოდენციებში თვალსაჩინო გაზეთის ლილიალური დამოკიდებულება საბჭოთა ხალისუფლების მიმართ. თუმცა, ობიექტურად თუ განვსჯით, გაზეთის ირგვლივ შემოკრებილ ავტორებს დიდად არ ეპიტნავებოდათ ბოლშევიკები. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო რეგიონის მიმართ დამოკიდებულებას, ეს თავიდანვე გამოიხატა კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთ სტატიაში. კერძოდ, როგორც ცნობილია, გამსახურდიამ ამ გაზეთის 56-ე ნომერში (8 მაისი) გამოაქვეყნა ცნობილი „ლია წერილი ულიანოვ ლენინისადმი”, რომელსაც დიდი გამოხატურება მოჰყვა. მწერალი კამათში ჩაება და 59-ე ნომერში ოპონენტების პასუხად სხვა საკითხებთან ერთად ბათუმის და საზოგადოდ, ავტონომიების პრობლემაც განიხილა: „რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს დამოუკიდებელ აფხაზეთთან და ასე წარმოიდგინეთ, დამოუკიდებელ აჭარასთან, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ აქ საზღვრების გავლებას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები და ხან ანბნები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნომორიის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები 2000 წელზე მეტს ეწერდნენ ჩვენთან საერთო ისტორიულ ჭაპანს და არ ჩამოგვეცილებიან და ვერც ჩამოგვეცილებიან, თუმცა საგანს არსებითად რომ შევხედოთ, აფხაზეთში დიდი უმრავლესობა ქართველობაა და მე მიკვირს, რომ თქვენ ასე ერთი დაკვრით გინდათ ამ ქართველების ბედი გადაწყვიტოთ. რაც შეეხება აჭარას, ვერც იქ გაავლებს ვინმე საზღვრებს, ეს ინგლისელმა

იმპერიალისტებმაც სცადეს, ეს სცადეს ოსმალებმაც, მაგრამ დე იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ მუდამ გადავალაჯებთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გაღმაც ჩვენი სისხლის და ხორცის თანაზიარი გვეგულება.”

გაზეთი კურადღების გარეშე არ ტოვებდა მნიშვნელოვან კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც ბათუმს და საზოგადოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეხებოდა.

1921 წლის დამდეგს ტრაპზონში დაიბჭდა ბროშურა სათაურით „გასაყიდი ხალხი“. აქ განხილული იყო ზემოხსენებული რეგიონის ავტონომიის კონსტიტუციის ის პროექტი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა ქვეყნის გასაბჭოებამდე რამდენიმე ხნით ადრე (პროექტი დაიბჭდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 496-ე (5 იანვარი, 1921 წ.) ნომერში). 1921 წლის 11 მაისის (№ 58) და 13 მაისის (№ 60) ნომრებში „სოციალისტ-ფედერალისტმა“ დაბეჭდა ბროშურის სრული თარგმანი. ავტორი მითითებული არ არის, თუმცა ტექსტის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ქართველი მუსლიმანია, ამასთან, თურქოფილი, შესაბამისად, ბროშურა ქართული გაზეთის მიერ სამართლიანადაა შეფასებული როგორც „საუკრადღები ნიმუში ჩვენი მტრების ბრძოლისა“.

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ გაზეთმა საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო მენშევიკური ხელისუფლების მიერ შემუშავებულ და შესაბამისად, საბჭოთა საქართველოსთვის მიუღებელი და უსარგებლო დოკუმენტების ანალიზს, მაგრამ რეგიონში იმუშავდა არსებული სიტუაციის პირობებში ბროშურაში გამოვლენილი ანტიქართული პოზიცია ავტორისა და მის მიერ განხილული საკითხები კვლავაც მეტისმეტად აქტუალური და სახიფათო იყო ქვეყნისათვის.

როგორც ცნობილია, 1917-21 წლებში სამუსლიმანო საქართველო უადრესად რთულ პირობებში ადმონინდა: სულ რაღაც 3 წლის განმავლობაში აქაურობა ჯერ ოსმალების ხელში გადავიდა, შემდეგ ინგლისელებისა. მერე მცირე ხნით დამყარდა კანონიერი ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა. ბოლოს რუსები დაბრუნდნენ ქართველ ბოლშევიკებთან ერთად. ასეთ პირობებში კიდევ უფრო მწვავდებოდა დაპირისპირება ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისა, მეტადრე რეგიონის პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით. ერთმანეთს ძირითადად ორი მიმართულება უპირისპირდებოდა: „სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი“ ამ რეგიონს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა მის მომავალს ავტონომიური ერთეულის სახით მოიაზრებდა. თურქოფილური გაერთიანება „სედაიმელეთი“ ასევე ავტონომიას მოითხოვდა, ოფონდ – თურქეთის შემადგენლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა სხვა მოსაზრებაც – ერთიანი საქართველო ყოველგვარი ავტონომიის გარეშე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ „სედაიმელეთის“ ხაზს სამუსლიმანო საქართველოში აგრძელებდა ქემალისტური პარტია, რომლის აჭარის ორგანიზაციული ცენტრი ბათუმში იყო. ქემალისტები აშინებდნენ გლეხებს ბოლშევიკების ანტირელიგიური პოლიტიკით, მოუწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ბოიკოტირებისკენ ერთი მხრივ და ისლამის ერთგულებისაკენ – მეორე მხრივ ურჩევდნენ თურქეთის ჯარის შემოსვლამდე მოთმინებას (ეს კი, მათი აზრით აუცილებლად მოხდებოდა) და მხარს უჭერდნენ აჭარის ავტონომიას, ოფონდ, როგორც ვთქვი, თურქეთის ფარგლებში. [ო. გოგოლიშვილი, 2010: 2]

საქართველოს ბედი არც ბოლშევიკ მმართველებს აწუხებდათ: 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც დაუდო სათავე ქართველი მიწების გასხვისებას: სწორედ ეს შეთანხმება გახდა საფუძველი იმავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებისა.

ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა აჭარის ავტონომიასაც საქართველოს ფარგლებში. რამაც შესაბამისი პოლიტიკური პლატფორმის ქმონე ძალთა გააქტიურებაც გამოიწვია. ქართული ინტელიგენციის ნაწილი (მათ შორის ისინიც, ვინც წინათ დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას უჭერდა მხარს) შექმნილ ვითარებაში, ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, ავტონომიაზე საუბარს ქვეყნისთვის სახიფათოდ მიიჩნევდა.

უთუოდ ეს გარემოებები უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ „სოციალისტ-ფედერალისტმა“ საქმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ანტიქართულ პუბლიკაციას.

ბროშურის ავტორი გულდასმით გაცნობია განსახილველ მასალას, აჭარის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტს. მიუხედავად ამისა, უნაყოფო შრომა იქნება დაწვრილებითი ანალიზი მისი ნააზრევისა. უპირველესად იმიტომ, რომ ნაშრომი უკიდურესი სუბიექტივიზმით გამოირჩევა და ანტიქართული დემაგოგიის საკმაოდ უნიჭო ნაზავია. სულისკვეთების წარმოსაჩენად რამდენიმე დეტალს მაინც მივაყრობ ყურადღებას.

ავტორის არგუმენტები ძირითადად მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს ყყრდნობა. იგი იმოწმებს შარიათს და აცხადებს, რომ დაუშვებელია მუსლიმანთა ყოფნა ქრისტიანი მთავრობის მზრუნველობის ქვეშ და თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, ეს ხალხის სულისკვეთების კი არა, ძალადობის გამოხატულებააო. (№ 58). (ამგვარი შინაარსის პროპაგანდა უკვე აპრობირებული იყო სამუსლიმანო საქართველოში, წლების წინ სწორედ ამ შინაარსის ქადაგებით აყარეს საკუთარი მიწიდან გურჯები და მუჰაჯირების ტრაგიულ პროცესს შეუწყვეს ხელი.)

ბროშურის ავტორი ირონიასაც მიმართავს და კონსტიტუციის V თავის III მუხლის ანალიზისას წერს: „შარიათის საქმეთა მმართველობას კონსტიტუცია სამუსლიმანო საქართველოს ანიჭებს. ეს ხომ დიდი წყალობაა. რა იქნებოდა, რომ ესეც თბილისის კათალიკოსის ან კარდინალის მმართველობაში გადაეცათ... ცხადია, ეს ირონიაც ზემოხსენებული პროპაგანდის ნაწილია და მისი საფუძველი ისაა, რომ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის უმაღლესი სასულიერო პირი უნდა დაემტკიცებინა საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, რომელსაც „არა აქვს არავითარი დამოკიდებულება შარიათის დაწესებულებასთან“. ეს კი, საბოლოოდ, იქნება „ჩვენი ქვენიდან შარიათის აღგვაზ“, – წეს ინკოგიტო ავტორი.

ავტორის აზრით, საფრთხის შემცველია ის, რომ კონსტიტუციაში არ არის დაფიქსირებული სამუსლიმანო საქართველოს ოფიციალური რელიგია და სარწმუნოებრივი ხელშეუხებლობა. ეს ურწმუნობისკენ, გნებავთ, სარწმუნოების გამოცვლისკენ მიმავალი გზის სათავედ მიიჩნია. „ჩვენ ვშიშობთ, რომ დღევანდელი ახმედის ბადიში ხვალე იაკობი, იოსები უნდა გახდეს“, - წერს იგი.

ბროშურის ავტორი ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადგილობრივთა დასაქმება, ჯარი, მიწის მფლობელობა, არჩევნები და მრავალი სხვა. განიხილავს მათ ტენდენციურად და შესაბამისად, რეგიონისთვის სასარგებ-

ლოს ვერაფერს პოულობს მათში. საბოლოოდ კი მკითხველს ურწმუნობის გმობისკენ მოუწოდებს და აიმედებს, რომ „ბრწყინვალე დღეები მსოფლიო მუსლიმანებისა“ ახლოვდება და რომ „დიადი რწმენა, მტკიცე განზრახვა ყოველგვარ დაბრკოლებას უცუაგდებს და ყველას დაიმორჩილებს.

რწმენის ერთგულება ურიგო როდია, მაგრამ დამაფიქრებელი ის იყო, რომ რელიგიური საკითხები სახითათო პოლიტიკურ ტენდენციებს ემსახურებოდა. როგორც ვთქვი, XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს და 20-იანი წლების დასაწყისში ჯერ სედამიმილეთის და მერე ქემალისტური პარტიის ორგვლივ შემოკრებილი ნაწილი ქართველი მუსლიმანებისა მხარს უჭერდა თურქეთის შემადგენლობაში ავტონომიის იდეას.

პარადოქსი ისაა, რომ „ავტონომისტები“ ძალაუნებურად ხაზს უსვამდნენ სწორედ თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას, ქართველობას, თურქებისგან განსხვავებულობას და თურქეთის გარკვეული პოლიტიკური წრეებისგან დაპირებებსაც დებულობდნენ. სეპარატისტული მოძრაობა უდიდესი ბოროტების მთესველი იყო მაშინაც, მაგრამ მაინც საყურადღებოა რომ ოდესლაც არსებობდა თურქეთის სახელმწიფოში ქართული ავტონომიის იდეა. ისიც ცხადია, რომ ეს იდეა პოლიტიკური სატყუარა გახლდათ – პატ-რიოტ მამულიშვილთა მოღვაწეებისა და ბრძოლის საპირწონედ მოგონილი. ცნობილი ფაქტია, რომ სულ მალე სამუსლიმანო საქართველო ხელახლა გადახაწილდა რუსეთსა და თურქეთს შორის. უმეტესი ნაწილი, 13 000 კვამ-ზე მეტი, ისტორიული სამხრეთ საქართველოსი თურქეთს ერგო. ამ მიწებზე ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. მათგან ნაწილს მშობლიური ენა დაგიწყებოდა, მაგრამ წინაპრების ვინაობა ჯერაც ახსოვდა. ქართული კი დღევანდელთან შედარებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე ისმოდა. აღარ ვეხები ლაზისტანს – აქ მშობლიური ენა თითქმის ყველგან ახსოვდათ.

საქმე ისაა, რომ ამ უზარმაზარი ტერიტორიის თურქეთის სახელმწიფოს ხელქვეით მოქცევის შემდეგ ავტონომიის იდეა აღარავის გახსენებია – არც ათათურქის ხელისუფლებას, რომელიც მანამდე დაპირებებით კვებავდა გაბრიყებულ ქართველ მუსლიმანებს და არც პროთურქული ორგანიზაციების გურჯ აქტივისტებს, რომელთა ნაწილი ამ მოვლენების შემდეგაც საქართველოში დარჩა. სამაგიეროდ ბოლშევიკების ათეიისტურ ქვეყანაში რელიგიური ნიშნით შეიქმნა ავტონომია.

ბათუმის და მთელი სამუსლიმანო საქართველოს და მისი ტერიტორიული მოწყობის თემა ამის შემდეგ „სოციალისტ-ფედერალისტთვის“ ერთ-ერთი ძირითადია. ავის მომასწავებელ ტენდენციას ეხმაურება პეტრე მირანაშვილი და დია წერილით მიმართავს მეჯლისის თავმჯდომარეს ჰასან ეფენდი ლორთქიფანიძეს. კერძოდ, მირიანაშვილი შეშფოთებულია იმით, რომ აქამდე „იყო სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი, დღეს კი შემოუდიათ აჭარის მეჯლისი“. წერილის ავტორისთვის გაუგებარია, „შავშეთი, ლივანა და სხვა ქვეყნები სამუსლიმანო საქართველოსი სად უნდა წავიდეს, ვის უნდა გადაეცეს.“

ავტორი საუბრობს ჭოროხის აუზის ისტორიულ როლსა და ფუნქციაზე ქართველთათვის, ეხება მუსლიმან თანამომეთათვის მშობლიურ ენაზე განათლების აუცილებლობას, ასევე ავტონომიის, მიწათსარგებლობის, სოციალისტური საზოგადოების თემებს და მოუწოდებს სხვადასხვა რჯულის ქართველთა მმობისკენ, სამუსლიმანო საქართველოს მთელი ტერიტორიის („არტან-ოლობის-ჭანეთ-ისპირ-თორთომის რაიონების ჩათვლით“) აჭარის ავ-

ტონომიის გამგებლობაში მოქცევისკენ [გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი”, 1921, № 105].

107-ე ნომერში დაბეჭდილია ინტერვიუ „აჭარისტანის მეჯლისის” თავ-მჯდომარე პასან ლორთქიფანიძესთან. იგი საუბრობს ძველი, „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისსა” და „აჭარისტანის მეჯლისს” შორის წინააღმდეგობაზე, მეჯლისის დამოკიდებულებაზე ენის, სარწმუნოების, ავტონომიის საკითხებთან; განმარტავს, რომ აჭარისტანში შედის „ზემო აჭარა, ქვემო აჭარა და ქობულეთი”. იმედოვნებს, რომ მეჯლისის გავლენა გავრცელდება „ლაზისტანის აქეთა მხარეს”, ოდონდ რას გულისხმობს ამ „აქეთა მხარეში” არ მიუთითებს. აცხადებს, რომ „აჭარისტანი უნდა მოქმედოს საქართველოსთან ავტონომიის საფუძველზე” და გაზეთის რედაქციას გადასცემს საქართველოს რევკომისადმი წარდგენილი მემორანდუმის ასლს [გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი”, 1921, № 107].

ეს მემორანდუმი მეჯლისის 9 წევრის ხელმოწერით დაიბეჭდა გაზეთის 109-ე ნომერში (13 ივლისი) მემორანდუმში ჩამოყალიბებულია აჭარის ავტონომიური მოწყობის საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალისტ-ფედერალისტის” ირგვლივ შემოკრებილი ქართველი მოღვაწეები დაუპირისპირდნენ როგორც ლორთქიფანიძის ინტერვიუში, ასევე მემორანდუმში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. 107-ე და 109-ე ნომრებშივე დაბეჭდილია თედო ლლონტის, ვახტანგ კოტეტიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ომეგას (პლატონ ქიქოძის), ეფრემ ჩახუნაშვილის წერილები, რომლებშიც საუბარია მიმდინარე ისტორიული პროცესების საჭიროობო საკითხებზე. ამ ავტორებმა მემორანდუმი პირტმინდად დაიწუნეს: გამოხატვის კილოც და ცალკეული პუნქტებიც, იქ ჩამოყალიბებული პრინციპებიც და ავტორთა შეხედულებებიც.

თედო ლლონტი წინააღმდეგია საქართველოს დაქუცმაცებისა და უკმაყოფილო „სამუსლიმანო საქართველოს” საქმეებით. ხარქს უნდის ბოლშევიკებს („ბოლშევიკების ძალა საქართველოში ჩვენ არ გვეხმის, როგორც ძალა საქართველოს დაშლისა”). მენშვიკებს ბრალს დებს, საქართველოს გულში ქემალისტების შემოყვანასა და მათთვის არტიანისა და ართვინის ოლქის გაბოძებაში. სვამს კითხვებს ძველი და ახალი მეჯლისების რაობის შესახებ და გამოთქვამს წუხილს, რომ „აჭარისტანის მეჯლისში სედაიმილეთის ხალხიც მუშაობს”. ხოლო ძველი სახეები სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტისაა, რომელთაც ბევრი ეროვნული საქმე აკეთეს, „რომლებიც გამალებით ებრძოდნენ თურქეთის შავრაზმელებს, აჭარის მოდალატებს სამარცხევინო ბოძე აკრავდნენ”, – აღარ ჩანან. თ. ლლონტი განსაკუთრებით იმის გამო წუხს, რომ ნაცვლად „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისა” ამ ორგანომ „აჭარისტანის მეჯლისი” დაირქვა და შესაბამისად, სახელწოდებიდან გამომდინარე, თავისი საქმიანობა აჭარით შემოფარგლა. პუბლიცისტი „აჭარისტანელთა შეხედულებებს” მიიჩნევს ანტიეროვნულ, ანტიქართულ შეხედულებებად და დაუშვებლად მიაჩნია „ასეთ ძალთა ხელში მოელი ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებისა და საქმეების ჩაგდება”.

ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, ახალი მეჯლისის მემორანდუმი ეროვნულად განკერძოების მიუღებელ იდეაზეა აგებული. ავტორი თვითმმართველობის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ ამ საკითხთან მეჯლისის დამოკიდებულებისა. მთავარი მისოვის არის ეროვნული ინტერესები, ანუ ის, რაც სასარგებლოა საქართველოსათვის. „რა დროს პარტიკულარიზმია, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვევლობის

პროცესში იმყოფება, როდესაც საჭიროა მთლიანობა და შედუღება. ფრთხილად, ამ აჩქარებულმა მოქმედებამ ისეთი რამ არ ჩაგადენინოთ, რისთვისაც ისტორია საპატიო ტიტულს არ მოგანიჭებთ.

ავტორის აზრით, აჭარის მეჯლისი ისე იქცევა, როგორც „მცირე ერების წარმომადგენლებს შეკვერით“. მას მიაჩნია, რომ სარწმუნოებრივი მომენტი არ უნდა წამოიწიოს წინ. სხვადასხვა რწმენის ქართველებს ერთიანი სახელმწიფოს აშენებაში რელიგია ვერ შეუშლის ხელს, რადგან, ურთიერთობისას განმსაზღვრელი არის ეროვნება. ერთმანეთის რელიგიურ რწმენას პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ და „ერი ერთი უნდა იყვანს, განუყოფელი.“

კონსტანტინე გამსახურდია კიდევ უფრო კატეგორიულია და ეს სათაურიდანაც ჩანს („ძმები ხართ თუ მტრები?“). მისი აზრით, საქართველოს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის აბსოლუტური ცენტრალიზაცია „აპარტიკულარისტური ტენდენცია, რომელიც რელიგიურ მომენტს ეკრანზე დატვირთვის დაუგებარია“. მწერლისთვის მიუდებელია ისიც, რომ მეჯლისის წევრები არ ახსენებენ ქართულ ენას, ასევე, მოითხოვენ ახალციხის მიზრის მიერთებას ბათუმის ოლქისათვის. მისი აზრით, ასეთ მოთხოვნას არც სარწმუნოებრივი, არც პოლიტიკური, არც იურიდიული საფუძველი არ გააჩნია. განსაკუთრებით მწვავეა ავტორის დასკნა თუ გაფრთხილება: „არავის დაავიწყდეს, რომ დედა საქართველოსაც აქვს იგივე ბუნებრივი უფლება დედისა, რომელიც მედეას ქონდა თავისი შვილების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტის დროს მინიჭებული.“

პლატონ ქიქოძე მეჯლისის წევრებს მგლისა და ბატქის არაკს მოაგონებს – ბატქანი, რომელმაც დედას არ დაუჭირა, მგლის ლუკმა გახდა. მოუწოდებს ქართველ მუსლიმანებს, კარგად გაიაზრონ ამ არაკის მორალი.

ეფრემ ჩახუნაშვილმა ვრცელი პუბლიკაცია უძღვნა მოცემულ საკითხს. იგი მიმოიხილავს სამსრუთ საქართველოს ისტორიას, უამთა ავტედობას და აცხადებს: „სამაჲმადიანო საქართველოს საკითხი მთელი საქართველოს საკითხია და იგი უარყოფითად გადაიჭრება მხოლოდ მაშინ, როცა ისტორია ინგებებს მთელი ქართველი ერის წესის აგებასაც. სანამ ჯერ კიდევ კაცობრიობის რუკაზე პატარა კუნძული გვიკავია, მანამ ნებას არავის მივსცემთ, ერთი წუთითაც დაგვაჭვიანოს სამაჲმადიანო საქართველოს საკითხის გადაწყვეტაში.“

„სოციალისტ-ფედერალისტის“ ორ ნომერში (104, 105) იბეჭდება მემედ აბაშიძის ვრცელი წერილი „დროისძეობა თუ სიბოროტე“. საქმე ისაა, რომ ბათუმის საოლქო კომიტეტისა და რევკომის გაზეთ „უწევებაში“ (№ 62, 1921 წ.) დაიბეჭდა ვინმე კინსანის წერილი მემედ აბაშიძის, სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტის, ძეგლი მეჯლისის წინააღმდეგ. მემედ აბაშიძე აქ წამოყენებულ ბრალდებებს პასუხობს და განმარტებებს იძლევა.

წერილის ავტორი პირადად მემედ აბაშიძეს არ ეხება, მაგრამ ეს უკანასკნელი თავს ვალდებულად მიიჩნევს, გამოეხმაუროს კინსანს, რადგან ლანძღვა ძველი მეჯლისისა სწორედ მას უკავშირდება როგორც ხელმძღვანელს. კინსანის წერილი, როგორც ჩანს, დაიწერა ქართული ინტელიგენციის ძველი მეჯლისის ბედით შეშფოთების გამო და გამოხატავს პოზიციას ბოლშევიკური ხელისუფლებისა, რომლისთვისაც მიუდებელი იყო მენშევიკების თანხმობითა და ძალისხმევით შექმნილი (თუნდაც იმქამად პოლიტიკური თვალსაზრისით სასარგებლო) ორგანოს არსებობა. შესაბამისად, გასაგებია წერილის ბოლშევიკური პათოსი.

ბრალდებათა პირველ წერილის კინსანი შემდეგნაირად აყალიბებს: „ძველი მეჯლისი, – რომელიც მიეკედლა მენშევიკურ მთავრობას და აგრეთვე

დასავლეთ ევროპის მტაცებლებს, მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებს, რომლებიც ბეგების და ხანების, მემამულეების და კაპიტალისტების, ერთი მუჭა მუქთახორების ინტერესების დამცველი იყო, – მენშევიკების ბატონობის შემდეგ, თავისთვის და ბუნებრივად, რევოლუციური კანონების წესით, გაშვებულად ითვლებოდა. მისი არსებობა საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც მშრომელი ხალხი გათავისუფლება მონობის უდლიდან და თავისი ხელისუფლება დაამყარა რევკომის სახით, მეტი ბარგი და მძიმე ლოდი იყო მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

მითუმეტეს, რომ ძველი მეჯლისი, არჩეული იყო მენშევიკების მიერ სრულიად ხალხის უნებურად და არანორმალურ პირობებში ინგლისელთა ბატონობის დროს, თავისი ბატონობის არის გასაფართოებლად, აჭარის ხალხისთვის თვალის ასახვებად და მზაკვრული მიზნის მისაღწევად, თავიანთი სიტიტვლის დასაფარავად”...

მემედ აბაშიძე უარყოფს ბრალდებას, „მზაკვრული მიზნების” შესახებ და განმარტავს, რომ მეჯლისის (ისევე როგორც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის) მიზანი სამუსლიმანო და საქართვისანო საქართველოს გაერთიანება იყო, რასაც უპირისპირდებოდა „სედაი მილეთის” ჯგუფი.

ახლა მოქმედი ახალი მეჯლისის უმრავლესობა „სწორედ „სედაი მილეთის” ბანაკში იყო და როგორც აქა, ისე საზღვარგარეთ ეწოდნენ საზარელ დემაგოგიას”, – წერს მემედ აბაშიძე და იმოწმებს ზემოხსენებულ „გასაყიდ ხალხს”, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1921 წლის დასაწყისში ტრაპიზონში გამოქვეყნებული ბროშურის ავტორი მოგაინგზით ბათუმში ჩამოყალიბებული მეჯლისის ერთ-ერთი წევრია. რაც შეეხება მენშევიკებთან და ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობას, წერილის ავტორის აზრით, ძველი მეჯლისის ორგანოს „სამუსლიმანო საქართველოს” გადათვალიერებაც კმარა, რომ დარწმუნდეს ადამიანი, ამ ბრალდებათა სიცრუეში. „ჩვენ არც ერთისა და არც მეორის ხათრისთვის ვმოდგაწეობდით, ჩვენ დავისახეთ მიზნად ისტორიული საქართველოს მმობისა და საზღვრების აღდგენა და კიდევაც შევძელით ოთხასეული წლის განმავლობაში მშობლიურ მიმართულებას ამცდარი ისტორიისათვის მიგვეცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მსვლელობა, ამას ჩვენ ვისამეს დავალებით კი არა, არამედ ჩვენი წინანდელი თაობის მიერ ჩვენდა სამკვიდროდ შექმნილი და გამოცდილი ეროვნული მეტყველება გვიკარნახებდა და რისთვისაც სინდისიერად ვმსახურობდით.”

აქვე მ. აბაშიძე შენიშნავს, რომ თვით ახლი მეჯლისის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის მისი თავმჯდომარე ჰასან ლორთქიფანიძე იზიარებდა „გამათავისუფლებელი კომიტეტის” და მეჯლისის პრინციპებს. კერძოდ, რელიგიურ საკითხებში ძველისა და ახალი მეჯლისის წარმომადგენლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. ლორთქიფანიძე თავის დროზე მიიჩნევდა, რომ დაუშვებელია საეკლესიო ქონების (მაშასადამე, ვაკუფებისაც) სახელმწიფო ქონებად გამოცხადება, რაც შარიათის საწინააღმდეგოა. იგი ეწინააღმდეგება აგრეთვე იმას, რომ „რელიგიური აღზრდა და სწავლება მოისპოს სკოლაში.” იგივე შეხედულებები გვქონდა და გვაქვს ჩვენცო.

მემედ აბაშიძე ეხება ასევე ხალხთან ურთიერთობის საკითხებს და მიზნებს, რომ მეჯლისის საქმიანობა ამ თვალსაზრისითაც სამაგალითო იყო. ის, რომ მეჯლისში ბეგებიც იყვნენ, ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეებს ხელს არ უშლიდა.

მემედ აბაშიძის სიტყვით, მეჯლისს არც ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობის პრობლემა ჰქონია. „მთავრობამ იცნო ძველი მეჯლისი და თუ ამ ცნობას შემდეგ არასასურველი შედეგი მოჰყვა, აქ გაუგებრობას უნდა ჰქონოდა ადგილი და არა იმას, რომ ძველი მეჯლისი გაშვებული იყო იმავე თავიდან” [გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი”, 1921, № 105].

„სოციალისტ-ფედერალისტი”, როგორც ვთქვით 26 ივლისამდე გამოდიოდა, შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა და ერთხანს იგი შეცვალა გაზეთმა „ტრიბუნამ.” რაც შეეხება რედაქტორს, თედო ლლონტი სოციალისტ ფედერალისტური პარტიის უკანასკნელი თავმჯდომარე იყო. პარტიის დაშლის შემდეგ (1923 წ. ნოემბერი) კომუნისტურ პარტიაში შევიდა. 1926 წელს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე შეცვალა ი. ჯავახიშვილი და დაუპირისპირდა ძველ ინტელიგენციას, რომელთან ერთადაც ერთ დროს იღვწოდა საქართველოს თავისუფლებისთვის, შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა, საქმაოდ მაღალ თანამდებობაზე [ს. სიგუა, 1989. 92]. საბოლოოდ იგი მაინც 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე გ. ქართული პერიოდიკა, თბ, 1946 წ.
2. გოგოლიშვილი ოთარ, ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში (1921 წელი), თსუს პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ბილინგვური სამეცნიერო უკანალი „სპეკალი”, № 1, 2010 წ. www.spekali.tsu.ge
3. სიგუა ს, იმ ბრძოლათა ერთი მატიანე, ქურ. „კრიტიკა”, № 4, 1990 წ.
4. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი” № 30; 5 აპრილი 1921 წ.
5. გასაყიდი ხალხი, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი”, 3 № 58, 11 მაისი; № 60, 13 მაისი, 1921 წ.
6. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი” № 105; 7 ივლისი 1921 წ.
7. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი” № 106; 8 ივლისი 1921 წ.
8. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი” № 107; 10 ივლისი 1921 წ.
9. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი” № 109; 13 ივლისი 1921 წ.

Malkhaz Chokharadze

Georgia under the Soviet Regime and the issue of Batumi Region in the oppositional press (1921) *Summary*

After establishing soviet government Bolsheviks considered it advisable to make in function socialist and Federalist Party. In the first half of 1921 the newspaper “Socialist-federalist” was published. It was written in a moderated and reconciliating manner and was loyal towards Bolsheviks, but it supported the idea of national and State organization independence.


The newspaper referred Batumi and its problems. In that difficult epoch this region underwent a number of resistances, namely, it means the issues on autonomy, Turkish and Russian political relationship, and the problem of South Georgian territories and so on.

The paper deals with the material of the newspaper “Socialist-federalist” which concerns Batumi and its problems.

თამაზ გუბრარაძე

ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშები ზღვისპირა ზოლის ლაზურ დასახლებები

ისტორიული საქართველოს მხარეთა შორის თავისი მომხიბლავი ბუნებით გამორჩეულია ლაზეთი, საღაც დღემდე უხვადა შემონახული დასახლების ძველქართული ტიპი და ხალხური (ლაზური) ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები.



ლაზური დასახლება

მათი შესწავლა და გამოკვლევა ნამდვილად იმსახურებს სპეციალისტთა ყურადღებას. საცხოვრებელი ნაგებობებიდან კონსტრუქციულ-მსატვრული დახვეწილობით, გავრცელების არეალით გამოირჩევა შავიზღვისპირა ზოლის ლაზური დასახლებები და შესაბამისად საცხოვრებელი ნაგებობები.



საცხოვრებელი სახლების ტიპების დასადგენად არსებობს უამრავი მასალა, მაგრამ უძველეს ტიპებთან მათი დამაკავშირებელი ხაზი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ეკოლუცია სრულად არაა გამოკვეთილი (დავითაშვილი გ., 1974:3). საკითხის შესასწავლად ავირჩიეთ საცხოვრებელი სახლის რამოდენიმე ტიპი. მართალია ამჯერად არ მოხერხდა საცხოვრებელი ნაგებობების, მასში შემავალი სათავსოების ფუნქციური დანიშნულების სრულყოფილი შესწავლა, მაგრამ გამოიკვეთა ლაზური კარმიდამოს გარეგანი თავისებურებანი, საცხოვრებლის ორნამენტაციასთან დაკავშირებული სპეციფიკა. ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ლაზური სახლი

თავდაპირველად ერთსართულიანი ყოფილა მიწური იატაკით და შუაცეცხლით. გონიო-სარფის ლაზურ მოსახლეობაში ამ მთავარ სათავსოს რამდენიმე სახელით მოხსენიებენ: ოხორი-საკუთრივ ლაზური სახელწოდება, სამყოფი სახლი, სამზარეულო, მუთვაღი (მუთვაღი თურქულიდანაა შემოსული) და ა. შ. (მიქელაძე ჯ., 1982:49). ი. ადამია ამ სათავსოს საჯალაბო დარბაზს უწოდებს და მას ლაზური საცხოვრებლის აღრინდელ საფეხურად მიიჩნევს (ი. ადამია, 1965:49). მართლაც, სამყოფ სახლს ლაზურ საცხოვრისში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ყველა სხვა სათავსო მასთანაა დაკავშირებული.



ჩვენთვის საინტერესო საცხოვრებელი მდებარეობს სოფელ ჩაღლაინ ქოში (ფინდიკლი) საკარმიდამო ნაკვეთში, სოფლის ცენტრალური ჯამი-მეჭელეს ტერიტორიაზე და ექვთვნის შევქი პასანდლის. რიყის სხვადასხვა ფერის ქვისა და ხის კონსტრუქციის კომბინირებით აშენებული სახლი მნახველზე ახდენს წარუშლელ შთაბეჭდილებას. ასეთ სახლს „ფახვერკიან//ჩაღანგარიან//ტოლმიან“ სახლსაც უწოდებენ (შოშიტაშვილი ნ., პაპიაშვილი თ., 2010:99). შენობის კედლების კონსტრუქცია წარმოადგენს დგარულ სისტემას, რომელშიც ჩასმულია ოთხუთხვანი, მცირე კვეთის რიგულები. მათი მეშვეობით მიიღება კვადრატული ხარისხი, რომელშიც კირის ხსნარით ჩამაგრებულია სხვადასხვა ფერის ქვები. შიგნიდან კედლები შეფიცრულია. კედლის ასეთი კონსტრუქცია ზრდის საცხოვრებლის მდგრადობას (შოშიტაშვილი ნ., პაპიაშვილი თ., 2010:99).



შენობის პირველი სართული წარმოადგენს ქვით აშენებულ, ხის იატაკიან და სანათურიან (საქონლის პატივის გასაყრელი ადგილი) საჯინიბო-

სა და ახორს. შესასვლელი დერეფნით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ახორის მოქცევა საცხოვრისის სისტემაში შედარებით ძველი ტრადიციაა, რაც მოგვიანებით შეიცვალა მისი გაერთიანებით სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებთან, განსაკუთრებით კი საბძლოთან (შოშიტაშვილი ნ., პაპიაშვილი თ., 2010:101).

კარ-მიდამო დასახლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და გულისხმობს საცხოვრებელი და შრომის ადგილის ერთიანობას (ჩიტაია გ., 1953:201). თვით კარ-მიდამო თავისთავში აერთიანებს როგორც საკარმიდამო მიწის ფართობს, ისე მასზე განლაგებულ საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს, რომელთა მშენებლობის ტექნიკა, ესთეტიკური გემოვნება, კულტურათა შესამების თავისებურებები, ბუნების აღქმის სახე ეფუძნება ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას.

ლაზეთისათვის ტრადიციული კარმიდამოს ტიპი დღესაცაა შენარჩუნებული, ყოველ შემთხვევაში კარგადაა დაცული კარ-მიდამოს მოწყობის ძირითადი საფუძვლები. დაკვირვებული თვალი შენიშნავს კარ-მიდამოს სტრუქტურის უმნიშვნელო ცვლილებებსაც. შევქი ჰასანოლლის კარ-მიდამოს გარკვეული მოსაზრებით, შეიძლება ვუწოდოთ ტიპიური, კლასიკური ლაზური კარ-მიდამო, რომლის ტერიტორიაზე აშენებული საცხოვრებელი ხითა და ქვით ხურობის ტექნიკის მაღალ დონეზე მეტყველებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლაზური საცხოვრისისათვის დამახასიათებელი დეკორი, ორნამენტი, მხატვრული გაფორმება. ზოგიერთი სახლის კედელზე გამოხატულ ხახატებში იკითხება მეთვრამეტე საუკუნის სტამბოლში, უფრო ადრე კი თოვჭაფის სასახლეში არსებული ფოლკლორული ვერსიები, ქალაქის საუკეთესო ხედები, გემები, და ა. შ., რაც უდაოდ არის მოგვიანო მოვლენა და შემკულობაში დომინანტი ეთნოსის გავლენას უნდა მიეწეროს, თუმცა ეს სრულიადაც ვერ უცვლის აქაურ საცხოვრებელს დაზურ (ქართულ) იერსახეს და თავისი კონსტრუქციით, მშენებლობის ტექნიკით ქართული ხალხური საცხოვრებლის ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს. აქაურ საცხოვრისში აშკარად ჭარბობს ტრადიციული ორნამენტები, მათ შორის სიცოცხლის ხე. ასეთი შემკულობა პოპულარული იყო მეცხრამეტე საუკუნეში. 6. მარის თქმით აქაური „ორნამენტი ქვაზე დეკორატიული კეთილდობისა იმეორებს ქართული ქრისტიანული არქიტექტურის მოტივებს“ (მარი ნ., 1910:631). მნახველის განცვიფრებას იწვევს ჩუქურთმები, ხეზე და ქვაზე კვეთილობის ბრწყინვალე ნიმუშები.




საცხოვრებელი ნაგებობის ფასადი სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციით უკავშირდება სახურავს. ფასადი მოხატულია სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებით, მცენარეული მოტივებით. ფასადის ქვის კვადრებიანი კედე-


ლი ლაზურ სახლის დეკორს განსაკუთრებულ დახვეწილობას და სილამაზეს ანიჭებს. ხის პატარა კვადრატული ჭდეები მთლიანად ფარავს კედლის გარე ფასადის მხარეს. მუქი ფერის ხის ოთხეუთხა ჭდეებში ჩასმულია განსხვავებული ფერის შედარებით დია ქვები. ეს ქვები დამუშავებული და მოპირკეთებულია და მიღებული აქვს მარმარილოსებრი ბრწყინვალება. სწორედ ეს ანიჭებს ლაზურ სახლს განსაკუთრებულ სილამაზეს. აქაური სახლების საუცხოო მახასიათებელი სიმეტრიული წყობაა. მნახველისათვის ლაზური სახლი ნამდვილად უჩვეულო სანახავს წარმოადგენს.



ლაზური საცხოვრებლები ძირითადად ისეთ ადგილებზეა აშენებული, საიდანაც იშლება ბრწყინვალე ხედები. ფანჯრების გასწვრივ, როგორც წესი, დგას ხის ტახტი, რომელსაც აქვს ზემოდან ასახდელი კარი. ამდენად, ეს ტახტი სათავსოს ფუნქციასაც ასრულებს და იგი საცხოვრებლის განუყოფელი ატრიბუტია.

საცხოვრებელს აქვს ორ-ორი, ზოგჯერ სამ-სამი შესასვლელი ორი მხრიდან. ლაზური საცხოვრებლის სხვადასხვა სათავსოებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე.წ. დიდი ოდა. იგი უფროსი მამაკაცისა და უფროსი ქალის სამყოფია (სარფსა და გონიოში სახლის უფროს მამაკაცს „ოხორიშ საიბს“, ხოლო უფროს ქალს „ხინი ბადი“-ს უწოდებენ). სწორედ დიდ ოდაში იყო გამართული ბუხარი, კედლის თრიკე მხარეს კი სექვი. იაზაკი ფიცრულია. ამ ოთახში იძინებდნენ 8-10 წლამდე ასაკის ბავშვებიც. ამავე ოთახში იდებდნენ სტუმარსაც, დასაძინებლად კი გადაჰყავდათ სასტუმრო ოთახებში.





კარები-სიცოცხლის ხე

ლი ბორჩხისა და მურღულის რაიონის სოფლებში. ცხადია, იქაური სახლებიც ლაზი ოსტატების მიერაა აშენებული. ამ ტიპის ორნამენტში ვაზთან ერთად ფიგურირებს სხვა მცენარეებიც. მაგ. მუსულმანი ბულგარელების სოფელ რიბნოვოში დაგაფიქსირეთ საცხოვრებელი, რომლის კედელზე პალმაა გამოსახული.



საკეთვრებელი სახლი სოფ. ბაშენიში



საცხოვრებელი სახლის ფასადი
სოფ. რიბნოვში (ბულგარეთი)

ორნამენტის ეს სახე თავისი მოტივების წარმოშობით უძველეს კულტურას გაუთვისის, მომდინარეობს ძველი ტრადიციებიდან (ჩიტაია გ., 2000:215) და პარალელურ პოულობს ქართულ, ზოგადკავკასიურ, წინააზიურ თუ ბალკანურ სინამდვილეში (ფუტკარაძე თ., 2008).

ლაზური დასახლებების ცალკეულ საცხოვრებელში გვხვდება ცალკე გამოყოფილი მამაკაცთა სამყოფი აღნილები.

კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს საცხოვრისში ბუხრის მოწყობის ტრადიცია. ბუხარი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომლის მიხედვითაც ხდება შიგა დეკორაციის ორიენტირება. ბუხრებზე გამოხატულია სიმბოლური ორნამენტები, რომელთა შორის გახვდება როგორც ასტრალური გამოხატულებანი (მაგ. ვარსკვალავები,

39

მთვარე), ისე ისლამურ-თურქული სიმბოლიკა (ნახევარმოვარე). უმარტივესი კონსტრუქციის საშუალებით ბუხრის მთელი სიმძიმე ეყრდნობა დირეგს (ბოძს), რომელიც თავისი აგებულება – დანიშნულებით ქართული სახლის დარბაზულ სისტემაში არსებულ ე.წ. „დედაბოძს“ მოგვაგონებს. მას ეყრდნობა ოჯახის მთელი სიმძიმე (ადამია ი., 1967:8-9). გათბობა თითქმის ყველგან დაკავშირებული იყო შუაცხველთან, მოგვიანებით კი ბუხართან.

ბუხრის მოპირდაპირე მხარეს, სექვების პირდაპირ არის წაბლის მასალისაგან დამზადებული საოცარი დახვეწილობის კარადა და თაროვები ე.წ. **მუსანდარა** – ლოგინებისა და ჭურჭლეულის შესანახად. მართალია დროთა სვლას მათვის ფერი შუაცხველია, მაგრამ შენარჩუნებული აქვს იშვიათი სილამაზე, რომელშიც ვლინდება სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონე. ზედაპირი მთლიანადაა მოჩუქურობებული სხვადასხვა თრნამენტით.



მრავლადაა მცენარეული მოტივები, მათ შორის სიცოცხლის ხეც. ბუხრის მეორე მხარეს გამართულია აბანო. სექვის თავში, სახლის უფროსისათვის გამოყოფილ ადგილას განთავსებული იყო ძვირფასეულობის შესანახი სკივრი. სტამბოლის საცხოვრისთა გავლენით ზოგიერთ სახლში გვხვდება ე.წ. საქანელები, რომლებიც ადრე ხშირი იყო ჰარამებანებში.



განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სხვადასხვა საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი დახრილი დია კიბე, რომელიც იშვიათია სამოქალაქო არქიტექტურაში. გაურკვეველია, როგორ შეაღწია ამ სახის კიბემ ლაზეთში. ასეთი კიბები დამახასიათებელია სტამბოლის არქიტექტურასა და მეჩეთებისათვის და შესაძლოა სწორედ მათი გავლენის შედეგია. კიბესთან ერთად ინტერესს იწვევს დახრილსახურავიანი ქვის დიდი საკვამური, რაც მიუთითებს შენობის დანიშნულებასა (საცხოვრებელი) და მასში არსებულ დიდ სამზარეულოზე, რასაც ისინი „აშხანას“ (თურქ. კერძი) ეძახიან. სახლში სამზარეულოს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას აქვს შესასვლელი ორი მხრიდან და წარმოადგენს მოჩუქურობებულ და მოხატულ თაროებიან სათავსოს. სწორედ სამზარეულოს ერთ მხარეს მდებარეობს ქვის სარტყლით, ე.წ. „სამზარეულოს ფარდით“ შემოსაზღვრული დიდი ბუხარი, რომლის საკვამური ზემოდან დია. მასში, ზუსტად ცეცხლის შუაგულში ჩამოშვებულია რკინის ჯაჭვი, რომელიც გათვალისწინებულია ქვაბების ჩამოსაკიდად.

ნიშანდობლივია, რომ გონიო-სარფისა თუ ქედის რაიონის რამდენიმე სოფელში არსებული ლაზური ტიპის სახლები ძირითადად თურქეთის ლაზისტანელი ოსტატების მიერაა აშენებული. რა თქმა უნდა, აჭარაშიც იყვნენ მშენებლები, მაგრამ ლაზები ამ თვალსაზრისით აშკარა უპირატესობით სარგებლობდნენ. გ. ჩიტაიას თქმით აჭარასა და მთელ დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ოსტატებად იყვნენ მიჩნეულნი. მათ მიერ ნაგები სახლები, ეკლესიები და ჯამეები დღემდეა მოღწეული (ჩიტაია გ., 1941:305). ნ. მარი აღნიშნავდა,

რომ ლაზი ოსტატები განთქმული იყვნენ სამხრეთ რუსეთის ზღვისპირა ქალაქებშიც კი (მარი ნ., 1910:618).

განხილული მასალიდან ნათელია, რომ თურქეთის საქართველოს ზღვისპირა ზოლში, ასევე ბორჩხისა და მურდულის რაიონის სოფლებში თანამედროვე სახლებთან ერთად ფართოდაა გავრცელებული ვერტიკალურ ჭრილში წარმოდგენილი ორ ან სამსართულიანი ლაზური, ე.წ. კომბინირებული ტიპის საცხოვრებელი. მათი შესწავლა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. წარმოდგენილი ეთნოგრაფიულ მასალა საჭიროებს შევსება-გამდიდრებას და სრულიადაც არ აქვს სისრულის პრეტენზია. ჩვენს მიერ განხილული მწირი მონაცემებიც იძლევა საშუალებას ტრადიციული კულტურით მდიდარ ლაზეთში წარმოჩნდეს ხალხური საცხოვრებლის თავისებურებანი, ქართულ (ლაზურ) საცხოვრებელთან გენეტიკური სიახლოებები და მისი აღგილი ქართულ, უფრო ზუსტად დასავლურ ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა განვითარების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამია ი., ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, „ძეგლის მეგობარი”, № 12, თბ. 1967;
2. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), თბ. 1965;
3. დავითაშვილი გ., საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია, „ძეგლის მეგობარი”, №34, თბ.1974
4. მიქელაძე ჯ., საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აჭარაში, ბათ. 1982
5. ფუტკარაძე თ., საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია პირინის მაკედონიაში, დღიური, ოქტომბერი, 2008
6. შოშიგაშვილი ნ., პაპიაშვილი თ., ტრადიციული საცხოვრებლის ნიმუშები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, „ჭოროხი” №2, 2010 წ. მარტილი;
7. ჩიგაია გ., შრომები, ტ. II, თბ., 2000;
8. გ. ჩიგაია, „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, თბ. 1941;
9. მარი ნ., თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, სანკტ-პეტერბურგი, 1910;
10. Mapp H.Ya. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского. См. дневник поездки в Шавшетию и Кларджецию, с Петербург, 1911, стр.75.

Tamaz Putkaradze

Examples of Georgian architecture in the Lazuri settlement of coastline Summary

From the time immemorial, differences and contrast of microclimate and natural – geographic conditions created different living conditions for people. These factors have contributed development of various types of living buildings on a very small area of modern and historical Georgia. In article is discussed about features of lazian dwelling.

**THE BEGINNING OF THE COLLECTIVIZATION
OF LAND IN BULGARIA
/1946 -1948/**

Up to 1944 in Bulgaria there were only a few co-operatives for a collective cultivation of land, the existed ones were based primary on state land. Besides in every village there were founded co-operatives having other kinds of activities – forestry, cooperative shops etc. which played an important role in supporting and providing the survival of the poorest peasants with a small parts land or of no private land at all.¹

On the other side since 1940 the state interfered in the economic life of the villages and especially in agriculture founding an Administration for Citizen's Mobilization to plan and impose specific kinds of yearly crops for the farmers limiting their choice to decide on themselves what kind of crops to grow.² This practice was preserved during the new communist regime to pressure the peasants to enter the cooperative agriculture farms.

At the time of the coup d'etat on 9.09.1944 the hole Bulgarian society and the Bulgarian village especially was on a crossroad. The new regime represented by the Fatherland Front led by the strongest and the best organize party – The Communist one – was primary engaged with the seizing of local power not having any long term plans. But nevertheless of this in the article 10 of the Program of the Government of Fatherland Front from 17.09.1944 several advantages of collective cultivation of land were pointed out. “The cooperative cultivation of land, the planed and specialized crops will increase the agriculture production. Crediting and farm equipment will be provided by the state”.³

The collectivization was the hardest economic and social cataclysm experienced by the common people. It was directly imported in all East-European countries from the Soviet Union after the Second World War.⁴ For the first time the abbreviation TKZS (Labor Cooperative Rural Economy) appeared in public in the middle of November 1944 when a project for a Decree for establishing TKZS was elaborated. In the beginning of 1945 the National Commission of Fatherland Front announced a month “cooperative action” in the country for attracting the villagers in TKZS. On 13 of April 1945 the Cabinet appropriated a Decree for TKZS. The Decree for TKZS freed the co-operators for a period of 3 years from state and local taxes, TKZS was also provided with state and municipality lands for a free exploitation. In July 1945 the Minister of agriculture issued a Decree for granting the TKZS with state and municipality lands, free medical care for the cooperative livestock by the state and municipality veterinary surgeons, free exploitation of the engineering and agricultural economic services, special price reduction in buying breeding stock and select seeds. From the very beginning the privileges were granted by the state to the new cooperatives at the expense of the private farms.

The other basic instrument used by the socialist state to push the private farmers to joint the cooperatives was the delivery quota – the private farmers had to give part of their

¹ Груев, М. , Преорани слогове. Колективизация и социална промяна в Българския северозапад /40 те – 50-те години на ХХ век., с. 41

² Мигев, Вл. Колективизацията на българското село /1948 – 1958/, С. 1995, с 13

³ Груев, М. , Преорани слогове. Колективизация и социална промяна в Българския северозапад /40 те – 50-те години на ХХ век., с. 73

⁴ Так там, с. 25

production to the state – 60 kg grain per decare for the first 30 decares sowed to grain.⁵ The same quotas were imposed on the other kinds of crops and on the cattle, sheep and goats. The introduced quota system for the private farmers was a form of open robbery of the poor peasantry in unknown to this moment scale. We have to keep in mind that in 1946 the deal of peasantry was 75.3% of the whole population – 5 294 people.⁶

The heavy quotas on one side and the privileges granted by the state to the co-operatives on the other side could explain the fact that by the end of 1945 the number of the TKZS-s raised to 382. The biggest part of the TKZS founders were landless or of poor land peasants⁷, and because of this reason state lands had to be added to the TKZS-s to support and stabilize them. For the first time the practice of the so called “replacements” was introduced – the replacement of estates of the private farmers included in the new founded cooperative tracts of land for pieces of land in other places. This practice was used as a basic instrument to pressure the peasants and was elaborated in the next years.⁸

The course for forcing the cooperation was renewed by the end of 1946 immediately after the elections for a National Assembly. The task was assigned to the Communist Party organizations in the villages.

The first TKZS in the Blagoevgrad district was founded on 26 of March 1948 in the village of Laki. We will consider the “case of Laki” as the first special case for destroying the private property and transforming it into cooperative.

What was specific about the village of Laki which makes it different from the rest of the villages in the region and why exactly here the first TKZS was founded about 10 years earlier from the rest of the region?

We shall try to defend several theses outlined well expressed in the village:

- There is a direct connection between the active participation of peasants from the village in the partisan guerilla fighter movement before 9th of September 1944 and the decision to give up private property in favor of cooperating the land.
- After 9th of September 1944 the renewed and gradually raising in number Communist Party organization initiated the founding of TKZS in the village and the party leadership doubled the leadership of the TKZS.

The village of Laki is a high mountain village situated in the outskirts of Pirin Mountain. In 1946 the cultivated land of the village was 2 200 decares – 70% of which on a dry or steep places. Up to 1912 the biggest part of the land was sowed with crop and forage and a small part with vineyard and fruit gardens. After the First World War the tobacco sown area increased and tobacco turned into a basic sowing after 9th of September 1944. Most of the households possessed from 5 to 10 decares, but a considerable part of the peasants were landless and worked as hired workers in the big farms.⁹ The poverty of the most of the peasants could explain the participation of the people from the village in the haidouks – in the detachments of Ivan Bogatinov and Teshovski, and later in the Macedonian Revolutionary Organization. Since 1919 Laki existed as a separate municipality. By the same year on 21th of September in the house of the teacher Georgi Popgeorgiev a party organization was founded - Bulgarian Worker Party (communists) with 20 members. In the municipality elections in 1922 almost the whole of population

⁵ Илиев, Б. , Бразди през времето, С., 2002, с.153

⁶ Живкова , В. Българското село. Социологически анализ,, С. 1993, с. 46

⁷ Безимотни – до 10 дка, малоимотни – до 20 дка

⁸ Груев, с. 78

⁹ Попов, Т. Село Лъки в миналото и сега, 1971, с. 4

voted for the Worker Party and the first municipality commune was established.¹⁰ During 1931 people from the village founded the Macedonian Revolutionary Organization (united).

Immediately after 9th of September the Worker's Party (Communists) organization in Laki was restored. On 3th of October in the presence of the secretary of the District Committee of the Worker's Party Ivan Gulev and the member of the district committee – Stefan Papalezov the first conference was held. 32 men were presented at the conference. On the second meeting of 30th of November the same year 23 people were accepted in the Party. The organization numbered 55 people.¹¹

On the last meeting for 1944 23 women entered the organization and it numbered 78 members. In the organization entered almost the whole village. New local authorities were entitled – former partisans and their supporters. As a mayor of the village next to Laki – Gajtaninovo, Krastjo Spiriev was entitled, who initiated the foundation of the TKZS in Laki.

In his memoirs Krastjo Spiriev has written “The foundation of TKZS in the former Nevrokop district started from the small but conscious village...As a secretary of the Party organization from its conspiracy period, after the victory on 9th of September, I had to voice first my opinion on this question to the party members and the rest of the population. I was informed about the opinion of the former first secretary of the district committee of the Party Tego Kojumdzhev who was convinced that the foundation of TKZS should not start from our village. And if in 1945 TKZS was not established in our village this was because of the negative opinion of the District Committee and its secretary. ..1945 passed over and in the beginning of 1946 the question of the founding TKZS in our village raised again. As a reason for waiting for founding TKZS in Nevrokop district the Party Bureau pointed out to the specific character of the region, the intensive tobacco agriculture, difficulties for mechanical exploitation. The truth was different. In almost all villages where the party organizations were founded after 9th of September 1944 the Party authorities were not able to face the difficulties”.¹²

²² The subject "Archive studies" for the first time was introduced in Sofia University I 1952. The next University offering a course in Archive studies was Veliko Tarnovo University "Sts Cyril and Methodius" since 1984 for History students

²³ Dujchev, Iv. Lekcii po arhivistika S., 1993, p. 39

adequate development in the scientific and scholar areas. Therefore throughout the last years from the early 1990s to now the classic and the computer archival sciences have met and the object of the academic and the scholar has been enlarged embracing along with the classic written paper records the audio-visual and the electronic records. Due to this successful combination of classic and modern documents, models and methods in the training and the research of the lecturers on history and archivology, concrete results are available like the on line project digital catalog of fonds of women and minorities in the Bulgarian archives: <http://www.history.swu.bg/temi.html>.

Another example is the successfully realized project of the chair *Bulgarian History and Archivology* at the SWU with the Archives State Agency for digitization of archival records and archives finding aids²⁴. As a result of the project a standard framework has been elaborated, adopted and implemented in all State Archives that corresponds to the European professional and technical standards, as well as unified methods for description and digitization of the National archival heritage and of the archives finding aids. Both bachelors and masters students took directly part in the construction of the module Archives' Finding Aids that embrace 124 archives' catalogs, inventories and jubilee editions digitizing of the State Archives in the country. They created also the databases of the unpublished inventories in Excel format: 28 inventories containing 30 803 files (measuring as paper equivalent more than 10 000 pages). By that the opportunities to use not only the published inventories but also the unpublished and accessible only in the research rooms of the archives have been enlarged. By the students' involvement the first digital exhibition with archival records dedicated to the 100th anniversary of the Independence of Bulgaria has been set up. <http://www.archives.government.bg/index.php?lang=bg&page=66>.

The university multimedia centre on computer archivology, digital archives and history of the local self-government and the founded under the project Laboratory for researches, training and workshops on history and archivology in the State Archives of Blagoevgrad are the places where the student seminars and practice training, and the summer scholar practice are carried out which allow the compatibility between the traditions and the modernity²⁵.

The other accent in the activities of the Multimedia center concerns the historical parallel between Bulgaria and Georgia. As a result of the research project "Politics of the Socialist State to the Muslim Population in Georgia and Bulgaria (Adjara and Blagoevgrad district), carried out by a joint team of historians, anthropologists and linguists from South-West University "Neophyte Rilsky" and Batumi State University "Shota Rustaveli", a considerable number of documents and publications for the socialist period in both countries were researched.

A special issue of "Balkanistic Forum" periodical on this topic was published and presented in November 2010 in the both Universities – the State University "Shota Rustaveli" and South-West University Neophyte Rilsky" in the presence of guests from Batumi University and the representatives from the Georgian Embassy in Bulgaria. For the period of 6 years the joint researches of scholars from South-West University and Batumi State University provided a possibility for establishing a scientific society to carry out profound investigations of the Balkan- Caucasus region in different historical periods.

The project "The Transition to Democracy in Bulgaria and Georgia (Blagoevgrad,

²⁴ Project "Digital archives – modern perspectives for the scientific circulation of the national documental heritage", 2007-2009, sponsored by Bulgarian Ministry of Education and Science

²⁵ www.digiarchive.swu.bg

Batumi): Memories, Images and Documents” 2011 was a continuation of the former researches but also it opened new possibilities for scientific cooperation between South-West University in Blagoevgrad and Batumi University. As a result of the research and collecting work documents concerning the beginning of the Club for Freedom of Voice and Democracy and the Union of the Democratic forces in Blagoevgrad were traced and compiled in a collection. Students studying History digitalized these documents and in such way a Digital Archive of the Transition was established accessible in the University Multimedia Center for then purposes of teaching Recent History, Computer Archive Studies, History of Local Self-Government etc.

The original documents were transferred to the State Archive in Blagoevgrad providing in such way a free access to the archive collection “Documents of the Transition in Blagoevgrad district” for all future researchers.

During the Georgian-Bulgarian conference ‘Bulgaria and Georgia: Historical Parallels” which was held on 30 and 31 of May 2011 in the State University “Shota Rustaveli” the parallels of transition in both countries were outlined²⁶.

The 5th anniversary of the undersigned Contract for Cooperation between the South-West University “Neophyte Rilsky” and the State University “Shota Rustaveli” was officially celebrated. The participants of the conference voted a resolution and future spheres of future cooperation between scholars from both Universities were outlined. As a final activity of the project the exhibition “That is enough – I will not keep my voice! The Archives of the Transition in Blagoevgrad **1989-1991**” opened on 30th of November 2011.

More details about the project activities and results could be found on the site of the Multimedia Center for Computer Archive Studies, Digital Archives and Local Self-Government -www.digiarchive.swu.bg.

მარიანა პისკოვა ნური მურათოვა

**ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის აღილობრივი თვითმმართველობის ისტორია და არქივები, კომპიუტერული არქივების შესწავლის მულტიმედიური ცენტრი, ციფრული არქივები
რეზიუმე**

ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის უკვე აქვს 35 წლიანი ისტორია. ის არის მესამე ბულგარული უნივერსიტეტი, სადაც ისტორიის სპეციალობა გაიხსნა და დაწინაურდა საბრძივო მეცნიერება. სტატიაში განხილულია უნივერსიტეტის, არქივების, მათ შორის ციფრული არქივების ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

²⁶ Mariana Piskova – The photo propaganda in Bulgaria by the end of the 1980s and the beginning of the 1990-s.), доц. Кристина Попова (Kristina Popova – Non formal organizations and the first democratic organizations in Bulgaria 1988-1991 - documentary traces and archives), гл. ас. Нурие Муратова (Nurie Muratova – The archives of transition to democracy in Blagoevgrad region.), гл. Ас. Милена Ангелова (Milena Angelova – The Movement “People’s memory is relating” – the Memory Policy of the Last Decade of the Communist Regime in Bulgaria (1983-1989).) и докторантите Сергей Вучков и Анастасия Кирилова (Anastasia Kirilova, Sergej Vuchkov – “Trade union activity in the Tobacco factory “Pirin” – Blagoevgrad in the period of late socialism and the transition to democracy”.

ოთარ გოგოლიშვილი

ორი მრის სახელმომარი შვილი – დიდი პუბლიცისტი და განმანათლებელი ანთომოზ ივარიძე

XXI საუკუნეში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასცლის რთულ პირობებში, ეთნოკრიზისების გაღრმავების, ძალადობის პოლიტიკის აღზევების, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედიის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის პირობებში, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის წინააღმდეგ აღმართული ხმალი ისევ ელგარებს, ქართველის აკვანზე ნასროლი ტყვია ავბედითად ზუზუნებს, მტრის ქვემეხიდან ნასროლი ჭურვის ნამსხვრევები მომავალ თაობას ჭრილობას აყენებს. სწორედ მოცემულ ეტაპზე, ისე როგორც არასდროს, ერის გონიერ წინაპართა დაღადი, მამაშვილური შემართება და თავდადება, მათი დიდებული ანდერძი, საგანმანათლებლო თუ პოლიტიკური აზრისა – ქართველ ერს გამოფხიზდების, მოქმედებისა და ახლებური აზროვნებისაკენ მოუწოდებს. ამიტომ ისტორიკოსი, პოლიტიკური აზროვნების მკლევარი ვალდებულია მოუთხროს ახალგაზრდობას იმ თავდადებული წინაპრების ნაღვაწი და ნააზრევი, რომელთა შეხედულებებს ცივილიზაციული სამყარო იმთავითვე ისისხლხორცებდა და მომავალ თაობას გადასცემდა, რამეთუ ისტორია მარტო წარსული, გარდასულ დროთა აღწერა როდია, არამედ იგი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ერის მსოფლიოს მოწინავე პოზიციებზე გასვლის შესაძლებლობის ძიების ფუნდამენტური მეცნიერება. ისტორიის მეხსიერების გარეშე ერი ვერ იარსებებს. მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს. როგორც ინგლისელი მწერალი უისტონ ჰოუ ოდენი წერდა, უმრავლესჯერ „მომავალი საკმაოდ პირქუშად გამოიყერებაო”... მომავალი ყოველთვის შეიცავს უცნაურობასა და გადაუწყვეტელს, ამდენად იგი არჩევანთანა დაკავშირებული, არჩევანი კი ადამიანის თვითონ უნდა გააკეთოს. ხვალ ისეთი იქნება როგორიც „ჩემი არჩევანია”. წერს გახმაურებელი წიგნის „ხვალ ყველაფერი გვიანია”, ავტორი იუნესკოს გერმანელი დირექტორი, ფედერიკო არიო სარაგოსა.

ქართველი ერის ისტორიაში გამორჩეულ, სახელოვან ადამიანთა პლეადაში – ტრაგიკული ბედის, ერის ბედუკულმართობის გამო სხვის მიწაზე გადახვეწილ, ტყვეთა ბაზარზე გაყიდულ, აზროვნებით მსოფლიო ცივილიზაციის დონეზე აღზევებულ – ანთომოზ ივერიელის დიდებული ფიგურა დგას. წარმოშობით ქართველი, ერისკაცობაში ანდრეად წოდებული, რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, პუბლიცისტის მქადაგებელი, მესტამბე, მწერალი და მხატვარი.

ისიც საყურადღებო ფაქტია, რომ თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური რყევადობის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჯერ კიდევ სრულყოფილად გაუაზრებლობის პირობებში, პლანეტის მოსახლეობა და მათ შორის საქართველო პუბლიცისტმა, კაცომოყვარებამ, ჰეშმარიტი პოლიტიკური აზრის დამკვიდრებამ, ურთიერთობადგომამ უნდა ისხნას, რომელსაც ორნახევარი საუკუნის წინათ სხვის მიწაზე მოღვაწე ანთომოზ ივერიელი გვიანდერდებდა და გვმოძღვრავდა.

ანთომოზ ივერიელმა მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა რუმინეთის ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს. დიდი წვლილი შეიტანა რუმინეთის სალიტერატური ენის განვითარებასა და წიგნის ბეჭდვის საქმეში.

მის მიერ დაარსებულ სტამბებში (ბუქარესტი, სნაგოვის მონასტერში, რომნიკში, ტირგოვიტეში), მისივე ხელმძღვანელობით იბეჭდება წიგნები რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ ენებზე. ანთიმოზ ივერიელის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთის დვთის მსახურებაში რუმინული ენის დამკვიდრება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუმინეთის სასულიერო და საერო მწერლობის განვითარებისათვის.

ანთიმოზ ივერიელისა და მისი მოღვაწეობის წყალობით საფუძველი ჩაეყარა რუმინელი და ქართველი ხალხების მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობას.

მეცნიერთა და მკვლევართა არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ანთიმოზ ივერიელის ვინაობის, მისი მოღვაწეობის დაადგენას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხი ბურუსითაა მოცული.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე მრავალი ნაშრომი და პუბლიკაცია მიეძღვნა ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის გაშუქებას. აქედან საყურადღებოა: ა. ხახნაშვილის, „ქართველი მოღვაწე უცხოეთში” („ივერია” №63, 1898წ.), პ. კარბელაშვილის („იერარქია საქართველოს ეკლესიისა”), თბ. 1900 წ., ზაქარია ჭიჭინაძის „ქართული სტამბა” (1627-1916 წ.წ.), დ. კარიჭაშვილის „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია” (თბ. 1929 წ.), პაატა გუგუშვილის „ქართული წიგნი” (1629-1929 წ.წ) და სხვათა შრომები. მაგრამ დასახელებულ შრომებში არაფერია ნათქვამი ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, დაბადებისა და ახალგაზიდობის წლებზე. ქ. შარაშენიძე („პირველი სტამბა საქართველოში 1709-1722”, თბ., 1917 წ.) და ფ. ჯინჯიხაძე („ანთიმოზ ივერიელი”, თბ., 1967, რუსულ ენაზე, გვ. 11) ანთიმოზ ივერიელის დაბადების თარიღად 1650 წელს მიიჩნევენ.

ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლას და მის მართებულად გაშუქებას ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ოთარ გვინჩხაძემ. იგი მიუთითებს: „ჩვენი აზრით, ასეთი კატეგორიული განცხადება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე საბუთი, რომელიც ივერიელის დაბადების წელზე ზუსტად ან თუნდაც მიახლოებით ლაპარაკობდეს. ვფიქრობთ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტვით, რომ ჩვენში გავრცელებული ლიტერატურის გარდა, რომელიც ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, უცხოეთში არ არსებობს არცერთი საბუთი ან გამოკვლევა, რომელშიც მითითებულია ანთიმოზ ივერიელის დაბადების წელი” (ო. გვინჩხაძე, ანთიმოზ ივერიელი, თბ., 1983, გვ. 21).

გიორგი ლეონიძე წერდა: „ანთიმოზ ივერიელი დაიბადა 1650 წლის ახლო ხანებში” (ჟურნალი „დოკა”, №2, 1957, გვ.26). აღნიშნული მოსაზრება დაედო საფუძვლად მომდევნო წლებში ქართველი მკვლევარების მოსაზრებას, ხოლო რუმინელი მკვლევარი თ. ჩერბულატი მართალია მიუთითებს ანთიმოზ ივერიელის დაბადებისა და გარდაცვალების წლებს, მაგრამ სარწმუნო მასალების უქონლობის გამო, დაბადების წლებზე დასმული აქვს კითხვითი ნიშანი. რუმინელი მეცნიერი დ. ბოგდანი, რომელმაც ანთიმოზ ივერიელის გარდაცვალებიდან 240-ე წელს მიუძღვნა ნაშრომი, დასძენს: „ანთიმოზ ივერიელის ბაგშვობა და ყმობა...ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი”.

ოთარ გვინჩხაძე, არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ასკვნის: „ერთადერთი წყარო, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც ვიმსჯელოთ ანთიმოზ ივერიელის დაბადების წელზე, ეს არის ანთიმოზ ივერიელის ფრესკული პორტრეტი, შემონახული გოვოროს

მონასტრის ერთ-ერთ კედელზე და დათარიღებულია 1706 წლით, და თუ მხედველობაში მივიღებო, რომ ანთიმოზ ივერიელი ამ პორტრეტზე ხანში შესულ ადამიანად გამოიყურება! მისი დაბადების დროდ შეიძლება მართლაც მივიჩნიოთ 1650 წელი”.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ XVII საუკუნის დამდეგიდან ქვეყანა ორი მტაცებლური იმპერიის საბრძოლო ველად იქცა. ერთი მხრივ თურქეთი და შეორე მხრივ საარსეთი საქართველოს დაპყრობა- დანაწილებისათვის იბრძოდნენ და ეცილებოდნენ ერთმანეთს. საქართველო ფიზიკური გადაშენების საშიშროების წინაშე დადგა. ამ გამუდმებული ბრძოლის პროცესში ყველაზე მეტი საშინელება ტყვეთა ვაჭრობა იყო. ძალად მოტაცებული ქართველი ვაჟკაცები და გოგონები თურქეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის მონათა ბაზრობებზე იყიდებოდა. როგორც ირკვევა, საქართველოსათვის ამ მრისხანე წლებში ბედმაშორს მოისროლა ანთიმოზ ივერიელი. იგი 16 წლის ასაკში ჩაუყვანიათ კონსტანტინებოლის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად.

მეცნიერთა დიდი ნაწილი და არსებული საბუთები მიუთითებს, რომ ანთიმოზი მოტაცებული იყო შავი ზღვის სანაპიროებიდან. აქედან უფრო ხშირად იტაცებდნენ ახალგაზრდებს მონათა ბაზრობებზე გასაყიდად. ამ ბაზრობიდან იგი გამოუსყიდია იმდროისათვის სტამბოლში მყოფ იერუსალიმის პატრიარქს დიქნისეს. იერუსალიმის პატრიარქის კარზე ანთიმოზი იმყოფებოდა 1689 წლამდე, ე.ი. 30 წლის ასაკამდე.

ოთარ გვიჩნიიბის მტკიცებით, „ანთიმოზ ივერიელი იერუსალიმის საპატრიარქოს კარზე იზრდებოდა 16 წლიდან დაწყებული, თოთქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, სადაც მან მიიღო „ენციკლობედიური განათლება“ და დაფულა ხელოვნების სხვადასხვა დარგს: მხატვრობას, მეჩუქურთმეობას, კალიგრაფიას, ხუროთმოძღვრებასა და სხვა. კონსტანტინეპოლში არსებულ ბერძნული სტამბებში ანთიმოზმა შეისწავლა მესტამბეობა. კონსტანტინე ბრინჯოვიანუმ ვლახეთში სასტამბო საქმიანობის გასაუმჯობესებლად ანთიმოზ ივერიელი ჩამოიყვანა კონსტანტინეპოლიდან. ანთიმოზ ივერიელი ვლახეთში ჩასვლის შემდეგ დაეუფლა ძველ სლავურ ენას და სხვა“ ყურადსალებია ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის იერუსალიმის პატრიარქს სისტემატური მიმოწერა პქონდა საქართველოს მეფესთან და საქართველოს კათოლიკოსთან. პატრიარქის ერთერთ წერილში კი ნათქვამია: „თქვენი წერილი მეტად ვრცელია, მაგრამ ვის გადავათარგმნიო? ათასჯერ გთხოვთ, რომ გამომიგზავნოთ ერთი მონა, რომელს აღვზრდიდით, ვასწავლიდით, შემდეგ კი თქვენს წერილებს გადავათარგმნინებდით“ (ო. გვიჩნიება, ანთიმოზ ივერიელი, თბ., 1983, გვ.64).

წერილი ნათლად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, თუ რა მიზნით იქნა ანთიმოზი გამოსყიდული. ის კი ცნობილია, რომ გამოსყიდვისას ანთიმოზმა კარგად იცოდა მშობლიური ენა და წერა-კითხვა. იგი სწორედ იმ დროს იქნა გამოსყიდული, როდესაც იერუსალიმის პატრიარქი კონსტანტინეპოლიში იმყოფებოდა.

ფლორენციელი დე კარო, ვლახეთის გოსპადარის კონსტანტინე ბრინჯოვანუს პირადი მდივანი, შესანიშნავად აფასებდა ივერიელის თვისებებს, მის ნიჭისა და უნარს. „ანთიმოზ ივერიელი იყო მრავალმხრივ ტალანტით დაჯილდოებული, კარგად ესმოდა ხელოვნების მრავალი დარგი, განსაკუთრებით კი ხეზე ამოკვეთა, ხატვა და გრაფიკა... რომ ანთიმოზმა ვლახეთის მიტროპოლიტმა, ყოფილმა მონამ, თავისი ნიჭის წყალობით მიაღწია რუმინეთის ეკლესიის მეთაურის უმაღლეს საფეხურს.“

ანთიმოზ ივერიელის მოდვაწეობაში უპირველეს კოვლისა ტიპოგრაფიულ საქმიანობას გამოყოფენ. რუმინელი პროფესორი ვ. ჩიობანუ წერს: „ქართველი მდვდელთმთავარი ანთიმოზი XVIII საუკუნის დასაწყისში დიდ ოოლს ასრულებდა როგორც მეცნიერი და ტიპოგრაფი”. ბუნებრივია, ეპოქის წინსვლასთან ერთად სულიერი კულტურა უფრო და უფრო ღირებული ხდება, საერო ხასიათს იძენს, რომელშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ კალიგრაფისტები. ისინი თავიანთი საქმით ხელს უწყობდნენ ენის შექმნასა და განვითარებას. სამ რუმინულ ქვეყანაში – მოლდავეთში, ვლახეთში და მუნტენიაში არ არსებობდა ერთი რუმინული ენა. უველა არსებული ლიტერატურული ძეგლი, ძირითადად საეკლესიო შინაარსისა იყო, გამოიცემოდა ძველ ბერძნულ ან ძველ სლავურ ენებზე, რაც ხალხისთვის გაუგებარი იყო. „იბრძოდნენ რა თავიანთი უფლებებისთვის, ხალხი თხოულობდა წიგნების დაბეჭდვას საკუთარ ენაზე. უნგრო-ვლახეთის სამიტოპოლოს უზარმაზარი დამსახურება ის, რომ აქაურმა მოსამსახურებმა, საბოლოოდ გააფართოეს უბრალო ენა, რომელიც თანაბრად გასაგები იყო უველა რუმინელისათვის” - წერდა ბ. ტედორესქუ.

XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ვლახეთში საფუძველი ეყრება ტაძრების აგებას, აღდგენენ მონასტრებსა და ეკლესიებს, თანაც აგებდნენ დიდი გემოვნებითა და ორიგინალური არქიტექტურული სტილით. მრავლადაა განათლებისა და კულტურის ცენტრები. მაგრამ კულტურულ-საგანმანათლებლო წინმსვლელობას ვეღარ აუდიოდა ერთი სტამბა, რომელიც დაარსებული იყო 1678 წელს.

სწორედ ამ გარემოების გამო ვლახეთის მმართველი წრების მიერ ბეჭდვითი საქმის წინამდღვრად კონსტანტინეპოლიდან გადმოიყვანეს ანთიმოზ ივერიელი, რის შედეგადაც ვლახეთში საფუძველი ეყრება და ფუნქციონირებას იწყებს 4 ახალი სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდებოდა: რუმინულ, ბერძნულ, ძვ.სლავურ, არაბულ და თურქულ ენებზე.

აკადემიკოსი ად.როსეტტი წერს, რომ „კონსტანტინე ბრინკოვიანუ (ვლახეთის მეფე 1688-1714 წ.წ.) ანთიმოზის შესახებ კონსტანტინეპოლში გაიგებს. ანთიმოზს იმ პერიოდისათვის მეტად ფართო ინტერესების სფერო ჰქონდა. იგი იყო დახელვნებული ტიპოგრაფიაში, იყო აგრეთვე ბრწყინვალე კალიგრაფისტი, ხეზე კვეთის თსტატი, მხატვარი. ქართული ენის გარდა იცოდა თურქული, არაბული, ბერძნული ენები. ვლახეთში ჩამოსვლის შემდეგ ისწავლა რუმინული და საეკლესიო სლავური ენები.

„მთელი ბეჭდვითი საქმიანობა ვლახეთში – წერდა ქსენიპოლი - დაკავშირებული იყო ერთადერთ – მბეჭდავ ანთიმ ივერიელის სახელთან, რომელიც შემდეგ დანიშნეს სნაგოვის მონასტრის წინამდღვრად, რუმინსკის ეპისკოპოსად და ბოლოს უნგრო-ვლახეთის მიტოპოლიტად.”

ანთიმოზ ივერიელი ვლახეთში მუშაობას იწყებს 1691 წელს ხელოსან-ტიპოგრაფისტად, მაგრამ ამავე წელს ზაფხულში გოსპოდარი ბრინკოვიანუ მას ნიშნავს ბუქარესტის ტიპოგრაფიის ხელმძღვანელად.

1691 წელს ბუქარესტის სტამბაში გამოიცა წიგნი „66 თავი ბერძნთა თვითმპერობელის ბასილი მაკედონელის შეგონებითა”, რომელსაც ხელს აწერს „ანთიმოზ მდვდელ-მონაზონი”. ამით ვლახეთში იწყება ახალი ხანა ბეჭდვითი საქმის განვითარებაში. ეს პირველი წყაროა, სადაც მოხსენიებულია ანთიმოზ ივერიელის სახელი და რითაც დასტურდება მისი ყოფნა ვლახეთში. წიგნის ბეჭდვა მას მიაჩნია ერისა და ქვეყნის საერთო საქმედ. იგი მოუწოდებდა მესტამბეებს დაუფლებოდნენ ამ დიდ მნიშვნელოვან სპე-

ციალობას და ამასთან შეასწავლონ ეს ხელოვნება სხვებსაც, „ვინაიდან არ დაშვრეს საქმე წიგნის ბეჭდვისა”.

წიგნის ბეჭდვა ანთიმოზ ივერიელს „მოყვასისადმი” უდიდეს დახმარებად და საზოგადოების თანადგომად მიაჩნდა. ამის თაობაზე იგი წერდა: „რადგან ბეჭდვითი ხელობის გარდა მე არა გამაჩნია სხვა ძალა დახმარება აღმოვუჩინო მოყვასს, ამიტომაც მე უარს არ ვამბობ და არც არასდროს ვიტყვი უარს იმაზე, რომ ჩემი შესაძლებლობების მიხედვით სარგებლობა მოვუტანო ჩემს ძმებს... მოყვასისადმი ზრუნვა და სიყვარული მაშინ იქნება ჭეშმარიტი, თუ ჩვენ ერთმანეთს დავკემარებით შეძლებისდაგვარად კეთილი საქმით.”

1693 წელს ანთიმოზ ივერიელმა ბუქარესტში გამოსცა ბერძნულ და ოუმინულ ენაზე „დვოთაებრივი და წმინდა სახარება”, რომელიც 382 გვერდისაგან შესდგებოდა, რომლითაც გააბათილა მოსაზრება, რომ რუმინული ენის სიღარიბის გამო, ამ ენაზე წიგნის გამოცემა თითქოს შეუძლებელი იყო.

1694 წ. ანთიმოზ ივერიელი აქვეყნებს თავის პირველ წიგნს „დავითიანს” რუმინულ ენაზე, რომელიც მოიცავდა 278 გვერდს. რუმინული ენის შესწავლით და ამ ენაზე წიგნების გამოცემით, მისი დაუდალავი შრომის შედეგად მან რუმინული ენა აიყვანა იმ დროისათვის განვითარებული ენების დონეზე, რუმინული ენა იქცა ოფიციალურ ენად, როგორც ეკლესიაში, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებში.

1694 წ. ანთიმოზ ივერიელი ტოვებს ბუქარესტის სტამბას და გადადის სნაგოვის მონასტერში, რომელიც აშენებულია სნაგოვის ტბაში მდებარე კუნძულზე, ბუქარესტიდან 34 კილომეტრის მანძილზე. ამავე წელს იგი სათავეში უდგას სნაგოვის მონასტერს. ანთიმოზი სნაგოვის მონასტერში გადასვლის შემდეგ, მიუთითებს მკვლევარი ნ. შერბინესკუ, „სნაგოვი იწყებს ცხოვრებას ახალი ცხოვრებით და თანდათანობით იგი გადაიქცა წიგნების ბეჭდვის ცენტრად მთელ ვლახეთში.”

1694 წ. ანთიმოზი ბეჭდავს წიგნს რუმინულ და ძვ. სლავურ ენაზე, „დვოთისმსახურების წესი 21 მაისს, დღისა წმინდა განდიდებისა”. იგი მოცავს 15 გვერდს. 1697 წ. ანთიმოზ ივერიელი ბეჭდავს „ანთოლოგიონს”, რომელიც მოიცავს 1217 გვერდს. იმავე წელს რუმინულ ენაზე ბეჭდავს „სახარებას”, რომელსაც პირველად აწერს ხელს რუმინულ ენაზე. წიგნის წინათქმაში იგი შენდობას სთხოვს მკითხველს შეცდომებისათვის. „რადგან ისევე, როგორც ადამიანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, ასევე მბეჭდავს არა ძალუძის გვერდი აუაროს შეცდომების დაშვებას”. ამავე წელს სნაგოვის მონასტერის სტამბაში გამოიცა „სახელმძღვანელო ზოგიერთი გაუგებრობათ და სსნათა შესახებ”. 1697 წ. გამოიცა ანთიმოზ ივერიელის მიერ „სლავური გრამატიკა”, 1699 წ. ანთიმოზი ბეჭდავს ძველ ბერძნულ წიგნს: „ორთოდოქსალური აღსარება... წინასწარი გამოცემა სამი უდიდესი სიკეთის შესახებ”, შემდეგ ამ წიგნს მოჰყვა „აღმოსავლური ეკლესიების დოგმების შესახებ”, ანგიოქიის პატრიარქის ათანასეს თხოვნით და ვლახეთის მთავარის კონსტანტინე ბრინკოვიანუს ხარჯით ანთიმოზ ივერიელი 1701 წ. ბეჭდავს „კონდარს” ბერძნულ და არაბულ ენაზე.

საყურადღებოა ანთიმოზ ივერიელის მოწაფის, მიხაილ იშტვანოვიჩის მიერ 1706 წელს გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში ანთიმოზ ივერიელის შეფასება, რომელიც დაწერილია არაბულ ენაზე: „როგორც ბრძენმა იოსებმა - წერს მიხაილ იშტვანოვიჩი, ადავსო ჩვენი ქვეყნის ბეღლები სანოვაგით, ასევე შენმა სიყვარულმა დვთისადმი აღავსო ჩვენი ქვეყნის წმინდა ეკლესიები სულიერი სარჩოთი. რას ვამბობ - მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა?

სხვა ქვეყნებსაც. მართლმადიდებელ არაბებს შენ აგემე სიხარული სანატ-რელი სახტამბო ხელოვნებისა. დაუბეჭდე მათ საკუთარ ენაზე საეკლესიო წიგნები, რის ბედნიერებაც მათ დღემდე წილად არ ხვდომიათ”.

1701 წელს ივერიელი ბერძნულ ენაზე ბეჭდავს წიგნს „ლოცვანი”, რომლის შესახებ იგი წერდა: ვინც ამ წიგნს გაეცნობა, მას აუცილებლად და საჭიროდ მიიჩნევს ყოველი მართლმადიდებლისათვისო. ამავე წელს გამოსცა „ათონის წმინდა მთის სამლოცველო”, ამით ამთავრებს იგი სხაგოვას მონასტერში მოღვაწეობას და გადადის ბუქარესტში. აქაც ფართოდ აგრძელებს წიგნების ბეჭდვას.

ანთიმოზ ივერიელს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ვლახეთის ფარგლებს გარეთ სტამბების დაარსებაში. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა სტამბა სირიაში, ქალაქ ჰალაბში, შემდეგ საფუტელს უყრის არაბულ სტამბას, სადაც 1706 წელს დაიბეჭდა „დავითინი?“ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი წვლილი ქართული სტამბის დაარსების საქმეში. აკაკი შანიძე აღნიშნულის თაობაზე წერდა: „ანთიმოზ ივერიელმა გამოუგზავნა ვახტანგ მეფეს სტამბის მოწყობილობა და მოაყოლა წიგნის ბეჭდვის საქმის მცოდნე სტეფანე უნგროვლახელი, რომელმაც 1710 წელს ერთს ქართულად დაბეჭდილ წიგნს (კონდაპა) ბოლოში რუმინული წიგნი მიაბეჭდა ქართული ასოებით“. ქართულმა სტამბამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში (ნიკოლაიშვილი ვ., „ანთიმოზ ივერიელი“, ქურნალი „ჭოროხი“, №1, 1997, გვ. 50-51).

1708 წლის 27 იანვარს გარდაიცვალა ვლახეთის მიტროპოლიტი ოერდორე, რომელიც დიდი პატივით დაკრძალეს. მან დატოვა ანდერძი, რომ მის შემდეგ მიტროპოლიტის თანამდებობაზე აერჩიათ ანთომოზ ივერიელი. ვლახეთის მიტროპოლიტის სასახლემ, სასულიერო პირებმა ერთხმად აირჩიეს იგი მიტროპოლიტის თანამდებობაზე, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აქტში ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვალახეთის მიტროპოლიტად დანიშვნის თაობაზე ნათქვამია: „იყო არჩეულ სხვათაგან განსხვავებით, როგორც ყველაზე შესაბამისი ლვოისმოყვარე ეპისკოპოსი რიმნიკიდან ანთიმოზ ივერიელი, რათა მიეღო სამდვდელმთავრო და სამწყსო გამგეობა ამ სამიტროპოლიტოსი, როგორც კაცს, პატიოსანსა და ლვოისმოსავს, რაც ზედმიწევნით საჭიროა სამდვდელმთავრო ხარისხისათვის“.

ყურადღებას იპყრობს ანთიმოზ ივერიელის მიერ მიტროპოლიტად კურთხევის დროს წარმოთქმული სიტყვა. იგი პოლიტიკური აზროვნებისა და პუმანიზმის იდეების ქადაგების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: „კარგი ექიმი ის კი არ არის, ვინც ადამიანს გამოჯამრთელების მიზნით ტკივილს აყენებს, არამედ ის, ვინც ავადმყოფს განკურნავს სიტყვით და უმტკივნეულო საშუალებებით... ადამიანებმა იარაღისა და სიმდიდრის გარეშე, დიახ, ადამიანებმა ასწიეს არა საბრძოლო შუბები, არამედ მშვიდობის დროშა და აი, მე მოვედი თქვენთან, არა რისხევითა და მეხით, არამედ სულითა ერთობით, მინდა რომ მშვიდობითა და უსისხლოდ აღმოვფხვრათ წარმართობა, სიცრუე და ბოროტება.“

ანთიმოზმა სიტყვა წარმოსთქვა რუმინულ ენაზე. ისევ დინჯად და დარბაისლურად აუწყა მრევლს: „არ არის მარტოდენ ჩემი დამსახურება ის, რომ მე მიბოქს ასეთი მადალი წოდება, მე ვალდებული ვარ დავიცვა ჩემი სამწყსო, რომელიც სიბრძეესა და გაჭირვებაში იმყოფება, რომელიც მომდინარეობს იმათგან, ვინც უსამართლოდ ფლობს ამ ქვეყანას, თქვენთან ერთად მეც მოწოდებული ვარ შევსვა ის სიმწრის ფიალა, რომელიც ღმერთმა გვიბოძა.“

ფრანგი მეცნიერი ე. პიკო წერდა: „ანთიმოზის დამსახურება განსაკუთრებით დიდია, გინაიდან მან უცხო ქვეყნიდან, შორეული საქართველოდან მოსულმა ადამიანმა მოგვცა რუმინული პატრიოტიზმის ბრწყინვალე მაგალითი.”

ანთიმოზ ივერიელი, როგორც პატრიარქი, შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის მრევლს: „მოიქციო ისე, როგორც მე გატყვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგატყდებათ რისხვი საეკლესიო კანონებისა. ჩურავინ იფიქრებს იმას, რომ მღვდელმთავრის რა საქმეა ჩვენს პირად საქმეში ჩარევა. დღეიდან იცოდეთ, რომ მე მეხება ყველაფერი, რაც ცხოვრებასთან, ბედთან და ყველა იმ პირთან არის დაკავშირებული, ვინც რუმინეთის მიწაზე ცხოვრობს, დაწყებული მცირებლოვანთაგან დამთავრებული ჭაღარათი მოსილ მოხუცამდე. იმათი ცხოვრებაც კი, ვინც მართმადიდებლურ ქრისტიანობას არ აღიარებს.”

მკვლევართა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანთიმოზ ივერიელის ნაშრომს „ანთიმოზის მონასტრის წესდება”. პირაქეში (შესავალი) საფუძვლიანადაა განხილული სამონასტრო ცხოვრების ყველა საკითხი: წესდება ამოსავალი პუნქტია – მონასტრის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. იგი მონასტრის წინამდვარს აძლევს დარიგებას, რომ შემოსავლის ნაწილი გამოყოს დარიგებს, მკაცრად განსაზღვრულია რაოდენობა და მათი შემოსავლები. ამასთან ერთად, მისი აზრით, შემოსავლების ნაწილი უნდა ხმარდებოდეს კულტურის განვითარებასაც. ნაშრომში ჩამოთვლია ყველა საქველმოქმედო ღონისძიება, რომელიც მონასტრის ხელმძღვანელობით უნდა ხმარდებოდეს დარიბი ოჯახების ბავშვების გამოკვებას, აღზრდას, მათთვის ტანსაცმლის მიცემას. „წოდების” სპეციალური თავი მიძღვნილია უდარიბების ბავშვების სწავლებისადმი, რომ მონასტრის ხარჯით რამდენ ბავშვს უნდა ესწავლა და ა.შ.

ანთიმოზ ივერიელს მხედველობიდან არ გამორჩენია წიგნის ბეჭდვის პრობლემა. იგი საუბრობს ოსტატ-ტიპოგრაფიისტების აღზრდისათვის საჭირო თანხის რაოდენობაზე. თითოეული მათგანისათვის საჩუქრად უნდა მიეცათ წიგნი, რომელსაც ისინი დაბეჭდავდნენ. იგი მოითხოვდა მონასტრის წიგნსაცავის აღწერას, წიგნების გაცემაზე კონტროლის დაწესებას და ა. შ.

„ანთიმოზის მონასტრის წესდების” შინაარსი და სტრუქტურა, მასში ჩაქსოვილი დრმა აზროვნება და განსწავლულობა, თვალნათლივ მიუთითებს ანთიმოზ ივერიელის მაღალ ერუდიციაზე, პოლიტიკურ შეხედულებებზე, თუ როგორ იბრძოდა იგი ხალხის განათლებისა და მორალური სიწმინდის ამაღლებისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის.

ანთიმოზ ივერიელი თავის სასულიერო თუ საერო მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას აქცევდა. „ყოვლად წმინდათა” მონასტრის შედგენისას დაბეჯითებით მოითხოვდა: „ყოვლად წმინდათა მონასტერი არასოდეს დამორჩილებული არ უნდა ყოფილიყო, არც საპატიორებო ბატონობით დამონებული, არც ხელმძღვანელობის თვითხელობით და არც სახელმწიფო პირების მხრივ, არამედ მარად, ყოველმხრივ თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი და უბატონო უნდა დარჩენილიყო. დამორჩილებოდა და მართული ყოფილიყო მხოლოდ წინამდგრისა და 5 ეპისკოპოსის მიერ, რომელსაც თავის დროზე აღმასრულებლად და მეთვალყურედ დააყენებდა უშუალოდ თითონ წინამდგვარი. არავითარ სხვა რომელიმე წოდების, მდგომარეობისა და რანგის ადამიანს არ შეეძლო რაიმე გვარად სიტყვით ან საქმით ჩარეულიყო მონასტრის მმართველობაში.” იბრძოდა რა ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის, სათავეში ედგა საერო ანტიოსმალურ პატრიოტულ-განმათავი-

სუფლებელ მოძრაობას. ეს ის პერიოდია, როცა რუმინელი ერი იბრძვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლის პროცესში ანთიმოზ ივერიელი „რუსულ პოლიტიკას” ატარებდა. ეს პროცესი ყველაზე მეტად გამოვლინდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მაგრამ რუმინეთის მმართველმა წრებმა, მისმა მოწინააღმდეგებმა, რომელნიც შურით იყვნენ აღვსილი ანთიმოზ ივერიელის წარმატებით, გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. 1712 წლის 13 იანვარს კონსტანტინე ბრინკოვანუს წარმომადგენელმა წინადადება მისცა ანთიმოზ ივერიელს უსიტყვოდ დატოვებინა მიტროპოლიტის თანამდებობა და რუმინეთი. 15 იანვარს ანთიმოზ ივერიელი უგზავნის წერილს რუმინეთის მთავარს და ტოვებს ვლახეთს, მაგრამ მის მოწინააღმდეგებს არ ასვენებდათ ანთიმოზ ივერიელის ცოცხალი პიროვნება. საამისოდ გადაწყვიტეს მისი საბოლოოდ თავიდან მოშორება.

1716 წლის 16 სექტემბერს იგი შეიპყრეს, აჟყარეს სასულიერო დირსება (დაუბრუნეს ერისკაცობის სახელი – ანდრია) და მიუსაჯეს სამუდამო ექსორია სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში. არც ამით დაკმაყოფილდნენ, ხალხის შიშით იგი დამით თურქი ჯარისკაცების თანხლებით გააძევეს ქვეყნიდან, მაგრამ სინას მთაზე მას არ მიუღწევია, გალიპოლის მახლობლად იგი თურქმა ჯარისკაცებმა აკუშეს და მდინარეში გადაყარეს.

უერადღებას იპყრობს ანთიმოზ ივერიელის მეურ კონსტანტინე ბრინკოვანუსადმი გაგზავნილი წერილი, სადაც იგი წერდა: „მე ამ ქვეყანაში არ მოვსულვარ არც სიდარიბისა და არც გაჭირვების გამო, სნაგოვის მონასტერი მე ძალით არ ჩამიგდია ხელში და იქ გაბატონებული 7 წლის მანძილზე რაც მე შევიძინე, ყოველივე ეს მოპოვებული იყო ჩემი ოფლითა და შრომით და არა მონასტრის შემოსავლის ხარჯზე. ამას მე ყველას წინაშე ვაცხადებ...რომ მე სახელი არ შემირცხვენია და არც შემიბლავებს, ეს ჩანს იქნან, რაც მე ჩემი შრომით შევიძინე და შევმატე მონასტერს, რომელიც არ გამიღატაკებია და არც ვალებით დამიმდიმებია. მე სიზმრადაც კი არ მინახვს გავმხდარიყავი რიმნიკის ეპისკოპოსი, რადგან ჩემს თავს ვთვლიდი უდირსად და არა საკადრისად... მიტროპოლიტობაც მე ძალით არ მომიპოვებია, არც ქრისტიანობით და არც თხოვნა-მუდარით. გამკიცხოს მამაზეციერმა, თუ მე მეღონოს თუნდაც ერთი რომელიმე საშუალებათაგანი”. წერილში ანთიმოზ ივერიელი საფუძვლიანად არკვევს თუ რამ განაპირობა მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, მისი გადადგომა. მიზეზი ამისა, დასძენს ანთიმოზი, არის „ბოროტება და შური ამქვეყანად, რომელიც ყოველთვის იარსებებს”. სწორედ ამის მიზეზია ის, რომ ადამიანი ყოველთვის განმსჭვალულია შურის გრძნობით სხვა ადამიანის კეთილდღეობის მიმართ. ამიტომაც მე ვიცი, რომ არა ერთი და ორი ცდილობს თავისი შხამიანი ენით მოგწამლოს თქვენო უდიდებულესობავ, კეთილი სული და თავისი ცხოვრებით ჩაგადენიოს ის, რასაც მოიმოქმედებდი შენ, მხოლოდ შენ ახალგაზრდობის და გამოუცდელობის დროს”. ასეთი იყო დასაბამიდან, შური ასდევნებია ადამიანთა მოდგმას მისი გაჩენიდან და ბოგინობს დღესაც კეთილის, სიკეთის, ადამიანურობის, შემოქმედების გზაზე მიმავალთა დასაბრკოლებლად, რომ სიძულვილს და მტრობას სწორედ შური კვებავს. წერილში ანთიმოზ ივერიელი საუბრობს თავისი ვინაობის შესახებაც: „სხვათაშორის, ასეც ლაპარაკობენ, რომ უცხოელი ვარ - ამიტომაც მე არ უნდა ვყოფილიყავი მიტროპოლიტად, მაგრამ ქრისტეს წინაშე ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. ამასთან არამარტო მე ვიყავი უცხოელთაგანი ვლახეთის მიტროპოლიტად და ეპისკოპოსად, არამედ იყვნენ სხვებიც” (ჯაფარიძე შ., ანთიმოზ ივერიელი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული №2, 1995, გვ. 38).

ამ წერილში ანთომოზ ივერიელი საეკლესიო და პოლიტიკურ მოღვაწეობაში წარმოჩნდა როგორც სიბრძნითა და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება. მასში ვხედავთ ვაქტებისა და არგუმენტების ზუსტ არგუმენტირებას, გულწრფელობას, აზრის სიცხადითა და გამოსახვის გადმოცემის ნიმუშს.

ქველთაგანვე ცნობილია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (სირია, პალესტინა, საბერძნეთი, ბულგარეთი და სხვა) არსებობდა ქართული კულტურის კერები, რომელ შიაც მოღვაწეობდნენ ქართველი მოღვაწეები: პეტრე იბერიელი, გორგო ათონელი, იოანე პეტრიშვილი, გრიგოლ ბაკურიანი და სხვა. მათ შორის ლირსეული ადგილი ანთომოზ ივერიელს განეცუთნება.

ანთომოზ ივერიელმა სამარადჟამოდ უკვდავჭყო თავისი სახელი რუმინელი ერის ხსოვნაში. მართებულად წერს რუმინელი ისტორიკოსი ტედორესკუ: „რამდენჯერაც დახედავს მზე რუმინეთის მიწას, იმდენჯერ რუმინელი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენებს ანთომოზ ივერიელს, რომელმაც დასდო საძირქვლის ქვა რუმინეთის ეროვნული კულტურის ბალავარში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის”.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთომოზ ივერიელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული №2, 1995, გვ. 38
2. ო. გვინჩიძე, ანთომოზ ივერიელი, თბ., 1983
3. ჟურნალი „დოქა”, №2, 1957
4. ჟურნალი „ჭოროხი”, №1, 1997
5. ფ. ჯინჯიხაძე, ანთომოზ ივერიელი, თბ., 1967 (რუსულ ენაზე)

Otar Gogolishvili

*Two nation's famous son – great humanist and Enlightener
Antimoz Iverieli
Summary*

Antimoz Iverieli was one of the greatest figures in the plead of distinguished and famous people in the history of Georgian nation, the fugitives to the other lands because of misfortune and tragic fate, but at the same time raised up to the rate of world civilization according to the way of thinking. He was Georgian by origin, called as Andrew being a layman, an ecclesiastic and political figure of Romania, an enlightener, a propagator of humanistic ideas, a typographist, a writer and an artist.

Antimoz Iverieli's all creative works were dedicated to the revival of national culture of Romania. He greatly contributed to the development of the Romanian literary language and book printing business. He led the process of printing books in the Romanian, Greek, Old Slav, and Arabic languages in the typographic centers which were established by him (in Bucharest, Snagov Monastery, Romnick, Tirgovitae). The name of Antimoz Iverieli was connected with the establishment of the Romanian language in the Romanian divine service that had greatest significance for the development of the sacred and secular writing.

მაია რუზუა

პრეზისტთა პროცესიული დღესასწაულის ისტორიისათვის (წაკითხულია 2012 წ. 2 მარტს, არქივისტის დღისადმი მიძღვნილ III სამუცნიერო კონფერენციაზე)

მარტის ამ პირველ დღეებში, როცა ზამთარმა ზლაზვნით, მაგრამ მაიც აიკეცა კალთა, როცა ჭირვეული მარტის შეგზურბით შემოცერიალდა გაზაფხული, საარქივო სამმართველოში ჩვენ ორ ლამაზ დღესასწაულს ვზეიმობთ – დედის დღესა და არქივისტის, უფრო სწორად კი საარქივო დარგის მუშაკის დღეს. ეს დღესასწაული 1999 წლის 19 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის №19 ბრძანებულებით დაწესდა. მართალია ბრძანებულებას პრეზიდენტი აწერდა ხელს, მაგრამ მისი მომზადება და პრეზიდენტისადმი მიწოდება ერთი გამორჩეული პიროვნების სახელს უკავშირდება. ის დღეს ცოცხალი აღარ არის. საქართველოში იმუამად არსებული უმძიმესი მდგომარეობის (90-იანი წლები) მიუხედავად მან შეძლო ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება საარქივო დარგის განვითარების თვალსაზრისით. სხვადასხვა ორგანიზაციების ლიკვიდაციის, შერწყმა-გაერთიანების, რეორგანიზაციის თუ ოპტიმიზაციის პროცესების მიუხედავად საარქივო დარგი ვითარდებოდა, ძლიერდებოდა, მუშაობის ახალ, თანამედროვე რელსებზე გადადიოდა, საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან ახალ ურთიერთობებს იწყებდა... და რაც ყველაზე მთავარია, სწორედ მისი თაოსნობით შემუშავდა და 1995 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივონდის“ შესახებ.

მე-13 წელია საქართველოს არქივისტები ერთმანეთს ულოცავენ პროფესიულ დღესასწაულს, რომლის სულისჩამდგმელიც იყო ზურაბ მახარაძე – საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარე, კაცი საქმიანი, ზრდილი, მოზომილი, გულთბილი, მზრუნველი, იუმორის საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი ინტელიგენტი. აჭარის საარქივო დარგის მუშაკები ყოველთვის ვგრძნობდით მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მისი სტუმრობაც ყოველთვის სასიამოვნო იყო. დარიბები ვართ, მაგრამ მაიც საჩუქრებით ჩამოვედიო-გვეტყოდა ხოლმე ჩვეული იუმორით და ეს საჩუქარი სხვა არაფერი იყო, თუ არა განახლებული საარქივო წესები, ინსტრუქციები, მთავრობის ახალი დადგენილებები, პრეზიდენტის განკარგულებები თანამშრომელთა სახელმწიფო ჯილდოებით თუ საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. სამწუხაოა, რომ იმხანად ჩვენთან შექმნილი სიტუაციის გამო ბ-ნი ზურაბი ვერ გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე, რომ უამრავ თაიგულს შორის არ იყო თაიგული წარწერით: „აჭარის მადლიერი არქივისტებისაგან“.

1999 წელს საარქივო დარგის მუშაკის დღის დაწესებასთან დაკავშირებით ბატონმა ზურაბ მახარაძემ უამრავი მილოცვები მიიღო, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს გენერალური მდივნის ჟოან ვან ალბადას მილოცვის ბარათს:

„საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ მახარაძეს,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს საარქივო დარგის მუშაკის დღესთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რომ ურთიერთოთა-

ნამშრომლობა საქართველოს არქივებსა და არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს შორის იქნება ნაყოფიერი და ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს არქივისტთა საერთაშორისო ფორუმზე“.

უდრიმესი პატივისცემით უოან ვან ალბადა - არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს გენერალური მდივანი (საისტორიო მოამბე №71-72; 1998-1999წწ. ფურც. 11).

პროფესიულ დღესასწაულს ერთი განსაკუთრებულობა ახასიათებს. ეს დღე მხოლოდ ერთი პროფესიის ადამიანებს ეკუთვნით. საარქივო დარგის მუშაკის დღის დაწესება აღიარებაა იმ საქმის უდიდესი მნიშვნელობისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ეს დღე საარქივო დარგის ყველა თაობას ერთნაირად ეკუთვნის, მაგრამ განსაკუთრებით დასავასებელია უფროსი თაობის არქივისტთა დვაწლი და დამსახურება, ნებისმიერი ჩვენთაგანის ბიოგრაფიას რომ დამშვენებდა. ესენი არიან: ლილი ოთიაშვილი, თალიკო შეკულაძე, ნანა კუჭაშვილი, ნადეჯდა კოპლატაძე, რომლებიც საარქივო საქმეს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ემსახურებოდნენ.

ქალბატონი ლილი ოთიაშვილი – დაუდალავი, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და ავტორიტეტული არქივისტი. მან თავისი საქმიანობა საარქივო დაწესებულებას 1962 წელს დაუკავშირა, როცა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ინსპექტორად დაინიშნა. საქმისადმი მათემატიკური სიზუსტით მიღომა, სიფაქტე და კეთილშობილება გახდა მისი პროფესიული დაოსტატების და დაწინაურების მიზეზი. წლების განმავლობაში ქნი ლილი საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა და თავისი წვლილიც შგვერდდა სახელმწიფო არქივების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწასა და შემდგომ განვითარებაში. იგი იყო საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მდივანი და დეპარტამენტის კოლეგიის წევრი. წარმატებით უძღვებოდა საარქივო დარგის მუშაკთა პროფესიული დაოსტატების მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობას. საარქივო დარგში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია სიგელებით, მინიჭებული აქვს საპატიო წოდებები, მათ შორის აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა (1978 წ.). 1997 წელს საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა.

თალიკო შეყილაძე 1953 წელს მოვიდა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. მუშაობდა არქივარიუსად, დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფის მუშაკად, არქივის გამგედ. პასუხისმგებლობა, ნებისყოფა, საქმის სიყვარული და ცოდნა – აი, ის თვისებები, რომელმაც იგი საარქივო დარგის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტად აქცია. 50 წელზე მეტხანს ემსახურა თ. შეყილაძე საყვარელ პროფესიას. მისი პირადი საქმე სავსეა მაღლობებითა და საპატიო სიგელებით. 2000 წლის 12 მაისს საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა აჭარის არ უზენაესი საბჭოს სიგელით.

ჩემთვის დაუვიწყარია და ყოველთვის მაღლიერების გრძნობით ვიგონებ იმ სიტყვებს, რომლიც არქივში სულ რამდენიმე თვის მოსულს ქალბატონმა თალიკომ დეპარტამენტის თავმჯდომარისა და თანამშრომლების წინაშე რომ მითხრა: „რურუასგან ნამდვილად კარგი არქივისტი დაღგებაო“. არ ვიცი როგორ და რამდენად შევძელი იმ სიტყვების გამართლება, ამას მომავალი დაგვანახებს, მაგრამ არქივისტის ალლო და არქივისადმი სიყვარული ნამდვილად მისგან დამებედა.

ნანა კუჭაშვილი 1978 წელს მოვიდა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. მუშაობდა არქივარიუსად, მეორე კატეგორიის არქივისტად, არქივ-საცავის ფონდების მცველად. ზედმიწევნით კარგად იცოდა ქალბატონმა ნანამ არქივში დაცული ფონდების შემადგენლობა, პასუხისმგებლობით ეკიდა-ბოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. გეგმიური დავალების დროულად და სარისხიანად შესრულებისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოვებული იყო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. 1999 წელს გამოეცხადა აჭა-რის არ საარქივო დეპარტამენტის მადლობა, 2000 წელს კი გადაეცა აჭა-რის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ნადეჟდა – ნადია კოპლატაძე 1993 წელს დაიწყო მუშაობა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში პირადი შემადგენლობის დოკუმენტების დაცვისა და გამოყენების განყოფილებაში არქივისტად. თავმდაბალი, კე-თილსინდისიერი და უპრეტენზიო მუშაკი, ასე იცნობდნენ ნადიას არქივში. „მან მაღე აულო ალდო საარქივო საქმიანობას. განსაკუთრებით დიდ დახ-მარებას უწევს განყოფილებას რუსულენოვან დოკუმენტებზე მუშაობაში, გამოირჩევა საქმისადმი ფაქტი მიღვომით, არის კარგი მეოჯახე, დედა, ბე-ბია“-ვკითხულობთ მის სამსახუროებრივ დახასიათებაში (რ-1041 აღწ' 4, საქ318, ფურც. 14). 1998 წელს „აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის საარქივო დარგის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის“- დაჯილდოვდა საარქივო დეპარტამენტის სა-პატიო სიგელით.

მჯერა, სანამ ქვეყნად იარსებებს არქივის მიერ შესანახი და საპატირო-ნო თუნდაც ერთი ფარატინა ქალადდი, როგორც ამაგდარი არქივისტების, ასევე ჩვენს საქმიანობას დავიწყება არ უწერია, რადგან სწორედ არქივებში ინახება და არქივებშია საიმედოდ დაცული ერის გონი და სიბრძნე.

Maia Rurua

For the history of Archivist professional day Summary

By the president's decree of January 19, 1999, first week of March has been declared as Archivist Professional Day. In article is discussed about history issues connected with establishing this day and Zurab Makharadze - former chairman of Archives Administration of Georgia, merit in this case.

ელგუაზა ჩაგანავა

საპრეზიდო სამმართველოს სამმიანობის მირითადი მიმართულებები (2011 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში) (წაკითხულია 2012 წლის 2 მარტს არქივისტის დღისადმი მიძღვნილ III სამეცნიერო კონფერენციაზე)

საარქივო სამმართველომ და მისმა ტერიტორიულმა ორგანოებმა – ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს არქივებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს 2011 წლის გეგმიური დავალებების შესასრულებლად.

გეგმიური დავალებების შესრულება მოიცავდა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფას, აღრიცხვას, სამეცნიერო – საცნობარო აპარატის შექმნა – გაუმჯობესებას, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირებას, დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას, დაწესებულებებში საქმისწარმოების მდგომარეობის შესწავლას, დოკუმენტების გამოყენებასა და პუბლიკაციას, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

გეგმის მიხედვით სამმართველოში დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად მარტივი რესტავრაცია ჩაუტარდა 35360 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25000 ფურცელისა, ყდაში ჩასმა – ჩაკერება ჩაუტარდა 501 შესანახ ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 334 შესანახი ერთეულისა. გამოვლენილი იქნა განსაკუთრებული დორებულების მქონე 1739 შესანახი ერთეული. არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა 32534 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32520 შესანახი ერთეულისა. გათვალისწინებული იყო 19 ფონდის მდგომარეობის შემოწმება, ფაქტიურად შემოწმდა 28 ფონდი. არსებობის და მგლომარეობის შემოწმება ჩაუტარდა 1310 შესანახ კინოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1000 დოკუმენტისა.

საარქივო სამმართველომ გარკვეული მუშაობა ჩაატარა დოკუმენტების გაუმჯობესება – გადამუშავების მიზნით. 2011 წელს გადამუშავება ჩაუტარდა 3277 შესანახ ერთეულს, გაუმჯობესება ჩაუტარდა გეგმით გათვალისწინებულ 19 ფონდს, მაგულატურაში გამოიყო 804 საქმეთა ერთეული, აღწერილობით სიები შედგა 1473 საქმეთა ერთეულზე. გაიშიფრა საქმეთა სათაურები, დაზუსტდა კიდური თარიღები, დაიწერა ფონდის წინასიტყვაობა და წინასიტყვაობის დანამატი, თითოეულ ფონდზე შედგენილია გასანადგურებელად გამოყოფის აქტი, გადასაყვანი ცხრილები, აღწერები, გამოიყო მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმეთა ერთეულები. საექსპერტო – შემოწმებულ კომისიაზე განხილვის შემდეგ საქმეთა კატეგორიების მიხედვით მოხდა მათი გადაცემა ფონდსაცავებისათვის.

საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში 2011 წელს მიღებულია 4818 საქმეთა ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1749 საქმისა, მათ შორის: 1215 ტექნიკური ხასიათის საქმეთა ერთეული, 3603 - მმართველობითი ხასიათის საქმე, 50 ფოტოდოკუმენტი, ასევე მოქალაქეებისაგან 140 საქმე და პირადი წარმოშობის დოკუმენტები. გასათვალისწინებულია ისიც, რომ დოკუმენტები მიღებულ უნდა იქნას იმ ორგანიზაციებიდან, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს ეროვნულ არქივთან. გეგმა შესრულდა დოკუმენტების დამუშავების თვალსაზრისით (დამუშავდა 17 ორგა-

ნიზაცია), მაგრამ არ დამუშავებულა გეგმით გათვალისწინებული რიგი ორგანიზაციები. მოხდა ლიკვიდირებული და შემსვედრი არაგეგმიური ორგანიზაციების საარქივო დოკუმენტების დამუშავება, თუმცა როგორც აღინიშნა, უპირველეს ყოვლისა უნდა შესრულდეს გეგმიური დავალებები.

საარქივო სამმართველო თანამშრომლობს რეგიონის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და საჯარო სკოლებთან. ექსეურსია – გაპვეთილები ჩაუტარდათ: შარაბიძეების საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების და მეცნიერების ფაკულტეტის მაგისტრებსა და II კურსის სტუდენტებს შემდეგ საკითხებზე: „საქართველო – საბჭოთა ანგქისის პირისპირ”, „საარქივო საქმის ისტორია აჭარაში”, „სამკითხველო დარბაზში მუშაობის წესები”, „საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევებში”. გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებაში მომზადდა გეგმით გათვალისწინებული საინიციატივო ინფორმაციები და შედგა თემატური ნუსხები შემდეგ თემებზე: „საკონსულოები ბათუმში”, „მეჩეთები ბათუმში”, „აზერბაიჯან – საქართველოს ურთიერთობების ამსახველი მასალები”; მოეწყო ოთხი გამოფენა, გაზეთ „ბათუმელებში” დაიბეჭდა 3 სტატია („აარალელური სასიცარულო ბიოგრაფიები”, „წყალდიდობა 116 წლის წინათ”, „საარქივო მასალები ბათუმისა და ბლაგოვეგრადის ოეატრების ურთიერთობის ისტორიიდან”).

მომზადდა და გაიგზავნა წერილი კონსტანციას (რუმინეთი) სახელმწიფო არქივში ურთიერთობის დამყარების მიზნით. გაგრძელდა კონსულტაციები მეზობელი ქვეყნების რეგიონალურ არქივთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად. მომზადდა შესაბამისი მემორანდუმის პროექტი. მომზადდა და გაიგზავნა წერილი სოფიის კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკაში ბათუმის შესახებ არსებული დოკუმენტების თემატური ნუსხის დაზუსტებისა და მისი ქსეროასლების შემოტანის მიზნით. შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნა დასახელებული ბიბლიოთეკიდან საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების ანაწერების, მოგვიანებით კი ბათუმის შესახებ დაცული 350-მდე ოსმალური დოკუმენტების ქსეროასლისა და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მუ-18 საუკუნის პირველი ნახევრის ასომთავრული ხელნაწერის ქსეროასლის (უსასყიდლო) შემოტანა (2011 წლის ივლისი). მომზადდა და გაიგზავნა წერილები ეროვნულ არქივსა და ზუგდიდის, ახალციხის, ქუთაისის არქივებში ბათუმის შესახებ არსებული დოკუმენტების თემატური ნუსხის დაზუსტებისა და ქსეროასლების შემოტანის მიზნით.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თემატიკის შესაბამისად, საარქივო სამმართველოში ჩატარდა არქივისტის დღისადმი მიღებისთვის II სამეცნიერო (ადგილობრივი) კონფერენცია (2011 წ. 2 მარტი), ასევე ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან) - „საქართველო – ბულგარეთი, ისტორიული პარალელები” (2011 წლის 30-31 მაისი). აღნიშნული დონისძიება გაშუქდა ადგილობრივი და უცხოური საინფორმაციო საშუალებებით (გაზეთი „აჭარა”, აჭარის ტელევიზია (2011 წლის 30 მაისი), ასევე გაზეთი „სტრუმა” (ბულგარეთი) 2011 წლის 16 ივნისი). მოძიებულ იქნა საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებული ფოტო და ვიდეო მასალა. დამოტავდა საქართველოს ოკუპაციის ამსახველი ფილმი. ჩატარდა ჯ. ნოღაიდელის პირადი ფონდის გადმოცემასთან დაკავშირებული დონისძიება, რომელიც გაშუქდა პრესითა და ტელევიზიით. მოეწყო კინო – ფოტო ფონდებში დაცული მასალების მიმოხილვა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარებული დონისძიების ამსახველი მასალების

ცალკე-ცალკე საქმეებად დალაგება-თემატიკის მიხედვით და სამკითხველო დარბაზში და განყოფილებაში თითო ეგზემპლიარი განთავსება.

2011 წლის განმავლობაში სამკითხველო დარბაზი მოქმედია 18 მკვლევარს, რომელთა მიერ გამოყენებულია 209 საქმეთა ერთეული. 2011 წლის სამმართველოში მიღებულ იქნა მოქალაქეთა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის 599 განცხადება, მათგან 408 განცხადებაზე გაიცა დადებითი, ხოლო 191 განცხადებაზე უარყოფითი პასუხი. შედავათებით ისარგებლა 45 მოქალაქემ. ორგანიზაცია – დაწესებულებებიდან შემოვიდა 129 მომართვა, ამათგან დადებითი პასუხი გაეცა 62, უარყოფითი 67 მომართვას. სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა – 13654 ლარი. კანცელარიის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად უნდა დაიხვეწოს მეთოდიკა ზუსტი ინფორმაციის მიღებისა და პასუხის მოსამზადებლად. უზუსტობები ქმნის სერიოზულ სირთულეებს საარქივო ცნობის მოძიება – მომზადების თვალსაზრისით.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სამმართველოს საექსპერტო – შემმოწმებელმა კომისიამ. აღნიშნულმა კომისიამ 2011 წლის განმავლობაში ჩაატარა 7 სხდომა და განიხილა 92 საკითხი აღწერილობითი სიების, მუდმივად შესანახი – 14687 საქმეთა ერთეულის, ხანგრძლივად შესანახი – 9888 საქმის, გასანადგურებლად შერჩეული და მაკულატურაში ჩაბარებისათვის გამყოფილი – 24913 საქმეთა ერთეულის, 260 ფოტო დოკუმენტის და სხვა საკითხების შესახებ. შემუშავდა და შეთანხმდა საექსპერტო – შემმოწმებელი კომისიის 30 ორგანიზაციის საქმეთა ნომენკლატურა.

2011 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები წარმატებით იქნა შესრულებული სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების არქივებში. დოკუმენტების დაცვის უზრუნველსაყოფად მუნიციპალურ არქივებში შეიკერა და ყდაში ჩაისვა – 22 ფონდის 1131 საქმეთა ერთეული, მათ შორის ქობულეთის არქივში – 144 საქმე, ხელვაჩაურში – 177 საქმეს, ქედაში – 125 საქმეს, შუახევში – 200 საქმეს, ხულოში – 285 საქმეს. ამ თვალსაზრისითაც გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა 18 ფონდის 3657 შესანახ ერთეულს, მათ შორის: ქობულეთის არქივში – 814 შესანახ ერთეულს, ხელვაჩაურში – 1292 საქმეს, ქედაში – 353 საქმეს, შუახევში – 185 საქმეს, ხულოს არქივში – 1013 საქმეს.

საქმეთა გაუმჯობესება – გადამუშავება ჩაუტარდა 2 ფონდის 3729 საქმეს, აღწერა – 9098 საქმეს, გასანადგურებლად გამოიყო – 31 საქმე. მათ შორის – ქობულეთის არქივში გადამუშავება ჩაუტარდა – 8652 საქმეს, აღიწერა – 8628 საქმე, გასანადგურებლად გამოიყო – 24 საქმე, ხულოს არქივში გადამუშავდა – 477 საქმე, აღიწერა – 470 საქმე, გადასანადგურებლად გამოიყო 7 საქმე.

ტერიტორიული ორგანოების არქივებში 2011 წელს სულ მიღებული იქნა 4614, მმართველობითი – 1513, პირადი შემადგენლობის – 3004 საქმე. მათ შორის: ქობულეთის არქივში - 709, მმართველობითი – 558, პირადი შემადგენლობის – 147 საქმე. ხელვაჩაურის არქივში მიღებულია სულ – 1492 საქმე (მმართველობითი – 252, პირადი შემადგენლობის – 1240 საქმე); ქედის არქივში სულ მიღებულია – 532 საქმე (მმართველობითი – 159, პირადი შემადგენლობის – 273 საქმე); შუახევის არქივში სულ – 655 საქმე (მმართველობითი – 185 საქმე, პირადი შემადგენლობის 470 საქმე); ხულოს არქივში სულ მიღებულია – 1236 საქმე (მმართველობითი – 352 საქმე, პირადი შემადგენლობის – 844 საქმე). სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნა 40 ფოტო

დოკუმენტი, აქედან: ქობულეთის არქივში-18, ქედაში-4, შუახევში-10, ხულოში-8.

მუნიციპალურ არქივებში მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუგარდა 9 ფონდის – 1667 საქმეს, ანაწერი შედგა – 523 შესანახ ერთეულზე, მაკულატურაში გამოიყო – 1144 საქმე, მათ შორის ექსპერტიზა ჩაუტარდა 215 მმართველობითი ხასიათის შესანახ ერთეულს, მაკულატურაში გამოიყო 62 საქმეთა ერთეული, ანაწერი შედგა – 153 საქმეზე. პირადი შემადგენლობის დოკუმენტებიდან ექსპერტიზა ჩაუტარდა სულ – 1452 საქმეთა ერთეულს. მაკულატურაში გამოიყო – 1082 საქმეთა ერთეული, ანაწერი შედგა 370 საქმეთა ერთეულზე (აქედან – ქობულეთის არქივში ექსპერტიზა ჩაუგარდა 960 საქმეთა ერთეულს, მმართველობითი ხასიათის – 115 საქმეს, პირადი შემადგენლობის 74 საქმეს. გასანადგურებლად გამოიყო 771 საქმე. ხელვაჩაურის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა - 607 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო 528 საქმე. ქედის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 45 საქმეს. მაკულატურაში გამოიყო 7 საქმე).

2011 წლის განმავლობაში ტერიტორიული ორგანოების არქივებში შემოვიდა მოქალაქეთა სოციალურ – უფლებრივი ხასიათის 4802 განცხადება, მომზადდა – 4679 დადებითი პასუხი, უარყოფითი პასუხი გაეცა 123 განცხადებაზე. წარმოება – დაწესებულებებიდან შემოვიდა 57 მომართვა, დადებითი პასუხი გაეცა 52 მომართვას, უარყოფითი 2-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა 96070 ლარი. მათ შორის ქობულეთის არქივში შემოვიდა 945 მოქალაქეთა განცხადება, დადებითი პასუხი გაეცა 903 განცხადებას, უარყოფითი – 42-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 21400 ლარი. ხელვაჩაურის არქივში შემოვიდა 2566 განცხადება, დადებითი პასუხი გაეცა 2541 განცხადებას, უარყოფითი – 25-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა 61350 ლარი. ქედის არქივში შემოვიდა 551 განცხადება, დადებითი პასუხი გაეცა 497 განცხადებას, უარყოფითი – 54-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 3951 ლარი. შუახევის არქივში შემოვიდა – 260 განცხადება და ყველა პასუხი დადებითია. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 2430 ლარი. ხულოს არქივში შემოვიდა 480 განცხადება, დადებითი პასუხი გაეცა – 478 განცხადებას, უარყოფითი 2-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 3371 ლარი.

ტერიტორიულ ორგანოების არქივებში მომზადდა და ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა 4 სტატია სხვადასხვა თემაზე, კერძოდ: „სიახლეები ქობულეთის არქივში”, „მამია ხაბაზის ნაფეხურებზე” და ა. შ.

ჩატარდა ხუთი ექსკურსია – გაკვეთილი. მოეწყო გამოჩენილი ადამიანების პირად ფონდების გამოფენა, ხულოს არქივმა მოამზადა ერთი რადიო და ტელე გადაცემა. ქობულეთის და ქედის არქივები მოემსახურა 2 მკვლევარს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საარქივო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 2011 წელს შემოდგომაზე სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობას ჩაუტარდა სარეკონსრუქციო – სარემონტო სამუშაოები, მთლიანად შეიცვალა შენობის გარე ფასადი, კეთილმოეწყო შენობის ფოიე, სამუშაო კაბინეტები, სამკითხველო დარბაზი, გრანიტის ფილებით მოიპირკეთდა კიბეები. შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა და განათება III – IV – V სართულებზე და ფონდსაცავებში. მეორე სართულზე მწყობრში ჩადგა ახალი ჰიგიენის ოთახი. სამმართველო, მისი ტერიტორიული ორგანოების არქივები აღიჭურვა ახალი, თანამედროვე საოფისე ინვენტარით (მაგიდები, კარადები, სავარძლები, სკამები, ჭაღები და სხვა), კომპიუტერული ტექნიკით, დამონტაჟდა გამათბობლები. შენობაში ჩაირთო წყალ-გაყვანილობის

ახალი სისტემის ქსელში, ქედის, შუახევის, ხულოს არქივები განთავსდა სხვა შენობებში, რომლებსაც ასევე ჩაუტარდათ სარეკონსტრუქციო – სარემონტო სამუშაოები. საარქივო სამმართველოსა და მუნიციპალურ არქივებში დამოტავდა დაცვითი სიგნალიზაცია. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ხელვაჩაურის და ქობულეთის არქივების ახალ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსება.

საარქივო საქმის განვითარებაში მიღწეული უდაო წარმატებების მიუხედავად არქივისტებს ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. გვჯერა, რომ არქივისტთა ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებება, დასახული მიზანდასახულობის წარმატებით განხორციელება.

Elguja Chaganava

Main activities of Archives Administration Summary

Archives Administration and its territorial bodies – Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi and Khulo Archives do their best for performing scheduled task of 2011.

Scheduled tasks included: protection of National Archives fund's documents, registration, creation and improving of scientific-informational staff, formation of National archival fund, and assessment of documents, utilization and publication of documents, improving of material – technical base. In article is discussed about main directions of Archives Administration activities and progress report of 2011.

სამეცნიერო-გვლევითი სამიზანობა საკრებივო სამსართველოში

(წაკითხულის 2012 წლის 2 მარტს აღქითისტის დღისადმი
მიძღვნილ III კონფერენციაზე)

საარქივო დაწესებულებები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უმნიშვნელოვანების ცენტრებია, სადაც მიმდინარეობს ქვეყნის წარსულის, მის მიერ განვლილი გზის, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობა. ჩვენმა წინაპრებმა ადრიდანვე იზრუნებს, რომ ქვეყნის ისტორია აღებეჭდათ როგორც ქვის ფილებზე, ასევე პერგამენტზე თუ ქაღალდზე, რათა მომავალი თაობებისთვის დაეტოვებინათ მათ დროს მომხდარი ისტორიული მოვლენების ამსახველი დოკუმენტები. ჩვენი სახელმწიფო ეროვნული მნიშვნელობის ათასწლოვანი ისტორიის, მისი უმდიდრესი მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ასეულათასობით წერილობითი დოკუმენტი თავმოყრილია საქართველოს არქივებში, მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში. ჩვენი წინაპრები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავი მოეყარათ, მოენახათ, შეეგროვებინათ წერილობითი წყაროები, სამუზეუმო ექსპონატები. დოკუმენტების ნაწილი შედგენილი იყო მათვის გაუგებარ, უცხოენაზე, მაგრამ გათავისებული პქონდათ მათი მნიშვნელობა, გააზრებული პქონდათ, რომ ნებისმიერმა დოკუმენტმა, თუნდაც მათვის გაუგებარმა წერომ, როგორც ერის დოკუმენტურმა მეხსიერებამ, ბინა უნდა დაიდოს არქივში და თვითონ თუ ვერ შეძლებენ მათ წაკითხვა-განალიზებას, გაიზრდებიან თაობები, რომლებიც ამას მოახერხებენ. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის მაჟინდელი დირექტორის ხარიტონ ახალგენიანის დაწესებითი დამსახურება. სწორედ მისი თავდაუზოგავი ენერგიისა და შრომის შედეგად მუზეუმში თავი მოიყარა არაერთმა ექსპონატმა, ქართულენოვანმა თუ უცხოურმა დოკუმენტმა, უნიკალურმა ხელნაწერებმა, რომლებიც დღეს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტებს განეცუთვნებიან. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საარქივო სამართველოში, რომლის ხელმძღვანელობის მოწადინებითა და ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ბულგარეთიდან ჩვენი რეგიონის შესახებ XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტებისა და პეტრიწონის ქართული მონასტრის XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული ასომთავრული ხელნაწერის ქსეროასლის შემოტანა. მართალია, ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებო მათ გაშიფრვას, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენთან დაივანა ამ დოკუმენტებმა, რომლებსაც აუცილებლად გამოუჩნდება პატრონი. გვჯერა, რომ მომავალი მკვლევარები ამ დოკუმენტებში მიაკვლევენ საინტერესო ინფორმაციებს ჩვენი კუთხის ისტორიის ჯერ კიდევ შეუსწავლელი თუ დასაზუსტებელი საკითხების შესახებ. ამ მოტივით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი წინაპრები, როცა ზრუნავდნენ ქართული თუ უცხოენოვანი დოკუმენტების თავმოყრისათვის საქართველოს ეროვნულ არქივსა თუ რეგიონალურ არქივებში. ასეთი დამოკიდებულებაა დოკუმენტების მიმართ უცხოეთში. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ქვეყნის შესახებ არსებული დოკუმენტების არსებობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არქივებსა და წიგნსაცავებში. ჩვენი საარქივო დაწესებულებები არ დაინანერ

ბენ სოლიდური თანხების გადახდას პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 29 ქართული ხელნაწერის, ვენისა და გრაცის ბიბლიოთეკებში დაცული 11, გოტინგენის, ჰალეს, ლაიფციგის, ტიუბინგენის, ოქსფორდის, კემბრიჯის, პრინცესტონის, ჰერტფორდის, მოსკოვის, კიევის, ოდესის და სხვა ქალაქების საბუთსაცავებში დაცული უამრავი დოკუმენტის შესასყიდად, მაგრამ დოკუმენტების დედნების უნიკალური დირექტებების გამო ამის მიღწევა ვერ ხერხდება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კემბრიჯის უნივერსიტეტის მარჯორი უორდროპის ფონდში დაცული ხელნაწერები: ვახტანგ VI-ის სამართლის შემცველი კრებული, სულხან-ხაბას ლექსიკონი, მისივე „მოგზაურობა ევროპაში”, „სირინოზიანი”, „ალექსანდრიანი”, ანდრია სალონის ცხოვრება, „ვეფხისტეფაოსანი”, ეზოპეს ცხოვრების აღწერა და ა. შ. ჩვენთვის ცნობილია, რომ საინტერესო დოკუმენტური მასალებიდან დაცული ოდესის სახელმწიფო არქივში, რომელთანაც გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ალბათ უნდა ვიფიქროთ ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებაზე. ჩვენი განვითარების სამუშაო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე თბილისის, ახალციხისა და ქუთაისის საბუთსაცავებიდან აჭარის შესახებ არსებული დოკუმენტების ქსეროსალების შემოგანასაც.

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია 1878 წლის შემდგომი პერიოდის ისტორია, მანამდე არსებული დოკუმენტების ნაწილი ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო აღმოჩნდა თურქეთის არქივებში. ამ მიზეზით იყო განპირობებული ოსმალობამდელი წყაროების სიმწირე, რამაც შეუძლებელი გახადა საქართველოს ამ უძველესი რეგიონის ისტორიის შესახებ სრულყოფილი ნაშრომის შექმნა, თუმცა აღნიშვნის დირსია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში რეგიონის სამეცნიერო დაწესებულებებში გაძლიერდა ინტერესი აჭარის ისტორიის სრულყოფილი შეწავლის მიზნით, რამაც დაბადა „აჭარის ისტორიის ნარკევების” შექმნის იდეა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიური მუზეუმის, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაიწერა ოთხეტომეული, რომლის სამი ტომი უკვე გამოქვეყნებულია. მასში წარმოდგენილია საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა ორი სტატია. მალე დღის სინათლეს იხილავს მეოთხე ტომი. „აჭარის ისტორიის ნარკევების“-ს მესამე და მეოთხე ტომებში უხვადაა წარმოდგენილი როგორც ეროვნულ, ისე აჭარის არარქივში დაცული წერილობითი დოკუმენტები. ამ იდეის რეალიზაციაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აწგანსვენებულმა პროფესორებმა – დავით ხახუტაიშვილმა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი), აბ. სურგულაძემ (მ/დოქტორი, პროფესორი), ასევე პროფესორებმა ა. კახიძემ, მ. სიორიძემ, ო. თურმანიძემ, ნ. კახიძემ და სხვებმა. ცხადია ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნლობა ენიჭება ოსმალობამდელ წყაროებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია სოფიის, ანკარის, სტამბოლის, ქაიროს არქივებში. როგორც ითქვა, სოფიის ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტების ნაწილმა ბინა დაიდო ჩვენს არქივში.

თავისი არსებობის მანილზე აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ასობით მკვლევარი, ასპირანტი, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი მიუღია, რომელთა მუხლჩაუხერელი შრომით ბევრი მტვერწაყრილი დოკუმეტი გამოვლინდა და მოექცა სამეცნიერო ბრუნვაში. მათ შორის არიან ამაგდარი არქივისტებიც. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ისეთი მდიდარი ბი-

ოგრაფიის მქონე არქივისტთა დვაწლი, როგორებიც იყვნენ: ნაზი ნოდაიდელი, სერგო ტაბადუა, შოთა თოდაძე, მაყვალა თავაძე, დემურ ჭელიძე, ვლადიმერ მკერვალიშვილი, გრიგოლ ჩაგანავა და სხვები.

დასახელებულმა და სხვა მკვლევარებმა, წლების მანძილზე თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოიძიეს და გამოავლინეს ათასობით საარქივო დოკუმენტი, რომელთა საფუძვლზე შეიქმნა საყურადღებო სამეცნიერო გამოკლევები. სწორედ მათი წყალობით 1975 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“, რომელიც მოიცავს პერიოდს 1921 წლის მარტიდან 1925 წლამდე. კრებულში თავმოყრილია 256 დოკუმენტი თრიგინალის, ასლისა თუ პერიოდიკის სახით. დოკუმენტური მასალები წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. კრებულის სრულყოფის მიზნით შემდგენელებს შეუტანიათ ზოგიერთი ადრე გამოქვეყნებული დოკუმენტი, თუმცა მათი უმრავლესობა პირველად მოექცა სამეცნიერო ბრუნვაში. დოკუმენტს წინ უძღვის ანოტირებული სათაური და დართული აქვს ლეგენდა, რომლშიც გაშიფრულია სახელმწიფო არქივის სახელწოდება, ფონდის, საქმისა და ფურცლის ნომერი.

კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტები ეხება სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, კულტურული მშენებლობის, განათლების, პრესის, ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთელობისა და საკურორტო საქმის განვითარების საკითხებს.

აჭარის ცენტრალური არქივის თანამშრომელთა მიერ 1961 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა დოკუმენტების კრებული „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აჭარაში“. მართალია მასში დოკუმენტები და საარქივო წყაროები წარმოდგენილია საბჭოთა პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად (ეს ბუნებრივიცაა), მაგრამ ამ მასალებითაც კრებული ანგარიშგასაწევი პირველწყაროა XX ს. პირველი ოცნებულის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ამაგდარი არქივისტების მიერ სათავედადებული კვლევა-ძიების ტრადიცია გრძელდება. 2010 წელს საარქივო სამმართველომ ინგა ფაცურეიშვილის, ციური ბეჟანიშვილის, მადონა ცხადაძის, ფრიდონ ქარდავას, მაია რურუსას, თენგიზ სალუქაძის, მარიკა ჭელიძის, ნაზი ნაგერვაძის, დოდო შუშანიძისა და რუსიკო გოგიტაურის ძალისხმევით, მათ მიერ გამოვლენილი წყაროების საფუძველზე გამოსცა დოკუმენტების კრებული „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კრებულმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენთვის ცნობილი მონაცემების საფუძველზე ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა თუ დოკუმენტების კრებულებს შორის აღნიშნული გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემაა, რასაც ადასტურებს ციტირების ინდექსი. ამ გამოცემაში გამოქვეყნებული დოკუმენტები უკვე გამოიყენა 20-ზე მეტმა მკვლევარმა. მისი მნიშვნელობის შესახებ საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა 1 საერთაშორისო და 3 რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე.

თემატური მრავალფეროვნებით, ახალი საარქივო მასალების მეცნიერულ ბრუნვაში მიმოქცევით გამოიჩინევა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“ (ბათ. 2009). კრებულში წარმოდ

გენილია ქართველი, რუსი, ბულგარელი მეცნიერების ნაშრომები. მათ შორის საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კრებული „აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში” (გამომც. „ალიონი, ბათუმი, 2010), რომელშიც წარმოდგენილია აჭარისა და მისი უმთავრესი ქალაქის – ბათუმის შესახებ უცხოელ ავტორთა შრომებში დაცული მონაცემები. კრებულში დაიბეჭდა ჩვენი თანამშრომლების: ქეოგან იაკობაძის, ნათია ბერიძის, ფრიდონ ქარდავას საინტერესო სტატიები. ნიშანდობლივია, რომ კრებულში ერთად მოიყარა თავი ჩვენი რეგიონის შესახებ უცხოელ ავტორთა ნაშრომებში მიმობნეულმა დოკუმენტებმა. ამიტომაც გამოიწვია მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. აღნიშვნის დირსია ისიც, რომ ამ საკითხს მიეძღვნა საარქივო სამმართველოს სამეცნიერო კონფერენცია. ნიშანდობლივია, რომ საარქივო სამმართველოს სამეცნიერო დონისძიებებში ჩართული არიან როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, რაც საარქივო სამმართველოსთან მათი თანამშრომლობის ნათელი გამოხატულებაა.

სამეცნიერო საქმიანობის უდაო წარმატებად უნდა იქნეს მიჩნეული საარქივო სამმართველოს პერიოდული ორგანოს ჟურნალ „არხეიონის“ დაბადება. ასეთი ორგანოს დაარსება არქივისტების დიდი ხნის ოცნება იყო. უკვე გამოვიდა ჟურნალის ორი ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა 11 სტატია (ავტორები: თ. ფუტკარაძე, ქ. იაკობაძე, ე. ჩაგანავა, მ. რურუა, ფ. ქარდავა, მ. ცხადაძე, ხ. შერვაშიძე) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, საარქივო დაწესებულებებითა ჩამოყალიბების, ტურიზმის, დამსახურებული არქივისტების დვაწლის და სხვა საკითხების შესახებ. ვფიქრობთ, რომ მართებული იყო სარედაქციო საბჭოს მიდგომა ჟურნალში ამაგდარი არქივისტების ცალკე რუბრიკის სახით წარმოდგენის შესახებ. დამსახურებული ადამიანების ხსოვნას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს. რუბრიკის ავტორია მაია რურუა, რომელმაც ითავა გამორჩეული არქივისტების დვაწლის წარმოჩენა. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ არა მარტო გარდაცვლილ არქივისტებს, არამედ ჩვენს გვერდში მყოფ ადამიანებსაც, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს საარქივო საქმის განვითარებაში და მუხლიაუხრელად იღწვიან თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად. ჟურნალმა ამ თვალსაზრისითაც თქვა თავისი სიტყვა. საკუთარ ფურცლებზე დაბადებიდან 50 წლის იუბილე მიულოცა გუგული პატარიძესა და ნინო გოგიტიძეს.

სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საარქივო ფონდების მიმოხილვა. ამ თვალსაზრისით დასაფასებელია ფრიდონ ქარდავას, მაღონა ცხადაძის და გუგული პატარიძის საქმიანობა. ბრიტანეთის არქივში დაცული დოკუმენტების ასლების, გიორგი ხეჩინაშვილის პირადი ფონდის და ფოტოდოკუმენტების მიმოხილვამ ასახვა პპოვა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ითვალისწინებს ახალი საარქივო მასალების გამოვლენას და დოკუმენტური წყაროების გამოქვეყნებას. ჟურნალმა ამ თვალსაზრისითაც თქვა თავისი სიტყვა.

მის ფურცლებზე დაიბეჭდა როგორც ჩვენს არქივში, ისე ქუთაისისა და საქართველოს ეროვნულ არქივებში დაცული დოკუმენტები, რომლებშიც წარმოჩენილია საარქივო დაწესებულებათა ისტორიის, სახელმსაბჭოს საქმიანობის, სვანების უმდიმესი ერთეულის პიდროვლექტროსადგუ-

რის მშენებლობის ისტორიის, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ბათუმის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის და სხვა საკითხების შესახებ არსებული პირველხარისხოვანი დოკუმენტები.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მოიღეს სამმართველოს მიერ ორგანიზებული რესპუბლიკური („საქართველო საბჭოთა ანექსიის პირისპირ”, 2011 წ. 24 თებერვალი) და საერთაშორისო („საქართველო-ბულგარეთი, ისტორიული პარალელები”, 2011 წ. 30-31 მაისი) კონფერენციების მუშაობაში. მისასალმებელია, რომ აღნიშნული კონფერენციის შესახებ ინფორმაციამ ასახვა ჰქოვა ბულგარეთის პრესასა და ტელევიზიაში. მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ ერთი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება თემაზე: „აჭარა საარქივო დოკუმენტებში”.

ქალაქების, ქუჩების ისტორიის შესწავლა ერთ-ერთი აქტუალურია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. მართალია ბათუმის ქუჩების სახელწოდებების შესახებ გამოქვეყნებულია თემურ კომანძისა და შოთა ცეცხლაძის წიგნები, მაგრამ მათში ბევრი რამ დაზუსტებას და შევსებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით მეტად ნაყოფიერია მაია რურუს საქმიანობა. იგი საქმის ცოდნითა და ჩვეული პროფესიონალიზმით იკვლევს აღნიშნულ საკითხს და გამოსაცემად ამზადებს ცნობარს. ვიმედოვნებთ, რომ საარქივო სამმართველო შეძლებს ამ ცნობარის გამოქვეყნებას.

მეთოდური ნუსხების შედგენა სამეცნიერო საქმიანობის უმნიშვნელოვანების მიმართულება. ამ მხრივ დასაფასებელია პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მუშაობა. მ. ცხადაძის, ფრ. ქარდავას, მ. სურმანიძისა და ნ. გოგიტიძის მიერ გამოვლენილი იქნა დოკუმენტები და შედგნილ იქნა თემატური ნუსხები შემდეგ საკითხებზე:

- ა) „მეჩეთები ბათუმში” (1983-1987 წწ.);
- ბ) საკონსულოები ბათუმში (1878-1930 წწ.);
- გ) ბათუმის საპატიო მოქალაქეები (1980-1995 წწ.).

ნაზი ნაგერვაძის მიერ მომზადდა მეთოდური ხასიათის წერილი საექსპერტო – შემმოწმებელი კომისიის სრულყოფის საკითხებზე.

სამეცნიერო-მეთოდური საბჭო აგრძელებს საქმიანობას. შემუშავებული იქნა „გზამკვლევის” შევსება-დაზუსტებისა და საარქივო სამმართველოს ისტორიის გეგმა-პროსპექტი. საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა მხარდაჭერითა და აქტიურობით ეს პრობლემაც წარმატებით გადაიჭრება.

Tamaz Putkaradze

Scientific-research activity in Archives Administration Summary

Archival institutions are the most important centers of scientific-research activities, where is going country's past and complete studing its spiritual and cultural heritage. For this point of view, its very important scientific activity in Archives Administration. In article is discussed about results of Archives Administration's scientific-research activity in 2011.

გუბული პატარიძე

საპრეზიდო სამმართველოში დაცული ფოტოდოკუმენტების შემაღებელობა და მათი სამაცნიერო მნიშვნელობა

(წარითხულია 2012 წლის 2 მარტს არქივისტის დღისადმი მიძღვნილ III
სამუცნიერო კონფერენციაზე)

“არქივი საცავია ისეთი ეროვნული სიმდიდრისა, რომელსაც, როგორც
წესი, რაც დრო გადის, მით უფრო მეტი დირექტულება ენიჭება არა მარტო
მოცემული ქვეყნის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის ასპექტშიც”. არ შე-
იძლება არ დაეთანხმო ამ სიტყვების ავტორს, აკადემიკოს პაატა გუბუშ-
ვილს. მართლაც საარქივო დოკუმენტების, როგორც საისტორიო წყაროების
მნიშვნელობა ფართოდ არის ცნობილი. ისინი გვეხმარებიან წარსულის
უკეთ შესწავლაში, ისტორიული სიმართლის დადგენაში.

ეველასათვის ცნობილია, რომ წერილობითი მონაცემების გვერდით
უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აუდიოვიზუალურ (კინო, ფოტო, ვიდეო, ფო-
ნო) დოკუმენტებს.

საუკუნეების მიღმა ამა თუ იმ ეპოქის შესახებ შეგვეძლო გვესაუბრა
მემატიანეთა ან უამთააღმწერლების მიერ აღწერილი მოვლენების მიხედვით.
უკვე XIX საუკუნის II ნახევრიდან საზოგადოებრივი აზროვნება შემეცნების
სრულიად ახალ წეაროს ეყრდნობა. ადამიანი ინფორმაციას დებულობს ფო-
ტოდოკუმენტების სახით. მეცნიერ-მკვლევართა სამუცნიერო ნაშრომებში დი-
დი ადგილი დაიჭირა ფოტოდოკუმენტებმა.

ფოტოდოკუმენტების მოზიდვასა და მუდმივ შესანახად მომზადებას
აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში 1950-იან წლებიდან ჩაეყა-
რა საფუძველი. არქივის ფოტოფონდი მოიცავს 1870-2010 წლებს. ფოტოდო-
კუმენტების მოძიება-დაცვა-შენახვაში უდიდესი წვლილი მიუძღვით არქივის
ვეტერან მუშაკებს: სერგო ტაბადუას, გრიგოლ პინიანცს, შოთა გაბრუში-
ძეს, ოთარ ზოიძეს, დავით მაისურაძეს. 1870-1950-იანი წლების ფოტო დოკუ-
მენტების მოძიება-შენახვის საქმეში განსაკუთრებულია ოთარ ზოიძის, გრი-
გოლ პინიანცისა და შოთა გაბრუშიძის დვაწლი, ხოლო მამა-შვილმა დავით
და მეგლუდ მაისურაძეებმა წლების განმავლობაში თავად შექმნეს და შეაგ-
როვეს 1970-2004 წლებში მიმდინარე პროცესების ამსახველი ფოტომასალა.
ამჟამად მათ კვალს დირსეულად აგრძელებს ახალგაზრდა არქივისტი დავით
სალვაში, რომლის ფოტო ობიექტივში ჩვენს ქალაქში მიმდინარე უმთავრესი
პოლიტიკური, კულტურული, ყოფითი მოვლენების ამსახველი ფოტო დოკუმენ-
ტებია თავმოყრილი.

საარქივო სამმართველოში დაცულმა უნიკალურმა ფოტოკადრებმა აჭა-
რის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა პერიოდი შემოგვინა-
ხა. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის ეთ-
ნოგრაფიულ-ფოფითი ცხოვრების ამსახველი ფოტოკადრები წერილობით
დოკუმენტებთან ერთად სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ბათუმში
მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ყოფასა და კულტურაზე, ჩაცმუ-
ლობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ყურადღებას იმსახურებს ლაზე-
ბის და აჭარლების ტიპები. ნაგებადგურის მუშა, სპარსი მოლა, ჩინელი და-

და-შვილი, წყლის წისქვილი და მრავალი ფოტო, რომელიც ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფაზე მოგვითხოვთ.

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის ამსახველი ფოტოკადრები. ფონდსაცავში წარმოდგენილია ციხისძირთან ბრძოლის კადრები, მებრძოლები, დაჭრილ-დასახიჩრებული მეომრები, ლაზარეთი, ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები.

მნიშვნელოვანია აგრეთვე 1900-1920-იანი წლების აჭარაში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკურ ვითარების ამსახველი ფოტოდოკუმენტები. მართალია აღნიშნული ფონდი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მაინც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას XX საუკუნის დასაწყისის სოციალურნომიკური და პოლიტიკური პროცესების, ასევე ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ. ფონდში წარმოდგენილი საზღვაო ნავსადგურის ხედები, ასევე სხვა მრავალი ფოტოდოკუმენტი უტყუარ ცნობებს იძლევა 1877-2000 წლებში აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ფოტოდოკუმენტებში ნათლად ჩანს, თუ როგორი იყო ბათუმის საზღვაო ნავსადგური 1878-1900-იან წლებში, როგორ დაიწყო მისი მშენებლობა, თანდათანობით როგორ იცვალა სახე. ფოტოდოკუმენტებში წარმოდგენილია თანამედროვე ნავსადგურის საქმიანობის ამსახველი მონაცემები. ფონდში შეგვიძლია ვნახოთ ბათუმის ყურეში მდგომი პატარა იალქნიანი და მცირებირთამწეობის გემების ფოტოსურაოები, რომლებიც ახლო წარსულში შეცვალა ტანკერებმა და სამგზავრო ლაინერებმა. აქვე დაცული ფოტომასალები: ბათუმის საზღვაო ნავსადგური, ძველი საბაჟოს შენობა (1878 წელი) და ა.შ. ჩვენს ყურადღებას იქცევს საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული სასტუმროების, საკონსულოების და კინოთეატრების ფოტოკადრები. კინოთეატრ “აპოლოს” შენობის რეკონსტრუქცია აღნიშნული ფოტოდოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა.



ას ვაკიუუმურ საარქივო პარტიაში 1921 წელს.
BOT TAK VYGLADELI ARKHIVNYE MATERIALY V 1921 GODU.



საარქივო სამუშაო 1923 წელს.
АРХИВНЫЕ ДЕЛА В 1923 ГОДУ.

ფოტოდოკუმენტებმა შემოგვინახეს აჭარის ისტორიის ამსახველი კადრები 1919-1989 წლებში. კერძოდ: ინგლისელთა ჯარის შემოსვლა ბათუმში, II ინტერნაციონალის დელეგაციის სტუმრობა, ქართველ მაჭადიან ქალთა I ერილობა (1929 წ.), აჭარის გასაბჭოების 15 წლისთავი, პესის მშენებლობის პროცესი მდ. აჭარისწყალზე, ბოტანიკური ბაზის ფლორისა და ფაუნის უნიკალური კადრები, აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში, უკრაინის ინტელიგეციის სტუმრობა ბათუმში, ბათუმის ქუჩებისა

და მიმდებარე ტერიტორიების კადრები, 1911, 1983-1985 და 2005 წლების დიდთოვლობა აჭარაში და მისგან გამოწვეული ზიანი და ა.შ.

პირველი ფოტოდოკუმენტი, რომელმაც არქივში ბინა დაიდო, არის 1921-1923 წლებში ქალაქ ბათუმის საბჭოს შენობის ნესტიან სარდაფში გროვად დაყრილი დოკუმენტები. ეს ფოტოები ფოტოფონდების შექმნის ერთგვარი მატიანეა.


საარქივო სამმართველოს ფოტოსაცავში საარქივო საქმის განვითარებასთან დაკავშირებით უამრავი ფოტომასალაა წარმოდგენილი, რაც ტენიანი დოკუმენტების, ხ. ნოდაიდელის, ხ. ტაბაღუას, გ. ჩაგანავას და ქორიძის, დ. ოთიაშვილის, გ. ანდოულაძის, თ. მაღრაძის, თ. შეყილაძის, ლ. ვანიძის, ლ. რუხაძის, რ. გოგიტაურის, ხ. დევაძის, მ. გოგუაძის, ხ. კუჭაშვილის, მ. ჯიშკარიძის, ჟ. აბაშიძის და სხვათა თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ფონდებს ამშვენებს მათი და მრავალი სხვა დამსახურებული მუშაკის ფოტოები.

აჭარის საარქივო სამმართველოში ხშირად იმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სხვა სახის ღონისძიებები („არქივი 75“; „ი.ჭავჭავაძე-160“; „პ.აბაშიძე-100“; „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“; „თურქეთის სახელმწიფოს არქივის გენერალური დირექტორის სტუმრობა აჭარაში“, „შეხვედრა ბათუმის ბაგმეთა საოპერო საექტაკლ-ტურანდოტის მონაწილეებთან“; „ფრიდონ ხალვაში“; „ზურაბ გორგილაძე“; „მემედ აბაშიძე“ და ა.შ.) გამოჩენილ და ცნობილ ადამიანთა მონაწილეობით. ფოტოსტენდებმა და ფოტოალბომებმა შემოგვინახეს მათი სახეები, ამ ღონისძიებათა ამსახველი მონაცემები.

ყველასათვის ცნობილია საქართველოს ძირძველი კუთხის ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრების, როგორც ისტორიული ძეგლების მნიშვნელობა, რომლებიც ყოველდღიურად ზიანდება და კარგავენ პირველ სახეს. საარქივო სამმართველოში დაცულია ფოტოკოლექცია, რომელიც დამთვალიერებულს ხათელ წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ რა მდიდარი ისტორიულ წარსულის მქონეა ქართველი ერი. ფოტოდოკუმენტები გადაღებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა 1995-1996 წლების ექსაედიციის დროს. ფოტოებზე აღბეჭდილია: ოშკი, ოპიზა, არგანუჯი, დოლისყანა, ურთა, ოგდემი, პარეხი, ენი-რაბათი, კოლა, ნუკა, დორო-ქილისა, ხახული, იშხანი, ხანძთა, პარხალი, ესბექი და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ეკლესია-მონასტრები.



ესბექი



ხანძთა



ხახული



მამაწმიდა

სპეციალისტთა ინტერესს იწვევს 1920-1950-იან წლებში აჭარაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური პარტიის მესვეურების, აჭარის მთავრობის (ზექერია ლორთქიფანიძის მეთაურობით), მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, XX საუკუნის II ნახევრის შრომის გმირების, 1921-1925-იანი წლების პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ფოტოდოკუმენტები და სხვა მრავალი უნიკალური ფოტოკადრი.

საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებს ამშვენებს ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ბათუმის ზღვისპირა ბულვარის, ძველი და ახალი ბათუმის უნიკალური კადრები, რის საფუძველზეც საქართველოს ეროვნული არქივის ინიციატივით და ჩვენი მონაწილეობით გაიმართა მოძრავი ფოტოგამოფენა თემაზე “ძველი და ახალი ბათუმი”. აქვეა დაცული ბათუმის და მისი შემოგარენის ხედები, ეროვნული მოძრაობის ამსახველი კადრები, ნავსადგური, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და მრავალი სხვა ფოტომასალა.

ფოტო დოკუმენტებმა შეულამაზებლად შემოგვინახა აჭარაში განათლებისა და კულტურის განვითარების ამსახველი ფოტოკადრები, რომლებზეც აღმოჩნდილია როგორც უცხოელი, ასევე საქართველოს სახალხო არტისტების, მხატვრების, პოეტების, მწერლების, პედაგოგების, პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა სახეები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის და ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის (ყოფილი პიონერთა) პარკის ფოტოალბომები, იახტკლუბის და დელფინარიუმის, ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ “გაზაფხულის” მოღვაწეობის ამსახველი კადრები.

1989-1990-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში აჭარის საზოგადოების უდიდესი ნაწილი იყო ჩართული. ფოტოდოკუმენტებზე აღმოჩნდილი არიან: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, მამა დავითი, ზ. გამსახურდია, მ.კოსტავა, ნ. იმნაძე, ჩვენი ქალაქის მკვიდრნი: ჟ. ხაჯიშვილი, ვ. დლონიშვილი, თ. დიასამიძე, მ. სიორიძე, მ. დუმბაძე, ბ. თევზაძე, უ. ოქროპირიძე, ა.სურგულაძე, ნ. ჯაფარიძე და მრავალი სხვა. ჩვენს ყურადღებას იქცევს ლენინის ძეგლის დემონტაჟის, ქართველ იუნიკერთა საფლავების გათხრის და მათი დირსებული დაკრძალვის ცერემონიალის და სხვა პროცესების ამსახველი მასალები.

საარქივო სამმართველოში დაცულია დღევანდელობის ამსახველი ფოტოებიც. ჩვენს ფოტოფონდში დაცულია 1990-2004 წლების ფოტოდოკუმენტები, რომელშიც ჩანს აჭარაში მწყობრიდან გამოსული, უფუნქციოდ დარჩენილი ფარიკა-ქარხნების, დასასვენებელი და საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების უსახური შენობები. აქვეა ფოტომასალა, რომელიც ასახავს 2004 წლის შემდგომ ნათელ ფერებში რესტავრირებულ ან ახლად აშენებულ თანამედროვე ტიპის შენობა-ნაგებობებს.

ჩვენს ხელთ არის ცნობილი ფოტოკოლექციონერის ბიძინა აფხაზავას ფოტო კოლექციის ციფრული ვერსია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ აჭარაში ფოტო ხელოვნების განვითარების ისტორიას. ჩვენთან ინახება ბათუმში მოქმედი ფოტო სახელოსნოების ფოტოები, რომელთა ლოგოზე ამოტიფრულია ფოტოგრაფთა გვარები. ერთ-ერთი ფოტოსახელოსნო განთავსებული ყოფილა მარინეს ქუჩა N 20-ზი (მემკენია აბაშიძის პროსპექტი), სადაც მოღვაწეობდნენ შემდეგი ფოტოგრაფები: უ. ვეტვაშვილიანი, მ. გლაუდანი, ა. კუშნერსკი, გოლფენზოვა და სხვები. ბერძენი ფოტოგრაფი დ. ანტონოვკულო მოღვაწეობდა ფოსტის ქუჩაზე მდგბარე სასტუმრო „ფრანცის“ ახლოს, კაგულიდის სახლთან. ამ ტიპის კერძო ფოტოსახელოსნოები ბათუმში ფუნქციონირებდა 1922 წლამდე.

საარქივო სამმართველოში ფოტო პოზიტივების გვერდით ინახება ათასობით ფოტონეგატივი, რომლებიც მოიცავს 1960-2004 წლებს. წლების განმავლობაში ამ ნეგატივების გამოყენება შეუძლებელი იყო, რადგან არქივს არ გააჩნდა ფოტო ლაბორატორია. ამჟამად შეძენილია ფოტოსკანერი, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს ფოტონეგატივებისა და პოზიტივების სკანირება. ე.ი. მზადდება ფოტოს ციფრული ვერსია, რომელიც უამრავ ფოტოს დაუბრუნებს სიცოცხლეს და დაინტერესებულ პირებს მიაწოდებს მრავალ საინტერესო ინფორმაციას. ამ დროისათვის მომზადებულია 3000 ფოტოპოზიტივის ციფრული ვერსია. პარალელურად მიმდინარეობს ნეგატივების სკანირება. დღეისათვის ფოტო საცავში ახალი ტექნოლოგიები ინერგება, რომელიც მეცნიერ-მკალევართა და საზოგადოების ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომს გახდის აქ დაცულ ფოტო დოკუმენტებს.

ფონდსაცავებში დაცული ფოტო დოკუმენტები ნათლად წარმოგვიდგენს საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოლიტიკოსების, სხვადასხვა დარგის მუშაქთა სახეებს და მათი ცხოვრების წესს. ფოტოები ჩვენს წინაშე წარმოაჩენს ძველი დროის კოშკებს, მშობლიური ქალაქის ქუჩებს, ძველებურ სახლებს, პრიმიტულ ტექნიკას. ეს დოკუმენტები არის არამარტო საილუსტრაციო მასალა, არამედ როგორც დამოუკიდებელი წყარო ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლისათვის. ფოტოდოკუმენტები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა გამოფენებისათვის.

საარქივო სამმართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საარქივო ფონდის ფოტოდოკუმენტებით შევსებას. შესაბამისად გაიზარდა მეცნიერ-მკალევართა დაინტერესების ფოტოდოკუმენტების, როგორც დამოუკიდებელი ისტორიული წყაროსადმი. გაჩნდა ინტერესი, რომ რაც შეიძლება მეტი ფოტომასალა იქნეს მოძიებული და შემოტანილი.

Guguli Pataridze

*In archives administration protected photodocuments
and theirs scientific importance*
Summary

Archival documents, as the importance of historical sources are widely known. They help us to study better past, for finding out the historical truth. Alongside with written data it is essential audio visual (movies, photos, videos, and phonographs) documents. In article is discussed about photo documents, which are protected in archives.

მასალები პირადი ფონდებისან

ნარგიზ ბახილაძე

გლეაზიმერ გვერდალიშვილის ბიობრაფიისათვის

(საარქივო სამმართველოში დაცული პირადი ფონდის მასალების მიხედვით)
(წაკითხულია 2012 წლის 2 მარტს, არქივისტის დღისადმი მიძღვნილ
III სამეცნიერო კონფერენციაზე)

არქივი ერის დოკუმენტური მექსიერებაა, სადაც სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის დოკუმენტებთან ერთად ინახება დამსახურებულ ადამიანთა პირადი ფონდები. ზოგიერთი მათგანი წლების განმავლობაში მუშაობდა და ეფერებოდა თითოეულ ფურცელს, საბუთსაცავებში დაცული წარსულის, ჩვენი ისტორიის ამსახველ თითოეულ დოკუმენტს. მათ შორის ნაზი ნოდაიდელი, გუგული ანდლულაძე, ლიანა ვანიძე, ლენა ზაქარეიშვილი, გრიგოლ ჩაგანავა, ლენა ქორიძე, დოდო ჩაჩუა, მაყვალა არობელიძე, ნატაშა სელიმიძე, ნაზი ხიმშიაშვილი, გრიგოლ პინიანცი და სხვები დღეს ცოცხლები ადარ არიან, მაგრამ საარქივო დარგის განვითარებაში მათ მიერ შეტანილი, მათი ნათელი სახეები შემორჩნენ ჩვენს მექსიერებას და გვის ისტორიის კუთვნილებანი გახდნენ.

მათ შორისაა გამორჩეული არქივისტი, პროფესიონალი, საარქივო საქმის უბადლო სპეციალისტი კლადიმერ მკერვალიშვილი, რომელმაც მთელი ცხოვრება არქივს მიუძღვნა. მისი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი მასალები დღეს არქივის კუთხით იღება. იგი იყო ისტორიკოს - არქივისტი, საზოგადო მოღვაწე პროფესიულ საქმიანობასა და საარქივო დაწესებულებებზე საოცრად შეკვარებული პიროვნება.

ვლადიმერ გერვალიშვილი დაიბადა 1925 წლის 1 დეკემბერს, ქ. ბათუმში. 1942-1946 წლებში სწავლობდა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაამთავრა. 1961-1967 წლებში სწავლობდა მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტში და მიიღო ისტორიკოს-არქივისტის სპეციალობა.

1947-1948 წლებში მუშაობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში კორექტორად, ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის“ ლიტერატურულ მუშაკად და პასუხისმგებელ მდივნად.

1957 წ. დაინიშნა აჭარის არ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს არქივისტად. 1974 წლიდან კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის თანამშრომელია და წარმატებით ხელმძღვანელობს ხელვაჩაურის რაიონულ არქივს. ვლ. მკერვალიშვილმა, როგორც შესანიშნავმა ხელმძღვანელმა და აღმზრდელმა, არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა და დააყენა ცხოვრების გზაზე. მათ შორისაა ჩვენი კოლეგა, პროფესიონალი არქივისტი ავთანდილ ლეონიძე.

ვლადიმერ მაკერვალიშვილი ეწოდა აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი იყო რამდენიმე წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი. გამოქვეყნდა.

ნებული აქს პუბლიკაციები, ნარკვევები, სააგიტაციო – მასობრივი პლაკატი „არქივები ხალხის სამსახურში“. მასვე ეკუთვნის სცენარი დოკუმენტური ფილმისათვის „მეგობრობის ხიდი ბათუმი-ბულაპეშტი“.

პროფესიულ საქმიანობასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. 25 წლის განმავლობაში ასრულებდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის წევრისა და პასუხისმგებელი მდივნის (1965-1990 წწ.) საპატიო მოვალეობას. აქტიური შრომითი საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, „სსრკ საარქივო საქმის წარჩინებულის“ სამკურდე ნიშნით. საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის 1999 წელს გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2001 წელს დაჯილდოვდა „დირსების ორდენით“.

ვლადიმერ მკერვალიშვილის ცხოვრების და საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალა აჭარის ცენტრალურ არქივში შემოვიდა 1999 წელს და მიენიჭა № რ-402. ფონდში დაცულია: ნარკვევები, წიგნები, რეფერატი, სადიპლომო ნაშრომი, ავტობიოგრაფიული მონაცემები, მოკლეული მასალები უნგრელი ქართველოლოგის მარტინ იშვტანვიჩისა და ქართველი ეთნოგრაფის დოცენტ ჯემალ ნოდაიდელის მეგობრულ ურთიერთობის შესახებ. ფონდში დაცულია აგრეთვე დაჯილდოვების მასალები, ფოტოსურათები და სხვა დოკუმენტები. მან დიდი ამაგი დასდო ქართველი და უნგრელი ხალხების მეგობრობა- დაახლოებას, რასაც აღნიშნავდა უნგრელი ისტორიკოსი, ქართველოლოგი ლაიოშ ტარდი. მკერვალიშვილისადმი გამოგზავნილ მადლობის ბარათში იგი წერდა: „ბატონო ვლადიმერ, თქვენ შესანიშნავი მებრძოლი ბრძანდებით ორი ხალხის დაახლოვების საქმეში“.

სახელოვანი არქივისტი, დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ მკერვალიშვილი გარდაიცვალა 2008 წელს. პირად ფონდში დაცულია 1965-1999 წლებში მისი მოღვაწეობის ამსახველი 25 საქმეთა ერთეული.

გაივლის წლები და მემატიანე გადაშლის ვლ. მკერვალიშვილის მიერ სათუთად შენახულ საარქივო მასალებს, თავისი ეპოქის თვალსაწიერიდან მადლიერებით შეაფასებს ამ დიდბუნოვანი ადამიანის დვაწლსა და დამსახურებას საარქივო საქმის განვითარებისა და ქვეყნის წინაშე.

Nargiz Basiladze

*For biography of Vladimer Mkervalishvili
(by private fund's datas protected in archives administration)
Summary*

Archive is nation's documentary memory, where are kept different documents and also private funds of honored people. Among them is distinguished archivist Vladimer Mkervalishvili. He dedicated whole his life to Archive. His professional and public activates reflecting materials now belong to Archive. He was historic – archivist, public figure. In article is discussed about main issues of Vladimer Mkervalishvili life and activities.

მადონა ცხადაძე

**იუსუფ კობალაძე – მართული სცენის ჯადოშარი
(საარქივო სამმართველოში დაცული პირადი ფონდის მიხედვით)**

აჭარის საარქივო სამმართველოში სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილია არაერთი გამოჩენილი და ღვაწლმოსილი პიროვნების პირადი ფონდი. მათ შორისაა საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები. მისი პირადი ფონდი შედგება 56 საქმეთა ერთგულისაგან და მოიცავს პერიოდს 1933 წლიდან 1977 წლის ჩათვლით.

იუსუფ კობალაძის პირადი ფონდი საარქივო სამმართველოში სახელმწიფო შენახვაზე შემოვიდა 1978 წელს. ფონდში დაცულია: მონოგრაფიები და საგაზეოთ სტატიები ი. კობალაძის მოღვაწეობის შესახებ, დაჯილდოებისა და სასცენო მოღვაწეობის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები, მიღოცები თეატრალური აფიშები, რეკლამები, ფოტოსურათები.



იუსუფ კობალაძე დაიბადა 1906 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. იგი პატარაობიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა სასცენო ხელოვნებისადმი. სოფლის სკოლაში სწავლის პერიოდში ი. კობალაძე მონაწილეობდა ოვითმოქმედი წრეების მიერ მოწყობილ წარმოდგენებში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ბათუმის პედსასწავლებელში გაგრძელა, თუმცა მისი ინტერესის სფერო მაიც სცენა იყო.

1923 წლიდან ი. კობალაძე მონაწილეობს აკაკი ფადაგას ხელმძღვანელობით გამართულ წარმოდგენებში (ეპიზოდებში). მისი ოცნება მთავარი როლის შესრულება იყო. 1924 წელს სწავლა გააგრძელა ქ. ბათუმის პირველი საფეხურის ერთწლიან პარტიულ სკოლაში. პარტსკოლის დამთავრების შემდეგ იგი გააგზავნეს თბილისში, კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებელ ორწლიან კურსებზე, სადაც მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა სპექტაკლებს სცენის გამოჩენილ ოსტატთა მონაწილეობით. „როდესაც პირველად ვნახე დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ტრაგედია „პამლეტი“ უშანგი ჩევიძისა და გიორგი დავითაშვილის შესრულებით, მან ჩემში საბოლოოდ განამტკიცა სიყვარული ხელოვნებისადმი, განსაკუთრებით მიტაცებდა უშანგი ჩევიძის მიერ შესრულებული როლები, სცენის დიდოსტატებისადმი ჩემმა აღტაცებამ საბოლოოდ განსაზღვრა თეატრთან ჩემი მომავალი ურთიერთობის საკითხი“ – წერდა ი. კობალაძე.

1928 წლიდან ი. კობალაძე ბათუმის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობია. 1932 წ. იგი აგრძელებს სწავლას რუსთაველის თეატრთან აჭარიდან ჩასული ახალგაზრდებისათვის გახსნილ სტუდიაში. სტუდიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ი. კობალაძის პროფესიული დაოსტატების საქმეში. მის კედლებში გამოიწრო და დავაჟაცდა მომავალი მსახიობი. ჯემალ ჩევიძის ინფორმაციით, დამოუკიდებელ როლებში ი. კობალაძე ადვილად ითვისებდა რთულ როლებს, ავლენდა „ფართო, აქტიურ დიაპაზონს, დაუშრებელ ტემპერამენტს, როლის გაგებისა და სახის გახსნის საუ-

კეთესო უნარს, რითაც იგი რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელთა განსა-
კუთრებულ ყურადღებას იყყრობდა”.

1936 წელს 22 ახალგაზრდა მსახიობის გამოშვება სადიპლომო სპექ-
ტაკლით აღინიშნა. სადიპლომო სპექტაკლად წარმოდგენილი იქნა ცნობილი
იტალიელი დრამატურგის კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლი-
სი” (რეჟისორ დოდო ალექსიძის დადგმა). პიესაში იუსუფ კობალაძე მთავარ
როლს თამაშობდა. წარმოდგენას პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

1938 წელს ბათუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. მდივნის „სამშობ-
ლო” (დამდგმელი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი). პიესა საბჭოთა მესახ-
ლორეთა ცხოვრებას ასახავდა. მასში მთავარ როლს იუსუფ კობალაძე ას-
რულებდა. „მე წილად მხვდა „სამშობლოში” მთავარი გმირის, მოხუცი ას-
ლანის განსახიერება, ახალი ქვეყნის, აღორძინებული მიწა-წელის სიყვა-
რულთან ერთად ჩემს თამაში უნდა მეჩვენებინა სიძულვილი ძველი ცხოვ-
რებისადმი, მაყურებელს უნდა ეგრძნო, რომ ასლანს გამოუცდია შავბნელი
წარსულის საშინელებანი, სიდუხეჭირე. მე მიხდებოდა ორგვარი ცხოვრების
ასახვა. ომი შემოქმედებითი თამაშით, მე უნდა გადმომეცა ძველი ცხოვრე-
ბის სუსტი და ჩვენი ახალი ცხოვრების ბრწყინვალება, არ ვიშურებდი
ენერგიასა და მონდომებას, რომ დამესატა მოხუცი ასლანის სცენური პორ-
ტრები. მრავალი თვის განმავლობაში მე ვუკვირდებოდი და გულდასმით
გსწავლობდი ჩვენი კოლმეურნების ცხოვრებას და მათ სიტყვა-პასუხს ვი-
ყენებდი ჩემი თამაშის საფუძვლად”- აღნიშნავდა მსახიობი.

პიესაში „ბერლინის გასაღები” კობალაძეს წილად ხვდა შეესრულები-
ნა პრუსიის მეფის ფრიდრიხ II-ის როლი. თავისი როლის მოხდენილი გააზ-
რებით, ფრიდრიხის მუხანათური ჩვევების ოსტატური წარმოჩენით კობალა-
ძემ მაყურებელში გააძლიერა აგრესორისა და აგრესისადმი სიძულვილის
გრძნობა.

ხანგრძლივმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ი. კობალაძე ჩა-
მოყალიბდა როგორც ტრაგიკული ქანრის მსახიობი. მან წარმატებით განა-
ხორციელა ბახას როლი ვაჟა ფშაველას „მოკვეთილში” და წინ წამოსწია
სამშობლოს სიყვარულის უძლიერესი გრძნობა. მოგვიანებით, 1954 წელს
მასვე მოუხდა ამ პიესის აღდგენა.

გამოჩენილმა მსახიობმა 1943 წლიდან მუშაობა განაგრძო ქალაქ თბი-
ლისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. 1946 წლის 23 თე-
ბერვალს ი. კობალაძეს აჭარის არ-ის დამსახურებული არტისტის წოდება
მიენიჭა. „ტრაგიკული როლების იშვიათი შემსრულებელი” - ასე უწოდა
იუსუფ კობალაძეს ქართული სცენის ცნობილმა ვეტერანმა და გამოჩენილ-
მა მწერალმა შ. დადიანმა. ასეთი მაღალი შეფასება და მაყურებელთა ნდო-
ბა მსახიობმა მინდობილი საქმისადმი დრმა სიყვარულით დაიმსახურა. შ.
დადიანის შეფასებით ი. კობალაძემ თავისი არტისტული ნიჭის უებრო ელ-
გარებით მაყურებელს აუთოროლა გული, უმწიკვლოდ ემსახურა ქართულ
თეატრს, არა ერთგზის მოხიბლა მაყურებელი თავისი უშუალობით და გან-
ცდათა სიღრმით, განაცვიფრა მაყურებელი გმირის გარდასახვის გასაოცა-
რი უნარით.

სასცენო ხელოვნების დიდოსტატს შესრულებული აქვს ასზე მეტი
მთავარი როლი. ხელოვნების დარგში მიღწეული წარმატებებისა და ნაყო-
ფიერი მოღვაწეობისათვის ი. კობალაძეს მიენიჭა აჭარისა (1946 წლის 23
თებერვალი) და საქართველოს (1946 წლის 5 მარტი) დამსახურებული არ-
ტისტის საპატიო წოდებები. მის სახელთანაა დაკავშირებული სოფოკლეს

ოიდიპოსის დაუვიწყარი და სცენურად სრულყოფილი მონუმენტური სახე ტრაგედიაში - „ოიდიპოს მეფე”, რამაც მას ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობის სახელი მოუხვეჭა.



მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ი. კობალაძის მიერ შესრულებულმა როლებმა ბათუმელი დრამატურგის ამირან შერვაშიძის პიესაში „ბაგრატიონი”, პარმენ ლორიას პიესაში „ნაირა”.

ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1950 წლის 10 ნოემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იუსუფ კობალაძე დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის” ორდენით. 1955 წლის 3 მარტს მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის” წოდება. აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით, 1957 წელს იგი დააჯილდოვეს „შრომის წითელი დროშის ორდენით”.

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იუსუფ კობალაძე ქმნიდა საინტერესო სახეებს. ჯ. ჩხეიძის შაფასებით, „ი. კობალაძე არც ერთ როლში არ არის კობალაძე - იგი ბრძის როლში ბრძაა, ანტიკურ გმირთა როლში მონუმენტური და ბობოქარი, მოხუცის როლში დინჯი და ბრძენია, პარტიული ხელმძღვანელის როლში ისეთია, როგორიც აუცილებლად უნდა იყოს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი თეატრის ასაღვაზრდა მსახიობთა უმრავლესობა ცდილობს მიბაძოს კობალაძეს, იყოს ისეთი, როგორიც კობალაძეა, უყვარდეს მაყურებელს ისე, როგორც იუსუფ კობალაძე უყვარს”.

იუსუფ კობალაძის მაღალი გემოვნებით შესრულებულ როლებს ამშვენებს გიორგის როლი - „ოთარაანთ ქვრივში”, გოჩას როლი - „ხევისძერ გოჩაში”, კორადოს როლი - „დამნაშავის ოჯახში” და ა. შ. ამ როლების შესრულებით კობალაძემ მიაღწია სცენურ სრულყოფას და მაყურებელში განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა.

ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი იუსუფ კობალაძე 1981 წლის თებერვალში გარდაიცვალა.

იუსუფ კობალაძის შვილის მეგობარი მსახიობი კახა მიგინეიშვილი იგონებს: „იუსუფ კობალაძე უნიჭიერესი ხელოვანი და კეთილშობილი ადამიანი იყო. მაშინ, შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი გახლდით, დაკრძალვაზე მეგობრები ბათუმში ჩამოვედით. იუსუფ კობალაძე ტრადიციისამებრ ბათუმის თეატრის სცენაზე დაასვენეს. იქ გაიმართა გამოსვენების ცერემონია, სცენაზე მიკროფონი იდგა, თუმცა სიტყვით არავინ გამოდიოდა. იუსუფ კობალაძის მონოლოგების აუდიოჩანაწერი ისმოდა. ამასობაში დაკრძალვის დროც დადგა. თეატრის ერთ-ერთი თანამშრომელი მიუახლოვდა და საზოგადოებას მიმართა

თხოვნით - დაეტოვებინათ თეატრის შენობა. სიმართლე გითხრათ, არც კი მასხოვს როგორ აღმოვჩნდი სცენაზე, მიკროფონთან მივიჭრი.

იმ წუთამდე არც კი ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ემოციამ თავისი გაი-განა და მაყურებელს მივმართე - გთხოვთ, დარბაზს ნუ დატოვებო მეთქი. წლების განმავლობაში ამ თეატრში მოდიოდით, იუსუფ კობალაძის მიერ შესრულებული როლებით, მისი სამსახიობო ოსტატობით ტკბებოდით და მას ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოებდით. დღეს კი რა დაგემართათ? ის რაც დღეს აქ მოხდება, ძველი საბერძნეთიდან და რომიდან იდებს სათავეს. მოდი, ყველამ ერთად გავიხსნოთ მის მიერ შესრულებული როლები, მისი დაუვიწყარი თიდიპოსი და იუსუფ კობალაძე უკანასკნელად ამ სცენიდან ისევ ტაშით გავაცილოთ. მასხოვს დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოწვა. ეს წამები საუკუნედ მომეჩვნენა, კანტი-კუნტი ტაში თანდათან მხურვალე ოვაციაში გადაიზარდა. ხალხი ტიროდა, წარმოუდგენედი ემოცია იყო..."

მსახიობის ტაშით გაცილების ტრადიცია დაკავშირებულია ანტიკურ საბერძნეთთან. მსახიობის ხელოვნება არის ერთადერთი - ხელოვნების მრავალ დარგს შორის, რომელიც მის შემქმნელთან ერთად იბადება და კვდება. კომპოზიტორის - ნაწარმოები რჩება, მხატვრისა - ფერწერა, ასევე მოქანდაკისა, პოეტისა, მწერლისა - თავისთავად. ერთი სიტყვით ყველაფრი რჩება, გარდა მსახიობის ხელოვნებისა, რომელიც იბადება სცენაზე და კვდება მსახიობის სიკვდილთან ერთად. ამიტომ ანტიკურ საბერძნეთში - თეატრის კლასიკურ ქვეყანაში, როცა მსახიობს ასაფლავებდნენ, ტაშს უკრავდნენ და აცილებდნენ, ეთხოვებოდნენ იმ როლებსაც, რომელიც ამ მსახიობმა შექმნა წლების განმავლობაში. ასე ნელ-ნელა ეს ტრადიცია შეწყდა და როგორც მასხოვს 1973 წელს იტალიაში ანა მანიანის დაკრძალვისას აღდგა.

მას შემდეგ რამდენი დიდი მსახიობი წავიდა ამ ქვეუნიდან – მათ შორის ქართველიც, მაგრამ ტრადიციამ გაგრძელება ვერ ჰპოვა, ფეხი ვერსად მოიკიდა. მხოლოდ 1981 წელს გამოჩენილი ქართველი მსახიობის იუსუფ კობალაძის დაკრძალვისას გაიხსენეს ეს ტრადიცია. „ოიდიპოსის“ როლის საუკეთესო შემსრულებელი ტაშით გააცილა მაყურებელმა. ეს თავისებური გადამახილი იყო ძველ ანტიკურ სამყაროსთან. სწორედ თიდიპოსის, კრეონების, მედეასა და სხვა ტრაგიკული სახეების შემქმნელ თეატრთან თითქოს აღდგა აღრეულ საუკუნეებთან დამაკავშირებელი ხიდი. დაფუძნდა ახალი ტრადიცია. ამ ახალგაზრდა ყმაწვილი კაცის ემოციური განცხადება ხალხმა უცემ გაითავისა. არავის უქებრხული ტაშით გაუცილებინა დამსახურებული მსახიობი.

ბუნებრივი, გულწრფელი და ლოგიკური იყო კახა მიგინეიშვილის განცხადება. თეატრმცოდნე ვასილ კიქნაძის თქმით ქართულ არტისტიზმს მართლაც ორგანულად შეერწყა იუსუფ კობალაძის გამოსათხოვარი ცერემონიალი.

ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა, იუსუფ კობალაძის ოჯახის წევრები ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დღესაც აგრძელებენ მოღვაწეობას.

2001 წელი იუსუფ კობალაძის საიუბილეო წელი იყო, დაბადებიდან 95 წლისთავი აღინიშნებოდა. ჩვენ გვეონდა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გაგვეხსნებინა იუსუფ კობალაძის შემოქმედება. მოვიწვიეთ ბათუმის დრა-

მატული თეატრის მსახიობები და ოჯახის წევრები. მოვაწყეთ მსახიობის პირადი ფონდის გამოფენა.

იუსუფ კობალაძის მეუღლემ მსახიობმა თამარ სულხანიშვილმა მოიგონა საინტერესო ეპიზოდები გამოჩენილი მსახიობის ცხოვრებიდან, წაიკითხა მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსები, საარქივო სამმართველოს საჩუქრად საკუთარი მოგონებების წიგნი გადასცა და დაგვიტოვა მარგალიტებად აკინძული ცრემლები, რომელიც დიდხანს გვემასხოვრება...

გამოყენებული წეროები:

1. ასსცა, ფონდი რ-1011; აღწ. 2; საქ. 11; საქ. 19;
2. ფონდი რ-1011; აღწ. 1; საქ. 15; საქ. 20.

Madonna Tskhadadze

***Yusuf Kobaladze – magician of Georgian stage
(by the private fund's datas protected in archives administration)***

Summary

In archives administration for state keeping are submitted several private funds of prominent and honored persons. Among them is public artist – Yusuf Kobaladze's private fund. In article is discussed about life and theatrical activity of Yusuf Kobaladze.

საქართვის დოკუმენტები*

(შეკრიბეს პროფ. თამაზ ჯუტკარაძემ და ნატო ქიქავამ)

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშები
1921-1924 წლები

შინაგან სამშენებლო სახალხო კომისარიატი
1923 წლის 10 მარტი

1923 წლის განმავლობაში აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობა იზრდებოდა პროგრესიულად. ეს წელი აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, მტკიცე პოლიტიკური მდგომარეობის შექმნისა და მშრომელი მასების შეგნების მესამე წელია. ფინანსური რესურსები გამაგრებულია და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საშუალება ეძლევა შეასრულოს ის მოვალეობანი, რომელნიც მასზედ არის დაკისრებული და გაამართლოს თავის დანიშნულება.

კოლეგია 1923 წლის 10 მარტი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომები 1923 წელში მოხდა 28-ჯერ, 1922 წელში 4-ჯერ, ე.ი. დღიდან კოლეგიის არსებობისა სულ 32. საკითხები, რომლებიც გარჩეული იყო ამ სხდომებზე შემდეგი ხასიათისაა: ა) მუნიციპალური, ე.ი. კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები, სახელდობრ: ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ადგილობრივი კომუნალური მუშაობის და მოქმედებისა, განხილვა და გადაწყვეტა ხელმძღვანელი ხასიათის საჩივრებისა, უძრავ ქონებათ., მუნიციპალიზაციის საქმის ხელმძღვანელობა, დამტკიცება მუნიციპალიზაცია ქმნილ ქონებათ სიისა, შემუშავება დეკრეტების, დადგენილებების, ბრძანებების და ცირკულიარების პროექტებისა კომუნალურ მეურნეობის განვითარებათა საქმის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალური ხასიათის საკითხებიდან რომელიც გარჩეული იქნება კოლეგიაში თვალსაჩინოა შემდეგი:

1) საბინაო კრიზისის გამო, თანახმად სახელმსაბჭოს დადგენილებისა შ. ს. ს. კ. დაარსდა საბინაო სამეცნიერო, რომელსაც დაეგალა: ა) იმ სახლების სიის შესგენა, რომლებიც კომუნმეურნეობას არ ეცუთვნოდა, მაგრამ მის მფლობელობაში იყო და არ იყო მეპატრონეთათვის დაბრუნებული, ბ) საბოლოოთ განხილვა მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებისა, რომლებსაც სახელმწიფო ხასიათი აქვს.

2) ამასთანავე შინაგან საქმეთა სახელმისარიატის მიერ მიქცეულ იქმნა განსაკუთრებული ყურადღება მაზრებში გასაეროვნებელ სახლების საქმეთათვის. თითქმის 2 წლის განმავლობაში, ეს საკითხი მაზრებში მოგვარებული არ იყო, რადგანაც არ იყო გამორკვეული თუ ვისი და რამდენი სახლია გასაეროვნებელი. ხშირი იყო შემთხვევები, რომ სახლები ყოფილ ბეგე-

* შენიშვნა: ურნალ „არხეიონის“ II ნომერში 117-131 გვერდებზე დაბეჭდილი საარქივო მონაცემები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქვიში. მასალები მოგვაწოდა უფროსმა საეციალისტმა თინათინ ჯაბადარმა, რისთვისაც მადლობას მოვასენებთ.

ბის და აღების იურიდიულათ გაეროვნებული, ფაქტიურათ მეპატრონების სარგებლობაში იყო, რომ ბოლო მოდებოდა ასეთ მოვლენებს, სახომატა შეაგროვა მთელი საჭირო მასალა ასეთ სახლებზე და საბოლოოდ გამოიმუშავა სია მაზრებში გასაეროვნებულ სახლებისა. ამ სიის მიხედვით ყველა მაზრებში გაეროვნებული სახლებში მოთავსებულია საბჭოთა დაწესებულებები. სულ გაეროვნებულია ყოფ. ბეგების და აღების სახლები: ქობულეთის მაზრაში – 7 სახლი, ხულოს – 8 და ქედის მაზრაში – 6. რაც შეეხება გასაეროვნებულ სახლების სიას აჭარის წყლის მაზრის ფარგლებში, ასეთი 1923 წელში საბოლაოდ გამომუშავებული არ იყო.

3) რომ საბინაო საქმის ხელმძღვანელობა უფრო მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო და საბჭოთა დაწესებულებების მოთხოვნილება ბინების შესახებ დაკმაყოფილებული ყოფილიყო, გამომუშავებულ იქნა ახალი დეკრეტი, რომლითაც გათვალისწინებული იყო, სხვათა შორის ისეთ საბჭოთა დაწესებულებების შემჭიდროება, რომლებსაც დაკავებული პქონდათ ნორმაზე მეტი შენობები, გადაცემა პროფგავშირებისთვის ბინებისა და სხვა.

მეორე დარგი საკითხებისა, რომლებიც იყორობდა შინაგან საქმეთა სახელმისარიატის ყურადღებას და ირჩეოდა კოლეგიაში იყო ორგანიზაციული საკითხები. ადმინისტრატიული ერთეულების გამარტივების მიზნით, ნაცვლად ხუთი მაზრისა და 17 ოქმისა დაარსებულ იქნა 4 მაზრა და 11 თემი, გაუქმებულ იქნა ბათომის და აჭარის-წყლის მაზრის აღმასკომები და მათ მაგივრად დაარსებულ იქნა ბათომის მაზრის აღმასკომი. მაგრამ სინამდვილემ დაგვანახა, რომ აჭარის-წყლის მაზრის გაუქმებამ გამოიწვია ფუხარა სალხის შეწუხება-შეგიწროვება (იძულებული იყვნენ თავიანთ საქმეების გამო ევლოთ ჭოროხის მაზრის აღმასკომამადე), რის გამო აღდგენილი იქნა აჭარის წყლის მაზრის თემი: 1) დოლოგნის და 2) აჭარის-აღმართის.

გარდა ზემოხსენებულ საკითხებისა, შინაგან საქმეთა სახელმისარიატის კოლეგიის მიერ გარჩეულ იყო სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საგალდებულო დადგენილებების, სანიტარულ წესების და რევოლუციონური წესრიგის დარღვევასთან.

სამორი განყოფილება

ყურადღების დირსია აჭარისტანის ცაკის დადგენილება №5, გამოქვეყნებული 15 იანვრის 1923 წლის თარიღით ეკლესიების და სამლოცველო სახლების ნაციონალიზაციის შესახებ. ამ დადგენილების ადსასრულებლათ ჩამორთმეულ იქნა: 1) ყოფ. სამსედორ სობორო ალ. ხეველის სახელობის ეკლესია; 2) ყოფ. საგოსპიტალო საყდარი; 3) ქალაქის ეკლესია, რომელიც გადაეცა აჭარისტანის კომკავშირის კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისათვის. ამას გარდა ნაციონალიზაცია ექნა გერაელთა სალოცველო სახლს – სინაღოდას, რომელიც გადაეცა ქალაქის საბჭოს სხდომების მოსაწყობად.

დაგზავნილია ცირკულიარული მიწერილობები ყველა მაზრის აღმასკომებისადმი, რათა ყოველგვარი მიმოწერა სრულდებოდეს თავის დროზე. გაცემულია ბრძანება, რათა მცხოვრებლების მიერ დაცლილ იქნას ტელეგრაფის და ტელეფონის ხაზი ბოროტმოქმედი პირების მიერ წახდენისაგან. 1923 წლის განმავლობაში შემდეგი საქმეები იქნა შესრულებული:

მაზრის აღმასკომების მიერ შეკრებილი იყო და წარმოდგენილი: 1) სია იმ პირთა, რომელიც სარგებლობენ დაქირავებული ძალებით სასოფ-

ლო-სამეურნეო მუშაობაში; 2) ცნობები 1922 და 1923 წლ. განმავლობაში მაზრებში მომხდარი ხანძრის შესახებ.

შესდგა სიები უპატრონო ბავშვების და აღიძრა შუამდგომლობა სათანადო დონისძიებათ მისადებათ ქუჩის ბავშვების უზრუნველსაყოფათ.

დადგენილება საბინაო სამეულის მიერ გატარებულ იქნა ცხოვრებაში ჩაკვრითი სახით სხვა და სხვა დაწესებულებების ბინების გადაჯგუფების შესახებ და ამგვარად შემცირებულ იქნა საბინაო სივრცე, რომელიც სახდაწესებულებებს უჭირათ.

სამილიციო განყოფილება

მთავარი მილიციის სამმართველოს გაუქმების შემდეგ, ამ უკანასკნელის ფუნქციები გადმოტანილ იქნა შინაგან საქმეთა სახკომისარიატის სამილიციო განყოფილებაზე. ეს იყო 1922 წელში. ამ განყოფილებას დაევალა მთელი რესპუბლიკის მილიციის საერთო ხელმძღვანელობა.

სამილიციო განყოფილება აერთიანებს ხელმძღვანელებს, კონტროლს უწევს მთელი აჭარისტანის რესპუბლიკის მილიციას. ამ განყოფილებას ქალაქიდან და მაზრიდან მილიციის უფროსებიდან მოდის სხვადასხვა ადმინისტრაციული ხასიათის საქმეები, რომლებსაც ეძლევა სათანადო მსვლელობა და შესრულების შემდეგ იგზავნება კუთვნილებისამებრ.

უმთავრესი ყურადღება მიქცეული ქონდა აჭარისტანში მშვიდობიან ცხოვრების დამყარებას. 1922 წლის დამლევს გურიის ფარგლებში დაგროვებული იყო ბანდიტები რიცხვით – 160 კაცამდე ცნობილ ბანდიტ მანწგაგას მეთაურობით. აჭარისტანის მილიციის ძალებით ბანდის მეთაურები შეპყრობილ იქნენ, რის შემდეგ მთელი ბანდა დაიშალა. ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი აჭარისტანი გაწმენდილი არის არამც თუ ბანდიტებისგან, არამედ უბრალო ქურდ-ბაცაცებისაგან. თუმცა ხანდახან ხდებოდა ბოროტმოქმედება. მაგრამ ასეთს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

ეს ფაქტები მილიციას დადებითი მხრით აფასებს.

მეორე მნიშვნელოვანი ბოროტება, რომელსაც მიექცა ყურადღება, იყო სისხლის აღების ადათი. სისხლის აღების ნიადაგზე აჭარისტანში გადამტერებული იყვნენ მრავალი ოჯახები და გვარეულობა, ამის ნიადაგზე ბევრი მკვლელობა ხდებოდა.

შემდეგი სერიოზული საგანი, რაზეც იყო მიქცეული ჯეროვანი ყურადღება, იყო მილიციის რეორგანიზაცია, რაც გამოიხატა შემდეგში: საქმეთა მმართველობის გასაადვილებად და ხარჯების შემცირების მიზნით გაუქმდებულ იქნა ბათომის ოლქის მილიციის სამმართველო, ხოლო ოლქის მილიციის სამმართველოს მუშაობა დაეკისრა შინაგან საქმეთა სახკომისარიატთან არსებულ სამილიციო განყოფილებას. აჭარისტულის მაზრის მილიციის სამმართველო გაუქმდებულ იქნა და შეერთებულ ჭოროხის მაზრის მილიციასთან. მაზრის მილიცია უშუალოდ დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სახკომისარიატს; შემცირებულ იქნა როგორც ქალაქის, ისე ოლქის მილიცია 50%. გამოყოფილ იქნა ქალაქ ბათომის მილიციისაგან სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილება და დაარსებულ იქმნა აჭარისტანის ცენტრალური სისხლის სამართლის მილიცია. გაწმენდილ იქნა მილიცია არასაიმედო პირებისაგან როგორც პოლიტიკური, ისე ზნეობრივად და მათ ნაცვლად იქნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის საიმედო პირნი.

1923 წელში ბოროტმოქმედთა რიცხვი შედარებით გასულ 1922 წელთან – 40%-დე ნაკლებია, რისი მაჩვენებელია ქვემოდ მოყვანილი ბოროტმოქმედთა მოძრაობის ცხრილი.

მონაცენილია				ასსნილია		
წელი	ქურდობა	მკვლელობა	გაძარცვა	ქურდობა	მკვლელობა	გაძარცვა
1922	323	23	20	227	26	11
1923	233	28	42	159	25	18

სამგებულო განზოგილება

1923 წელში იქნა გადაგზავნილი სხვა და სხვა ეროვნების ლტოლვილები საზღვარგარეთ: პოლონეთში, ამერიკაში, პალესტინაში, სპარსეთში, საბერძნეთში, ოსმალეთში და საბჭოთა რესპუბლიკებში. სულ 23.705 სული ორივე სქესისა. ამ განყოფილების მოვალეობას შეადგენდა ქალაქ ბათომში და მაზრებში მყოფ ლტოლვილების რეგისტრაცია და მათვის დახმარების აღმოჩენა ბინით, ექიმობით და სამშობლოში გადაგზავნით. გარდა მიმდინარე ლტოლვილთა რეგისტრაციისა, რომელსაც ეს განყოფილება ეწეოდა, ჩატარდა სხვა და სხვა ეროვნების ლტოლვილთა რეგისტრაცია, რომელზედაც გამოცხადდა – 4967 ლტოლვილი, ჩატარდა პოლონელ ლტოლვილთა და ოსმალეთის სამსედორ ტყვეების სოციალური რეგისტრაცია.

ლტოლვილთა დიდი რიცხვი ყავდა ამ განყოფილებას მარტისთვის განმავლობაში; ლტოლვილები მოთავსებულნი იყვნენ 6 პუნქტზედ ქალაქ ბათომში და მის მიდამოებში და მათი რიცხვი შეადგენდა – 4807 სულს სხვა და სხვა ეროვნების, სახელდობრ: ბერძნები, აისორები, სომხები, ებრაელები, რომელთა რიცხვიდან დიდი ნაწილი სამშობლოში გადაგზავნილ იქნა, როგორც აქ მოყვანილ ცხრილიდან ჩანს.

№	ეროვნება	სადაა გადაგზავნილი	ლტოლვილთა რიცხვი
1.	ოსმალები	ოსმალეთში	900
2.	სომხები	აფხაზეთში	582
	„ „ „ „ „	სასომხეთში	2.582
	„ „ „ „ „	მუგანში	866
3.	ებარელები	პალესტინაში	1.409
4.	სპარსელები	სპარსეთში	104
5.	რუსეთის მოქალაქენი	რუსეთში	575
6.	გერმანელი მენონიტები	ამერიკაში	59
7.	პოლონელები	პოლონეთში	58
8.	უმუშევარნი სხვა და სხვა ეროვნებისა შრომსახომის წინადაღებით	მუგანში	785
9.	ბერძნები	საბერძნეთში	7.149
10.	სერბიელები	სერბიაში	636

სულ გადაგზავნილია: 15.705 სული

1923 წელში მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განცოფილების მუშაობა შემდეგში გამოიხატა:

თანახმად დეკრეტის №26 დავალებული პქონდა მმაჩ-ს მთელ რესპუბლიკაში აქტების ჩამწერი განცოფილებების მოწყობა. 1923 წლის აპრილში შეგროვილ იქნა ცნობები იმის შესახებ თუ როგორ მდგომარეობაშია აქტების რეგისტრაციის წარმოება მაზრებში. აქტების ჩამწერი ქ/განცოფილება მაზრებში არ იყო, გარდა ჭოროხის მაზრისა. სხვა მაზრებში კი ჩაწერას აწარმოებდა თვით აღმასკომი. საერთოდ საქმე არ იყო დაყენებული სათანადო ნიადაგზე. წიგნებში აღნიშნულ აქტების რიცხვი მეტად მცირე იყო. ინსტრუქტორებმა წარმოადგინეს მმაჩ-ის ქ/განც. დაარსების პროექტი, რაც დამტკიცებულ იქნა. მმაჩ-ის ქ/განცოფილებების დაარსება მაზრებში და თუმები მხოლოდ 1924 წელში ჩატარდა. საილუსტრაციო მოგვავს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ბრუნვის ცხრილი.

ა ქ ტ ე ბ ი	იანვარი	ოქტომბერი	გენერი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
შეუძლებულია	62	68	47	69	70	45	5	25	37	41	51	37
განქორწინებულია	8	7	12	15	19	14	8	5	11	17	11	11
დაბადებულია	34	39	120	68	102	75	62	52	74	60	91	71
გარდაცვალებულია	5	13	28	48	50	63	52	46	32	41	55	49
სულ	109	127	207	200	241	197	127	128	154	159	208	168

სამისამართო გაზიდა

1923 წლის 6 იანვრიდან სამისამართო მაგიდაზე დაკისრებული იყო ქალაქ ბათომის მიდამოების მცხოვრებთა რეგისტრაცია., რადგან ბათომის მიდამოებში იმალებოდნენ მავნე ელემენტები. ამ ელემენტების შესაპყრობათ და გასაძევებლათ საჭიროება მოითხოვდა რეგისტრაციის მოხდენას. სათანადო ბრძანების გამოცემის შემდეგ რეგისტრაცია დაიწყო, მაგრამ 1923 წელში არ დასრულებულა.

ბათომის მცხოვრებთა მოძრაობის ცხრილი

ქალ. ბათომში 1923 წლის განმავლობაში შემოსულა მამა-კაცი	9.781
ქალ. ბათომში 1923 წლის განმავლობაში შემოსულა დედა-კაცი	5.168
ქალაქიდან გასულა დედა-კაცი	6.157
ქალაქიდან გასულა მამა-კაცი	10.484
მიცემულია ცნობები კერძო პირებზე	569
მიცემული ცნობები დაწევებულებებზე	15.228
გაყიდულა ბარათები კერძო პირებზე	41.357
გაყიდულა ბარათები მოსამსახურეებზე	13.099
გადასულ-გადმოსულა რაიონიდან რაიონში მამა-კაცი	568
გადასულ-გადმოსულა რაიონიდან რაიონში დედა-კაცი	506
საერთო შემოსავალი ყოვილა	1009 მ. 12 კ. ჩერვ.

გამასტორებელი სახლები №1 და №2

აჭარისტანის ცაგის დეკრეტით №30, 1923 წ. 10 მაისის თარიღით, გამასტორებელი სახლი №1 და №2 გადმოვიდა იუსტიციის შ. ს. ს. გამ-გებლობაში.

1924 წელი საერთო განყოფილების მუშაობა

1924 წლის განმავლობაში შ. ს. სახომატმა ცენტრალმასკომის წინაშე 115 შეამდგომლობა აღმრა უცხოელთა საბჭოთა ქვეშევრდომათ მიღების შესახებ, საბჭოთა ქვეშევრდომობა მიენიჭა 103 პირს, რომელთაც მიეცათ სათანადო საბუთები. 1924 წლის მარტამდე, სანამ დაარსდებოდა საგარეო საქმეთა განყ. უცხოელთა შესახებ ყოველგვარ მიმოწერას აწარმოებდა საერთო განყოფილება.

საინსტრუმენტ-საინფორმაციო განყოფილება

1924 წელში სისტემატიურათ იგზავნებოდა ინტრუქტორები ყველა მაზრებში ხანგრძლივი მივლინებით რევიზიების მოსახდენათ. ასეთი მივლინებები იყო 15-ზე მეტი და ყველა ნაკლულევანება, რომლიც გამოარკვის ინსტრუქტორებმა, საჭირო სისტრაფით გასწორდა. აქვე აღსანიშნავია ადგილობრივი ორგანოების პირადი შემადგენლობის (ტექნიკური) შესარჩევათ წარმოებული მუშაობა, რამაც მრავალი შეუფერებელი და მაგნე პირის გადაყენება გამოიწვია. მოხდენილ იქნა ხუთი მაზრის მცხოვრებთა აღწერა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, როგორც სტატისტიკური მასალა განსაკუთრებით საბჭოთა არჩევნების მოხდენის დროს. გარდა ამისა მიქცეულ იქნა საჭირო ყურადღება მაზრებში პერიოდულ გამოცემათა გავრცელებაზე. სისტემატიურათ იგზავნებოდა „მოამბე“-ს ყველა ნომრები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა ლიტერატურა.

დღემდე აჭარისტანში არ იყო გამოცემული კრებული იმ დეკრეტების, დადგენილებების და ბრძანებების, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა აჭარისტანის ა.ს.ს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამიტომ დაგროვილ იქნა მთელი მასალა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სხვა და სხვა საბჭოთ დაწესებულებებს და აგრეთვე პერიოდულ პირებსაც. შეყენებულია სიები სოფლის საბჭოების ყველა წევრებისა და ამნაირივე აღმასკომების პირადი შემადგენლობის გასაცნობათ. შეყენებულია ყველა წევრებზე ანკეტები.

მოხდენილია ხულოს, ქედის, ქობულეთის, აჭარის-წყლის და ჭოროხის სამაზრო და სათემო აღმასკომების რევიზია.

აყვანილია აღრიცხვაზე ყველა ტრესტები და ავტონომიური შენაერთები.

სამილიციო განყოფილება

1924 წელში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მილიციის მთელი შემადგენლობის სისხლის, სამართლის, სამოქალაქო, საპროცესუალო კოდექსის და საერთო სამილიციო ინსტრუქციასთან გაცნობას. ამ მიზნის მისაღწევათ მოეწყო სადამოს კურსები, რომლის პროგრამაში შედიოდა: სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესუალო კოდექსები, პოლიტ-განათლება და აღმინისტრაციული უფლება. ყურადღება აგრეთვე მიექცა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას

მიღიციაში, როგორც ქალაქში, აგრეთვე მაზრებშიც. გამომუშავებულ იქნა ცირკულიარი ყველა მაზრის მიღიციის უფროსების სახელზე, რათა ყველა წერა-კითხვის უცოდინარი მიღიციის თანამშრომელი, სამსახურიდან თავისუფალ დროს, ყოველწლიურათ წარეგზავნა წერა-კითხვის შესასწავლად. თუ რამდენათ არის მიზანი მიღწეული ამ ხნის განმავლობაში იქიდან სჩანს, რომ წერა-კითხვის უცოდინარი მიღიციელები მთელ რესპუბლიკაში იყო „122“ კაცი 1924 წლის დამდეგში, წლის ბოლოს კი მხოლოდ „29“.

შემდეგი საკითხი, როგორც მიქცეულ იქნა ყურადღება და მოგვარუბულ იქნა არის სამხედრო გარჯიშობა და სამხედრო გაწვრთნა, როგორც ქალაქის აგრეთვე სამაზრო მიღიციისა. ამ მიზნით შემოდგებულ იქნა სამხედრო გარჯიშობა პირველათ ქალაქში. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. 1924 წლის მაისამდე სამხედრო გარჯიშობას მაზრებში სრულიად არ ჰქონდა ადგილი. გაიგზავნა ინსტრუქტორი მაზრებში, რომელმაც შემდებისდაგვარად მაზრის მიღიციას შეასწავლა სამხედრო გარჯიში.

გამომუშავებულ იქნა პროექტი სისხლის სამართლის მიღიციაში საპრემიო ჯილდოს დაწესების შესახებ. გარდა ჯამაგირისა, სისხლის სამართლის თანამშრომელის საშუალება მიეცათ მათ მიერ ადმოჩენილ ბოროტმოქმედებით შეძენილ ქონებიდან მიიღონ პროცენტული ანარიცხი.

გარდა ამ მოხსენებაში აღნიშნული მუშაობისა, ჩატარებული წვეულებრივი მუშაობა, რომელსაც შემდეგი ციფრები ახასიათებს:

- ა) დაპატიმრებული არის გამსახლში, როგორც მავნე ელმენტები . . . 156
- ბ) გადაგზნილი არიან ეტაპით თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე . . . 223
- გ) დაჯარიმებულია ადმინისტრაციული წესით სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებების და ბრძანებების დარღვევისათვის მოქალაქენი 6777 ჩერვონული მანეთით . . . 458

სისხლის სამართლის მიღიცია

1924 წლის განმავლობაში ცენტრალური სისხლის სამართლის მიღიციაში აღნუსხულია ბოროტმოქმედების, პატიმრების და მიების შემდეგი მოძრაობა:

№	დასახელება ბოროტმოქმედების	საერთო რიცხვი	ახსნილია	აუხსნელია	წარმოება
1.	ქურდობა	762	395	322	45
2.	მითვისება	42	23	15	3
3.	ფულების გატაცება	7	6	1	-
4.	შახაზინო ნივთების გაყიდვა	10	8	-	2
5.	თავდასხმა	25	8	17	-
6.	გვამის აღმოჩენა	4	4	-	-
7.	ნაქურდალი ნივთების ყიდვა-გაყიდვა	14	14	-	-
8.	კონტრაბანდის აღმოჩენა	33	33	-	-
9.	მკვლელობა	9	7	2	-
10.	სისხლის სამართლის მიღიციის მოქმედების შესაცხოვის მიუწვდომელი	2	2	-	-
11.	ქალის გაუპატიურების ცდა	5	5	-	-
ს ულ		913	505	357	50

პატიმრების მოძრაობა

შეპყრობილია სულ	406
ამ რიცხვიდან განთავისუფლებული	132
გამსახლში გადაგზავნილი	226
მცირეწლოვანთა კომისიაში	48

ძ. მ. ჩ. ჩ. 1924 წელში

1924 წლის დასაწყისში დაარსებულ იქნა მ. მ. ჩ. – ის განყოფილებების შემდეგ პუნქტებში: ქვედაში, ქობულეთში, ფურთიოში, მერისში, ცხმორისში, სტეფანოვკაში, ბარცხანაში, აჭარის-წყალზე, ხუცუბანში, ლეღვაში და ჩაქვში.

მ. მ. ჩ. – ის მუშაობა გაიზარდა, რადგან სასტიკად აკრძალულია რაიმე მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტის გატარება გარეშე მმაჩ-ის განყოფილებისა. ყველა სარწმუნოების ეკლესიების ძველი მეტრიკული წიგნები ინახება მმაჩ-ის განყოფილებაში.

უკანასკნელ დროს კიდევ მოიმატა მუშაობამ, რადგან გაცემული იყო ბრძანება, რომ სამი თვის განმავლობაში გაეტარებინათ რეგისტრაციაში 1921, 1922 და 1923 წლების განმავლობაში დაბადებულნი, ან გარდაცვლილებულნი, რომლებიც თვის დროზე არ იყვნენ რეგისტრაციაში გატარებული.

საანგარიშო დროს განმავლობაში რეგისტრაციაში გატარდა მ. მ. ჩ. – ში:

	იანვრი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	1 ოქტომბერი
დაბადებულია	110	142	138	78	79	79	71	86	71	237
დაქორწინებულია	45	69	34	42	42	50	35	24	29	108
არდაცვალება	50	44	54	40	40	58	78	34	64	140
ანქორწინება	10	8	6	6	9	12	7	8	11	27
გარის გამოცვლა	–	–	–	–	–	–	–	–	–	4

სამართლით განყოფილება

მუშაობა 1924 წლის განმავლობაში გამოიხატება შემდეგ ში:

- 1) მთელ აჭარისტანის ფარგლებში გატარებული იქნა ოსმალეთის ქვემევრდომ სამხედრო ტყვეების და ლტოლვილების აღრიცვა. აღრიცხვაზე იყო აყვანილი 1152 სული. მათ შორის სამშობლოში დაბრუნების მსურველი 648 და არა მსურველი 504 სული.
- 2) ოსმალეთის რეპატრიანტების საჭიროებისათვის იქნა, თანახმად ინსტრუქციისა, მოწყობილი მიმდები პუნქტი 150 კაცისათვის.
- 3) პირველი ჯგუფი ოსმალეთში გადასაგზავნათ იყო მოყვანილი ჭოროხის მაზრიდან 12 თებერვალს – 12 - 40 სული, რომლებზედაც იყო შედგენილი სათანადო სიები და გარდაცემულ იქნენ ოსმალეთის კუნძულზე მათი სამშობლოში გადასაგზავნად.

4) მეორე ჯგუფი ოსმალეთის რეპატრიანტებისა რიცხვით – 142 სული იქნა

ჩამოყვანილი ქობულეთის მაზრიდან და სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ იქნებ გადაცემული ოსმალეთის კონსულზე მათი სამშობლოში გადასაგზავნათ.

საბარეო განყოფილება

საგარეო განყოფილება დაარსებულ იქნა 1924 წლის მაისში. ამ განყოფილების ჩვეულებრივი მუშაობა გამოიხატება უცხო ქვეყნების ქვეშემდომთა აღრიცხვაში, მათვის საშინაგანო პასპორტის მიცემაში, საზღვარგარეთ წამსვლელ პირთაოვის პასპორტების გაცემაში და სხვა. საგარეო განყოფილების მუშაობა აღნიშნულ დროის განმავლობაში გამოიხატა შემდეგ ში:

შემოსულია განყოფილებაში განცხადებები მისაღებათ	-	260
გასასვლელ ნებართვების მისაღებათ	-	150
გაცემული ნებადართული ვიზები	-	33
უარი ეთქვათ ვიზებზე (ცენტრიდან)	-	47
ვიზის ვადა გაგრძელებულია	-	1174
გატარებულია რეგისტრაციაში უკანასკნელათ მომხდარ აღრიცხვაზე გამოუცხადებელი მოქ.	-	170
შემოსულია განცხადებანი უცხოელების საშინაგანო პასპორტის და დროებითი მოწმობების მისაღებათ	-	730.

გამასწორებელი სახლი

№1 გამსახლში არიან მოთავსებულნი გამოძიების ქვეშ მყოფი პატიმარნი და აგრეთვე მისჯილნი დიდი ვადით, №2 გამსახლში – კი მისჯილნი მცირე ვადით, იძულებითი მუშაობით და სასტიკი იზოლიაციით.

№1 გამსახლში იმყოფებოდა – 288 პატიმარი; მათ შორის – 20 დედაკაცი, №2 გამსახლში კი – 84 პატიმარი; №1 გამსახლში არსებობს ოეატრი, სადაც დრო გამოშვებით იმართება წარმოდგენები პატიმართაოვის თვით პატიმართა ძალებით. №1 გამსახლთან არსებობს გამასწორებელი სახლების პატიმართაოვის სამკითხველო, სადაც არის 784 წიგნი, მათ შორის: რუსული – 597, ქართული – 159, თაორული ანბანი – 17, სომხური – 3, ფრანგული – 5 და ინსგლისური – 3, აგრეთვე უოველ დღიურათ მოდის უფასოთ თითო ცალი ადგილობრივი გაზეთი: „ტრუდოვო ატუმი“ და „ფუხარა“. №1 და №2 გამსახლების პატიმართა შორის წერა – კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად დანიშნულია მასწავლებელი, რომელიც ასწავლის წერა – კითხვას პატიმრებს. №1 გამსახლში არსებობს ტანსაცმელების, ფეხსაცმელების და ძვლებისაგან გასაკეთებელ საგნების სახელოსნოები, სადაც მუშაობენ პატიმრები.

სამზისხლე

გარდა ზემოდნაჩვენებ განყოფილებებისა, შიანაგნ საქმეთა სახეომისარიაგში არსებობს სამდივნო ნაწილი. მიმოწერა საიდუმლო ხასიათისა თავ-

მოყრილია ხევნებულ განყოფილებაში და ამ უკანასკნელს განაგებს პასუ-
ხისმგებელი ამხანაგი.

დასასრულ აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში-
ვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაისახა მიზნათ მისი ხელ-
მდღვანელი ორგანოს – სახკომსაბჭოს დირექტივების ცხოვრებაში გატარე-
ბა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მიზანი მიღწეულია.

**ასხცა, ფონდი რ-2; ანაწერი №1, საქმე №1.
ცურც. 206, 207, 208, 209.**

**გენერალ-აღიატანტ სვიათობარლაშირსკის მოხსენებიდან
პაგანიძის მეზონაცვალისადმი 1879 წ. თებერვალი**

გადასახლებას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა თურქეთთან
ჩვენი ახალი სახლგვრის გამაგრებისა და კავკასიაში ჩვენი პოლიტიკური
მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გადასახლებულთა ნაცვლად რუსული
ელემენტის ჩასახლება შეიძლება ფართო ნასტებაბით. მასშტაბები დამოკი-
დებული იქნება თავისუფალი მიწების რაოდენობაზე.

ამიტომ: ა) ხელი არ უნდა შევუშალოთ მუსლიმანებს თურქეთში გადა-
სახლებაზე არც პირდაპირ, არც ირიბად; ბ) უნდა გავატაროთ ლონისძიებე-
ბი, რათა მუპაჯირთა მიწები მოხდეს მხოლოდ მთავრობის განკარგულება-
ში.

იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს აქ (საუბარია ყარსის ოლქზე – თ.
ფ.) რუსული ელემენტების ჩასახლებას, რომ დანახარჯი, რამდენიმე მილიო-
ნი მანეთიც რომ იყოს, უნდა მივიჩნიოთ, როგორც მიზანმიმართული და სა-
სარგებლო.

ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი ამოცანაა აქ ჩავასახლოთ რაც შეიძ-
ლება მეტი რუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ უნდა დავემშვიდო-
ბოთ აზრს კავკასიაში რუსული მოსახლეობის ჩასახლების შესახებ. არ შე-
იძლება სინანული არ გამოვთქვათ, რომ 1829 წლის შემდეგ ახალციხისა და
ალექსანდროპოლის უეზდების მდიდარ მიწებზე ჩასახლდნენ არა რუსები,
არამედ სომხები, ბერძენები და თურქეთიდან გადმოსულები. ასეთი შეცდო-
მის პატიება არ შეიძლება. თქვენთვის ცნობილია, რა სარგებლობა მოგვი-
ტანა კავკასიაში გაბნეულმა რუსულმა მოსახლეობამ. ამას აქვს როგორც
სამხედრო, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. . .

მოსახლეობის შემადგენლობას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი
პრინციპი: ის უნდა იყოს უსიტყვოდ ქრისტიანული. უმეტესობა უნდა იყოს
რუსი. . . რუსული ელემენტის გამოჩენა აქაურებს გაუჩენს თურქეთში წას-
ვლის სურვილს. . . შეიძლება მივიღოთ მხედველობაში, რომ პირველ პერი-
ოდში აქ შეიძლება ჩასახლდეს 18000 სული (რუსი), ხოლო ბერძენები და
სომხები თანაბრად, სულ 6 ათასამდე.

**სცხსა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო
საისტორიო არქივი) ფ. 416, ან. 3., ფ. 9, 10, 12, 18, 19.**

თბილის გუბერნიის თავადაზნაურთა საპრეზიდოს ზამხრია ჰიჟინაძის მოხსენებიდან

ქართველ მაჰმადიანთა საქმეები იქამდის საყურადღებოდ მიმაჩნია, რომ საჭიროდ ვთვლი ხენებულ საკრებულოს რამდენიმე სიტყვა მოვახსენო. . . რამდენჯერმე ვიმოგზაურე 1906 წ. ოქტომბერს და ნოემბერს. 25 და 26 ოქტომბერს იყო მათი ბაირამი. ამ დღისათვის რამდენიმე ალაგს დარიგებული იქნა „ყურანი“ და ჟურნალ „ნაკადულის“ წიგნები. ერთმაც და მეორემაც დიდი გავლენა იქონია ორი საუკუნის განმავლობაში მოწყვეტილ ქართველ მაჰმადიანებზე. ბავშვები დიდ სინანულში არიან, რომ მათ სკოლებში ქართულს არ ასწავლიან. ბათუმის ოლქში მთავრობისაგან გახსნილია 5 სკოლა: ქობულეთს, აჭარისწყალს, მარადიდს, ქედას, ხულოს. ყველა ამ სკოლებში ქართული ენა მოსპობილია. ბავშვებს ასწავლიან ოსმალურად და რუსულად. მასწავლებლებად დანიშნული არიან ადგილობრივი ბერძენთა შეილები, რომელთაც სამოქალაქო სკოლები აქვთ დამთავრებული და არც ქართული იციან. ბავშვებმა კი არც ოსმალური იციან და არც რუსული. ორივე ეს ენა მათვის უცხო არის. ქობულეთში ამ გარემოების გამო დიდად უკმაყოფილონი არიან ქართველი მაჰმადიანები და მეკითხებიან თუ რა ქნან, სად და ვის მიმართონ ამის შესახებ და დახმარება სთხოვონ, რომ მათ სკოლებში შემოღებულ იქნას ქართული ენა, როგორც დედა ენა. ამის შესახებ მურადის წერილი 1907 წ. ივნისის თვის რიცხვებში გულო კაიკაციშვილსაც გამოუგზავნია ჩვენი საკრებულოსათვის. . .

ართვინის ოლქში ერთი სკოლა არ არის. კარგი იქნება ხენებულ კუთხეში, ნამეტანურ მურდულის ხეობას ან იმერხევს და თუნდაც ქ. ართვინის ერთი სკოლა გაიხსნას, სადაც მოსწავლეები ასობით იქნებიან და ქართულსაც ისწავლიან, თორემ თოხი სტიპენდიანტი ვინ იცის სწავლის შემდეგ საით წავლენ. . .

**აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი,
ხელნაწერი №3930, ფონდი №196, ფურც. 89, 90, 91.**

ბატონ ზაქარიას!
1923 წლის 18 თებერვალი

პატივცემულო ბატონო ზაქარია. მე რომ დაგავალეთ თქვენ ჩემი მიღების შესახებ თბილისში, ნუცუბიძის სკოლაში, რაღაც მიზეზების გამო ვერ ჩამოვედი და ველოდი აასუხს თქვენგან, მაგრამ ძალიან გვიან გავიგე იუსუფ ცივაძისაგან პასუხი, თორემ არ დავიზარებდი ჩამოსვლას. . .

მადლობას მოგახსენებთ ბატონო ზაქარია, როგორც მოხუცმა კაცმა იმდენი იმსჯელეთ ჩემთვის. სამაგიერო პატივისცემას გადაგიხდით, რისგანაც შემეძლება. თქვენ ხართ როგორც მამა ჩემი. . . და აჭარის შვილების მამა

თქვენ ხართ მამულისშვილი აჭარის,
თქვენი სახე ნათლად ფერაგს,
და მუდმივად იქნება უვიწყარი. . .
მემედ ხარაზი, ქობულეთელი მოწაფე ბათომის გიმნაზიისა.

ჩემი ადრესი – ქ. ბათომი, ზღვისპირის ქ. №26.

**აჭარის მხარეთმცოდნეობის მუნიციპალიტეტის
ხელნაწერი №5324-6, ფონდი №196, ფურც. 210-211.**

ლრმად პატივცემულო მოხუცო ზამარია!

თანახმად თქვენი დანაპირებისა, ვაგზავნი ჩემ ძმას კადირს და მე დარწმუნებული ვარ თქვენ აზრდით მას ისე, როგორც თქვენს დიდებას შევერება.

თქვენი მოსიყვარულე და პატივისმცემელი ჰაიდარ აბაშიძე.
25.VIII.1923

**აჭარის მხარეთმცოდნეობის მუნიციპალიტეტის
ხელნაწერი №5325-6, ფონდი №196, ფურც. 213.**

მარტინ პეტრი გურიელის ბიბი

(შეკრიბეს პროფ. თამაზ გურგარაძემ და ნატო ქიქავამ)

* * *

ჩვენში შეხვედრის დროს ქუდს მოიხდიან და ხელს ჩამოართმევენ, ზოგიერთ ქვეყანაში კი სხვა ჩვევა აქვთ. ჩინელის ზოგიერთ პროვინციაში ნაცნობები შეხვედრისას ჯერ ხელისგულზე დაიფურთხებენ და შემდეგ ერთმანეთს პირისახეზე წაუსვამენ. ზოგან შეხვედრისას ერთმანეთს ცხვირებს უსრესავენ. . .

„ცნობის გურული”, სურათებიანი დამატება,
7 ივლისი, 1902 წ.

* * *

ჩინელები სიცილით მოგვითხობს ნათესავის გარდაცვალებას. იქაური პატარძალი კი ტირის, როცა საკაცით მიჰყავთ საქმროს სახლში. ჩინელი ყველაფერს – შემოსავალსაც გკითხავთ. ეს თავაზიანობა პგონია და მას რომ პკითხო – სახლობა როგორ გყავთო, შეურაცხყოფილად ჩათვლის თავს. შენ მის სახლში რომ შედიხარ, ქუდს იხდი, ის კი ცდილობს მალე დაიხუროს. . .

ჩინელისათვის უცნობია დედის კოცნა. დედა სუნავს მას. სახლის მორთვას ბანიდან იწყებენ, განცხადებას ბანზედ მიაკრავენ. . .

ლამაზ ჩინელ ქალს ცხვირი ჩაჭუპნილი და მრგვალი სახე უნდა პქონდეს. ამიტომ გოგონებს ბაგშვილი უჭუპრავენ ცხვირს. ფრჩხილებს არ ჭრიდნენ მთელს სიცოცხლეში. . .

ქალის ენაჭარტლობა ქორწინების გაუქმების ერთ-ერთ საბუთად ითვლება.

„ივერია”, № 204, 25 სექტემბერი, 1894 წ.

მავნე ჩვეულებებზე

იმერეთში, ზოგ სოფელში, ოჯახში თუ ჭლექით დაავადდებოდა ვინმე, მას უზნეოდ ექცეოდნენ. როცა ჭლექით დაავადდებულს გული შეუწუხდებოდა და და ჭირისუფალთა ფიქრით უკანასკნელ მდგომარეობაშია, მას ამ დროს შველის ნაცვლად თავზე გუდას ჩამოაცვამენ, პირს ჭყინჩის ყველით ამოუკსებენ ხოლმე, რადგან სწამთ, რომ ასე ავადმყოფობა სხვას არ გადაედებაო. ეს მომიყვა ერთმა იმერელმა და არ ვიცი რამდენად მართალია. . .

მთიულები მშობიარე ქალს უყურებენ, როგორც მავნე სულს, უწმინდურ არსებას, რომელსაც შეუძლია წაბილწოს ოჯახი. ამიტომ მოსახლეობა, დადგება თუ არა მშობრობის დრო, ქალს გაიყვანენ სახლს გარეშე განსაკუთრებით მისთვის დანიშნულ სადგომში, სადაც მელოგინე ქალი სრულიად უპატრონოდაა რამდენიმე ხანი. . .

გრ. გველესიანი
„ივერია”, № 88, 1895 წ.

ბრძოლა უცოდობის წინააღმდეგ

ვინც გადააცდენდა დაოჯახების ასაკს, ძვ. გერმანიაში ეკრძალებოდა ქონების გადაცემა ვინმესოვის სიკვდილის შემდეგ. იგი სახელმწიფოს რჩებოდა. კანადაში ასეთ მამაკაცს უკრძალავდნენ ნადირობა – ვაჭრობას.

უცოდოთა წინააღმდეგ ბრძოლა სხვა ხალხსაც სცოდნია. ყმაწვილ კაცს, რომელმაც დააგვიანა ცოლის შერთვა, დამე ეზოში გადაეპარება ქალი, რომელსაც მოსწონებია იგი და გათენებამდის მისი სახლის კარებთან იქნება გაჩერებული. ამის შემდეგ ყმაწვილი იძულებულია წაიყვანოს ცოლად. იმ ველურ თემში, სადაც ასეთი ჩვეულებაა, აკეთებენ მაღალ დობეს, რათა ქალი ვერ შემოიპაროს.

„ივერია“, 25 ნოემბერი, 1895 წ.

მრავალქმრიანობა

. . . პოლიანდრია მეფობს იქ, სადაც ქალი ცოტაა. იგი გავრცელებული იყო ბრეტონელთა და არაბთა შორის, კანარის კუნძულებზე, ახალ ზელანდიაში, ამერიკაში, ყველაზე მეტად კი ინდოეთში, ცეილონზე, ტიბეტში. აქ არსებობს „მური მრავალქმრიანობა“. უფროსი მმა ოჯახში ირთავს ცოლს. მოხდება თუ არა ეს ცოლ-ქმრობა, ყველაზე უფროსი მმა ბერად უნდა შედგას, ხოლო დანარჩენ მმებს ისევე ქმრული უფლება აქვთ ოჯახში შეყვანილ რძალზე, როგორც უფროსს. უფროსის გარდაცვალების შემდეგ ქალი ქონებიანად უმცროსისაა. ამ ქალისგან ნაშობ შვილებს ასე ყოფენ: პირველი შვილი უფროსისაა და ასე მიყოლებით. ასეთი ჩვეულება უმეტესად ტიბეტელებშია, სადაც კეთილშობილებსა და მოხელეებს თავის დამცირებად მიაჩნიათ ქალთან კავშირი და შვილების კეთება დაბალ წოდებას აქვს მიჩემებული. მოგზაურნი აღნიშნავენ, რომ ტიბეტში ოჯახური ცხოვრება თუ უფრო მშვიდობიანი არა, არც უარესია, ვიდრე ევროპაში. მაგალითად, სკინერი მიდის მდინარე ჯების სათავეში მთიელ ინდიელთან და ეკითხება: - რამდენი ქმარი გყავთ ქალბატონ? - მხოლოდ ოთხი, დარცხვენით პასუხობს ქალი. - მერე და ყველანი ცოცხლები არიან? - ეკითხება გაკვირვებული ევროპელი. - რასაკვირველია, პასუხობს ქალი და უკვირს ასეთ სისულელეებს როგორ მეკითხებაო.

უფრო ახირებული ჩვეულება არსებობს ნაირებს შორის მალაბარაზე. 12 წლის ქალზე მშობლები საქმროს ძებნას შეუდგებიან. საქმროები ცდოლობენ, რაც შეიძლება დიდიალი ქრთამი აიღონ ცოლში. ამიტომ ქალის პატრონები უმეტესად დარიბ მუშებს, გზა დაბნეულ არაბებს და სხვა ქვეწიდან გადახვეწილო ისიძვებენ ხოლმე. როცა საქმროს უპოვნიან, დაიწყება ლხინი. ბოლოს საქმრო საცოლეს ყელის ძეწვეს ჩამოჰკიდებს და ქორწილი მთავრდება. ახალგაზრდები მშობლებთან 4-5 დღეს რჩებიან. შემდეგ ქმარმა ცოლს თავი უნდა დაანებოს სამუდამოდ და არასოდეს ინახულოს. ქალი რჩება მშობლებთან და ამ დღიდან იწყება ახალი ხანა ცხოვრებისა. დედა და ბიძა ვალდებული არიან ქალს სხვა ქმრები მოუძებნონ. მათ მოჟყავთ ყმაწვილკაცები და ქალის ნებაზეა – იქმრობს თუ არა. ამგვარად ქალი მოიკრებს 4, 6, ან 8 ქმარს, ზოგჯერ 11-საც კი. ყველა ამ ქმრებმა მშობლების სახლში უნდა იცხოვრონ და საერთო ცოლით სარგებლობენ. . .

ამიტომაა, რომ პირველ ქმრობას არავინ ინდომილებს, ხოლო საერთო ცოლის სარგებლობას კი ბევრია მოწადინებული. ეს ქმრები შეთანხმებულად ცხოვობენ. იმათ შორის იკრძალება ნათესავების შეუღლება. . .

ნაირებში, სადაც ეშმაკიც კი ვერ გაიგებს – ვინაა მამა, ყველა მამა-კაცს თავის მემკვიდრეებად და შვილებად თავისი დისშვილები მიაჩნია.

„ივერია“ №120, 9 ივნისი, 1888.

არცის ისტორია

. . . როდის მოხდა პირველი კოცნა? ამას ვერავინ გვეტყვის, მაგრამ ახლაც კი კოცნა არ არის ყველა ხალხში მიღებული ჩვეულება. დიდი ოკეანის კუნძულების: მაორისა, ტაიტისა, ჰაუგაუს მცხოვრებთ კოცნა სრულიადაც არ იციან. კოცნა არ იციან ამერიკის ესკიმოსებმა. . . ვინფორდ რიდმა ერთი ზანგის გასათხოვარ ქალს აკოცა. ქალი შეშინდა. კოცნა არ იციან ისეთმა ხალხებმაც, რომლებსაც ჩვეულებად ჰქონიათ ტუჩების გახვრეტა, ტუჩებში ძვლების გაყრა, როგორც იქცევიან ბერინგის ზღვის ნაპირის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის მცხოვრებნი.

სხვადასხვაგან კოცნა სხვადასხვანაირად იციან. აღმოსავლეთის ხალხს სჩვევიათ დიდკაცობას ტანსაცმელზე აკოცონ. ეგვიპტელები პატივისცემის ნიშნად ჰქოცნიან ხელზე და მერე ხელს თავზე იდებენ. სპარსელები პატივისცემის ნიშნად ჰქოცნიან მიწას, ფეხებსა და იმ ადგილს, სადაც ფეხი ედგა პატივსაცემ კაცს. არაბები ერთამენთს ჰქოცნიან ლოფაზე და მერე თავის ხელებს იკოცნიან. ოსმალები ერთმანეთს, რომ შეხვდებიან, მხრებში ჰქოცნიან და როცა შორდებიან – მუხლში. ყველაზე ძლიერი კოცნა ჰყვარებიათ პოლშებს.

კოცნა წერაზეც და ლაპარაკზეც ადრეა შემოღებული. უძველეს დროში ინდიელები მზის ამოსვლისას დედამიწაზე პირქვე დაემხობოდნენ, ხელებს ტუჩებზე იდებდნენ. ებრაელი მწერალი სამგვარ კოცნას აქებენ: კოცნა პატივისცემის ნიშნად, მისალმების ნიშნად და გამომშვიდობებისა.

პლინიუსის თქმით რომულის მეფობისას რომაელი ქმრები ცოლებს ტუჩებში კოცნიდნენ, რომ გაეგოთ – ღვინო ხომ არ დაულევიათო. შემდეგ კოცნა გახშირდა და რომაელებმა იგი კანონით აკრძალეს.

პაპებმა მორჩილების ნიშნად მოიგონეს ფეხის კოცნა.

რომში იმპერატორ კონსტატინების დროს გამოიცა კანონი, რომლის მიხედვით თუ გათხოვილმა ქალმა ქმრის გარდა სხვას აკოცნინა, წაერთმეოდა მზითევი.

ზოგჯერ კოცნა ძლიერ ძვირად გაყიდულა. ბანკირმა სოლომონ გეინემ ერთ არტისტ ქალს – ანტუანეტა ლებრენს 10100 მარკა მისცა. ნიუ-იორქში საქველმოქმედო საქმისათვის ერთი ლამაზი ქალი ფულს აგროვებდა. ბევრ მდიდარს აკოცნინა და ბევრი ფულიც შეაგროვა.

რუმინეთში, ქ. გალმაგონში ყოველ წელს იმართებოდა „კოცნის იარმუკა“, სადაც მოდიან სოფლებიდან მორთული ახალგაზრდა ქალები ღვინით სავსე დოქებით ხელში. ვინც შეხვდებათ, აკოცებენ, ღვინოს დააღევინებენ და კოცნაში ფულს ართმევენ. თუ კაცმა ქალს არ აკოცნინა, ეს ქალის შეურაცხყოფაა. ეს კოცნის დღეა.

„ივერია“, 1893 წ., 22 მაისი, №104.

რობორ სპამდნენ და ჰამდნენ უზინ

უძვ. დროიდან VIII ს-მდე ჭამდნენ თითებით. უწინ ჩანგალს არ ხმარობდნენ, მაგრამ მაშინაც იყო ზრდილობისა და ყოფაქცევის წესები. საჭმელში მთელი ხელის ჩაუყოფა უზრდელობად ითვლებოდა. მჭამელს 3 თითი უნდა ჩაეყო და ისიც იმ პირობით, რომ დიდხანს არ სჭერიყო საჭმელში და ნაჭრის არჩევანში არ შესულიყო.

ჩანგალი პირველად პენრის III-ის დროს ზოგიერთმა ახირებულმა მეგობრებმა შემოიღეს. დანარჩენები კი ისევ ძველებურად ჭამდნენ. ქონიანი ხელი სუფრაზე ან ტილოზე უნდა გაეწმინდა და არა ტანისამოსზე.

სუფრაზე დაჯდომა ხარისხოვნებაზე იყო დამოკიდებული. საფრანგეთში სახლის უფროსს ზურგი უნდა შეექცია ბუხრისათვის და ისე უნდა დამჯდარიყო.

13 რიცხვი მაშინაც ცუდ ნიშნად მიაჩნდათ და ამ რიცხვს უკავშირებდნენ იუდას, რომელიც მე-13 იყო საიდუმლო სერობაზედ. პერცოგი ლიუინი წერს, რომ ერთხელ ლუდოვიკ XV სუფრაზე მე-13 იყო და მთელი სადილი უგუნებოდ გაატარაო. ყოველი საჭმლის ჩამორიგებაზე ხელს იბანდნენ. სუფრა ყოველი სადილის უკან უნდა გამოეცვალათ, რადგან სტუმრები მასზე ხელებს იწმენდნენ. თითებით ჭამდნენ წვნიან საჭმელსაც.

იტალიელებმა და გერმანელებმა ჩანგლის ხმარება ფრანგებზე 100 წლით ადრე დაიწყეს. ინგლისელმა კორიეტიმ იტალიაში მოგზაურობისას ნახა ჩანგალი. იგი მოუხერხებელი და საშიში ეგონა, მაგრამ შემდეგ შეეწია, წაიღო ინგლისში. ამის გამო ის მასხრად აიგდეს.

ჩანგლის ხმარება უფრო მკვიდრად XVII ს-დან შემოიღეს. გავრცელებული წესის მიხედვით ვიცრე სხვა იღებს საჭმელს, შენ უნდა მოითმინო; თუ შენთან მჯდომს ცოტა ხორცი შეხვდეს, გაუნაწილე შენს მიერ ამოღებული დიდი ნაჭერი; ხორცი მხოლოდ სამი თითით უნდა აიღო; პირში ლუკმის მისატანად ერთი ხელი იხმარე; რამდენიც შეგეძლოს, ჭამე. მასპინძელს ნუ დაზოგავ, რადგან თუ მეგობრისას ხარ, ესიამოვნება, თუ მტრისას ხარ, მეგობრად მიგიჩნევს, რაკი კარგად მიიღებ მასპინძლობას.

„ივერია”, №135, 1889წ., 29 ივნისი

ძალუბი ჩინეთში

ჩინეთში ქალები არ უყვართ. მშობელს ნება აქვს დახოცოს და უპატრონოდ დატოვოს შვილები – მხოლოდ გოგონები, რადგან ქალებს ჭიუა არ აქვთ გაჭირვებაში თავს ვერ შეინახავენ.

„ივერია”, 16 აპრილი, 1889წ.

ოსმალეთში გადასახლებული ქართველები

ახალ შემოერთებულ საქართველოს ნაწილებიდან ოსმალეთში გადასახლებულები ტრაპიზონის ახლოს დაბინავებულან შემდეგ ადგილებში: იომურას, სურმენეს, ოფს, ირისეს, ათინას, არკავეს, ხოფას. როგორც ამბობენ, ამ შვიდ ადგილას და იმის ახლო-მახლოს არიან დასახლებულები – 500 მო-

სახლე, უმეტესნი ქობულეთლები არიან. . . და რიცხვით კომლზე რომ 5 სული ვიანგარიშოთ, 2500 სულზე მეტია.

ტრაპიზონის იქით, უნიემდის დასახლებულან შემდეგ ადგილებში და მის ახლო-მახლოს: თირიბოლის (800 სული), პირესის (500 სული), ორდუს და უნიეს (4 ათასი სული). თოხსავ ადგილას აჭარლები და მაჭახლელები არიან. ამგვარად, ტრაპიზონის იქით სულ 5300 სული იქნება.

სულ გადასახლებულების რიცხვი თუ დევრიშ-ფაშასაგან ძალით გაფანილებსა და მერმეთ ნებაყოფლობით 7800 არის, რაც ტრაპიზონის ახლო-მახლოა.

ამის გარდა, ჭანეთში და ტრაპიზონის გარშემო გაფანტულები არიან. უსახლობისა, ნაკლებულობისა და ჰაერის დაცვისაგან დიდ სიღარიბეში და ავადმყოფობაში არიან. . .

ამბობენ, ზოგს უკან დაბრუნება უნდაო, მაგრამ გასვლისას ბევრს ისე-თი ბილეთი აუღია, რომ დაუბრუნებლად გადავდივართო. ამ გარემოების გა-მო რუსის მთავრობისა ეშინიათ და დარჩენილან საცოდავად.

„დროება”, №188, 12 ენერბისთვე, 1879 წ.

**თ. ი. ჯაიანის კორესპონდენციიდან
სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი)**

. . . ორცოლიანი ქართველი მაჭმადიანი აქ იშვიათია. თუ ვინმეს პყავს ორი ცოლი, ან მოხუცია, ან საპყარი (კუტი) იქნება, ან უშვილო. . . ზოგი ქალი, როცა დაკუტდება, თხოვს ქმარს – მეორედ დასახლდეს, რადგან საჭიროა სახლ-ქარის და მინდორ-ბოსტნის პატრონობა და თვით კუტის მოვ-ლა. კაცი ასრულებს ამ თხოვნას და იმისი დედ-მამის თხოვნით სახლდება, მაგრამ მეორე ქალი იშვიათია, რომ ბედნიერების მომტანი იყოს. . .

„ივერია”, №192, 8 სექტემბერი, 1893 წ.

ძართველები რსმალეთში

. . . აქაურ ქართველებს ბევრი აქვთ ისეთი თვისება, რომელიც ჩვენ არ გვაქვს. ესენი არიან ერთმანეთის მოყვარულნი, ჭირში და ლხინში ერთმანე-თის დამხმარი და ზურგის მიმცემი. ამ ხასიათით ჩვენ, რუსეთის ქართვე-ლები ვერ დავიკვეხნით.

სტუმარი, ჩვენზე უფრო თუ არა, ნაკლებ არ არის მიღებული, რაც ხე-ლიდან გამოუვათ, არაფერს დაზოგავენ სტუმრისათვის. სტუმარმაც იცის შეფასება: რაც უნდა შეურაცხყოფა მიაყენოს მასპინძელმა თავის ერთ-ერთ დროინდელ სტუმარს, ის არ ეცდება შურისებას - „იმ კაცის პურ-მარილი დღსაც არ მომინელებიაო“ და თავს ანებებს.

სესხის გადახდა ამათ წმინდა საიდუმლოსავით მიაჩნიათ. მათ სწამთ, რომ ვინც ამ ქვეყნად თავის ვალს პატიოსნად არ გადაიხდის, სამოთხეს ვერ ედირსებაო.

პავლე მჭედლიშვილი

„დროება”, №39, 10 აპრილი, 1877 წ.

* * *

აჭარულ ჯამეებზე ქართული ორნამენტის შენარჩუნება მშენებელ ოსტატთა მიერ ადგილობრივი ძეგლების შემცულობათა მდიდარი ტრადიციების ათვისებისა და გამოყენების შედეგია. ეს გარემოება ჯერ კიდევ არქიტექტორმა აკადემიკოსმა პავლინოვმა შენიშნა, როცა იგი XIX საუკუნის 80-იან წლებში საგანგებოდ მოგზაურობდა კავკასიაში.

*მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის,
გამ. III, მოსკ., 1893, გვ. 76*

ძართული მრი და სარმატულობრივი საპირისი

. . . სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით მაჰმადიან ქართველთა ისტორია, თორემ ცოტას თვალს თუ გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი უფრო მედგრად და შეუპოვრად იბრძვიან თავისი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად...

„საქართველო”, 1916 წ., 8 იანვარი

გახსენება

ბიჭიკო დიასამიძე
თამაზ გუბარაძე

6028 დიასამიძე – 85

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შესანიშნავი მოღვაწეს, მომღერალი, მხატვარი მთარგმნელი, დახვეწილი იუმორის პატ-რონი – ასე იცნობენ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სულეიმან დიასამიძისა და ვალერია დუმბაძის უმცროსს ვაჟი შვილს, თბილისის კოლორიტს, 1950-ნი წლების მახვილსიტყვათა კორიფეს, ქალაქურ-თბილისური იუმორის ლეგენდარულ ზეპირშემოქმედს, ბოჭემური ცხოვრების მოყვარულ ნიაზ დიასამიძეს, რომელიც დედაქალაქმა ლეგენდებში გააცოცხლა.



იგი 1927 წლის ნოემბერში დაბადებულა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, სულეიმან დიასამიძის ოჯახში. ას-ლობლებს კარგად ახსოვთ მისი ამქვეყნად მოვლინება. „იმ დღეს საბავშვო ბალში ვიყავი, მოულოდნელად თოფის ხმა გაისმა, დაბნეული ბავშვები ში-შისაგან გავისუსეთ, მაგრამ დაგვამშვიდეს უფროსებმა და გვაცნობეს, რომ ჩვენს ოჯახში მესამე შვილი დაბადებულა. ახალდაბადებული ვაჟის სიხა-რულით გამოწვეული ქმოციები ბათუმიდან ჩასულმა ბიძებმა თოფის გას-როლით აღნიშნებს” – იხსენებს მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი.

ნიაზი ძალიან ლამაზი და ამავე დროს ცელქი ბავშვი ყოფილა, ამიტო-მაც ყოველთვის ვიდაცა ახლდა ქუჩაში გამოსვლისას, ბავშვი რომ არავის მოეტაცა. ნიაზის ბავშვობაში მათ ოჯახში (ბელინსკის ქუჩაზე) სამი წლის განმავლობაში ფრანგი ქალბატონი ცხოვრობდა და 30 მოწავე ჰყავდა. იგი ბავშვებს (მათ შორის ნიაზის დებსაც) ფრანგულს ასწავლიდა. დამდამობით თმებს ბიგუდების ნაცვლად ქაღალდით იხვევდა. ერთ შშვენიერ დილას გა-იღვიძა და თავზე აღარაფერი ჰქონდა. თურმე, ნიაზი შესულა, ქაღალდები შეუკრეჭია და თანაც თმებიც მიუყოლებია, მასწავლებელი ისე გამწარებულა, რომ თბილისიდან წასვლა გადაუწყვეტია. ნიაზის მამა მას საფრანგეთ-ში გამგზავრებაში დახმარებია. ნიაზს სამ წელიწადში ფრანგული (მისი დების მეცადინეობისას) შეუსწავლია, ინგლისური კი თავისით უსწავლია - გვითხრა ტასია დიასამიძემ. ნიაზს რამდენიმე სკოლა გამოუცვლია. იგი ქა-ლაქის 25-ე სკოლაში სწავლობდა. მასთან ერთად სწავლობდა გიგა ლორ-თქიფანიძეც. ბატონი გიგა დირექტორს ეშმაკობისა და ცელქობისათვის სკოლიდან გაუგდია. გიგა მე-15 სკოლაში გადაუყვანიათ. 25-ე სკოლის დი-რექტორს დაურეკია 15-ე სკოლის დირექტორისათვის და უთქვამს: რადგან თქვენთან მოვიდა, ალბათ ნიაზიც მაქ გადმოვა. მათ ერთად ყოფნა უნდათ და არ მიიღო, რადგან ისინი აიკლებენ სკოლასო. მართლაც ასე მოხდა. ნა-ხევარი საათის შემდეგ ნიაზი ანიკო მახარაძესთან (მე-15 სკოლის დირექ-ტორი) მისულა და იქ გადაყვანის ნებართვა უთხოვია. დირექტორს სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია, უთქვამს: ნიაზ შვილო, სკოლაში ადგილი არ მაქვსო. ნიაზი უხმოდ გაბრუნებულა კაბინეტიდან. ერთი საათის შემდეგ ოთხ ბიჭს ანიკო მახარაძის კაბინეტში მერხი შეუტანიათ და უთქვამთ: აკა, ადგილიო. ნიაზი მაინც არ მიუღიათ ამ სკოლაში (იხ. გაზ. „ვერსია,” 2002

წ. 25-31 მარტი). სკოლის დამთავრების შემდეგ ნიაზი ორჯონიკიძეში (ახლ. ვლადიპავლაზი) ჩაირიცხა სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლა მიატოვა. მას ერთი და იგივე პროფესია არასოდეს ჰქონია. მოგვიანებით ნ. დიასამიძემ მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—ისტორიის ფაკულტეტზე.

ნიაზ დიასამიძის პიროვნება ყველა თაობის ადამიანში ადრეაგს ცნობისმოყარეობას. მისი ჩვევები, თვისებები, ცხოვრების წესი უფლებას არ იძლევა მის შესახებ ყველაფერი ვიცოდეთ. ნიაზ დიასამიძე, შესანიშნავ იუმორობან ერთად პროფესიულ საქმიანობასაც კარგად ართმევდა თავს.

გაზეთ „თბილისში“ კორესპონდენტად მუშაობდა, უურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ —უფროს რედაქტორად, ფილარმონიაში-სალიტერატურო ნაწილის რედაქტორტად. თითქმის ყველა ჟანრის და ხასიათის მასალებზე მუშაობდა და აქვეყნებდა. მისი პირადი არქივი ინახება მისი დის, ქნ. ტუხიას ოჯახში. სხვადასხვა გაზეთში და უურნალებში დაბეჭდილია მისი ანობრაციები, მიმოხილვები, თარგმანები. ბევრმა არ იცის, რომ კომპოზიტორების: ნუნუ დუდაშვილის და გიორგი ცაბაძის სიმღერების ერთი ნაწილი ნიაზ დიასამიძის ლექსებზეა შექმნილი („მე თბილისის მოტრფიალე ვარ,” გამიღიმე, ნუ მაწვალებ, „ფიროსმანის ქალაქი” და სხვა). საოჯახო არქივში მრავლადა გამოუქვეყნებელი ლექსები, ზღაპრები ნახატები, კომპოზიციები, რომანები. ნიაზ დიასამიძის მრავალმხრივი შემოქმედების ეს მცირე ნაწილი ფურცლების ნაგლეჯებზეა შესრულებული და განადგურებას (ავტორისგანვე) შემთხვევით გადარჩენია.

ნიაზ დიასამიძემ ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ცნობილი ამერიკელი მწერლის თომას ჯადისის დოკუმენტური მოთხოვნა „ალკატრაზელი პატიმარი“. თარგმანი 1969 წელს გამოქვეყნდა უურნალ „ცისკარში“. ნაწარმოები აშშ-ს მოქალაქის, რობერტ სტრაუდის ცხოვრებას ეხება, რომელიც 1909 წ. დააპატიმრეს და 55 წელი ციხეში გაატარა. აქედან 48 წელი ერთკაციან საკანში იჯდა.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი ბავშვობაში სამკურნალო თაბაშირებითაც „ერთობოდა.“ ერთხელ მას რამდენიმე ფიგურა - ცხოველები, ადამიანები-სულ რადაც 20-30 წელში გამოუქანდაკებია. მშობლებს ნამუშევარი მეზობლად მცხოვრები მოქანდაკისათვის უჩვენებიათ. ამ ნაკეთობაში ისეთი ნიუანსებია, პროფესიონალის ნამუშევარიაო, უთქამს მოქანდაკეს. ნიაზი მაშინ 5-6 წლის ყოფილა. ის ქანდაკებები მოგვიანებით თვითონვე დაუმტვრევია. ერთ-ერთი, ბეთხოვენის ქანდაკება შემთხვევის წყალობით გადარჩენილა, რადგან იგი თავისი მეგობრის თვითურაზ ნაცვლიშვილისათვის უჩუქებია (იხ.გაზ. ახალი 7 დღე, 6-12 მარტი, 1998 წელი). აღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. ლორთქიფანიძე: ნიაზი გასაოცარ ლექსებს წერდა, გადასარევად ხატავდა. წარმოუდგენლად ნიჭიერად აკეთებდა პატარა სტულპტურებს პლასტმასისაგან და თაბაშირისაგან. მაშინ შემოსვლა დაიწყო ამერიკულმა, ინგლისურმა ე.წ. „ტროფეის“ ფილმებმა „სერენადა მზიური ველისა,“ „ველური ჯაზი“. ფილმის - „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ ნახვის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ პიანისტი ზუსტად იჯდა და უკრავდა, როგორც ნიაზი აკეთებდა ხოლმე, ოდონდ ისე, რომ ჯერ მას ეს ფილმი ნანახი არ ჰქონდა. ფეხიფეხზე გადაღებული უკრავდა და პირში სიგარეტი ჰქონდა გაჩხერილი. ამას ჰქვია მუზიკორება. მხოლოდ მელოდიას კი არ უკრავდა, არამედ ფანტაზიას ამ მელოდიის გარშემო. ეს იყო ისეთი ნიჭიერებით შესრულებული, რომ კონსერვატორიის

ხალხი, პიანისტები ჭკუას კარგავდნენ, „უკვირდათ—რანაირად უკრავს ეს კაცი ისე, რომ ფაქტობრივად მუსიკალური განათლება არ მიუღიაო” (გაზ. „ვერსია,” 25-31 მარტი, 2002 წ.).

ქ-ნ ტუსა მოგვითხრობს: „ნიაზი შევიდოდა თავის პატარა ოთახში, წერდა სიმღერებს, ლექსებს, მაგრამ ჩვენ, ამის შესახებ მისი გარდაცვალების შემდეგ შევიტყოთ. მაგალითად, ნიაზის დაწერილია სიმღერა „ცოდვა თუ ჩადენილი რამე.” „ფიროსმანიც” ნიაზმა დაწერა, „თეთრი ვარდები” კი თავისივე დაწერილ ტექსტზე შექმნა. ამ სიმღერას მედეა მიძიგური ასრულებდა”. ნიაზს შედეგენილი ჰქონია გურული დიალექტის განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც დღის სინათლე არ უნახავს.

ნიაზ დიასამიძე მუდამ მეგობრების წრეში ტრიალებდა. მისი მეგობარი ანზორ სალუქვაძე მოგვითხრობს: „ნიაზ დიასამიძე—იშვიათია ასე პოპულარული გამხედარიყოს კაცი, რომელიც არც დიდი მეცნიერი ყოფილა, არც დიდი პოეტი ან მწერალი, არც დიდი მომღერალი და კომპოზიტორი, არც ყაჩალი და აკლაპონეს მსგავსი ვინძე.. პირიქით, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელიც ვერასგზით ვერ შეეწყობოდა ცხოვრების საბჭოურ წესს ... აშკარად დედამიწის საპირისპირო მხარეს იყო დაბადებული. იქნებ იმიტომაც ეამაყებოდა ყველას მასთან სიახლოვე. „ნიაზმა მითხრა,” „ნიაზი შემხვდა,” „ნიაზთან ვიყავი”... ამას ისე ამბობდნენ, როგორც—„აინშტაინმა მითხრა,” „უელალ ფილიპს შევხვდი,” „ უელსის პრინცთან ვიყავი.”

„ნიაზს თავადაც ძლიერ უყვარდა საზოგადოებაში ყოფნა... მახსოვს, ერთხელ როცა ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, „შატალოზე” ბელინსკის ქუჩით მიმავალი ქვემოთ ვეშვებოდი... დიასამიძების სახლს, რომ გავუსწორდი, სტვენა შემომესმა. ოთახის სარკმელი გამოედო—იქედან დამისტვინა. ამოდიო! — მანიშნა... უშველებელი წიგნი მაჩვენა—უნდა მოვიპაროთ, ჩამჩრებულა. წიგნი „ტექნიკურ სიტყვათა ლექსიკონი” აღმოჩნდა... მამამისის, ბატონ სულეიმანს სამაგიდო წიგნი მოვპარეთ, ბუკინისტებთან მივიტანეთ და ექვს თუმნად გადავულოცეთ... იმ ფულით ჩვენებურად, თბილისურად მოვილინეთ... შემდეგი შეხვედრისას ნიაზმა მითხრა— დავიდუპეთო. კინაღამ გაგიჟდა სულეიმანი. იცი რა მითხრა? შენ და იმ შენმა ლაწირაკმა ქურდმა მეგობარმა ან ახლავე უკან მოიტანეთ ჩემი ლექსიკონი, ან დაჯექით და თავად შეადგინეთო.”

ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა ნიაზ დიასამიძეს. მათ შორის მას, ყოველთვის ეკავა ლირსეული ადგილი, მაგრამ მუდამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა სტანჯავდა. მისი უმთავრესი ნიშანი მარტოხელობა და სეგდიანობა იყო. მეგობრები არ აკლდა და მაინც მარტოდ დარჩა იგი. ნიაზის სულიერ მდგომარეობას კარგად ახასიათებს ნანა კანდელაკი. იგი იმოწმებს მეგობრის საუბარს და ნიაზს უიდბლო კაცად მიიჩნევს, რომელიც მოვლენებს სხვანაირად აღიქვამს, მაგრამ ამავე დროს თვლის, რომ ის ყველა ჩვენთაგანზე მეტად ბედნიერია, რადგან თავისუფალი, თვითმყოფადი პიროვნებაა, იგი წერს, მდერის და აკეთებს იმას, რაც სიამოვნებს (ნიაზ დიასამიძე, გახსენება, თბ. 1992, გვ. 44). ახლობელთა შეცდომების გამო მისი ცხოვრება ზოგჯერ ტრაგიკულიც იყო.

ნიაზ დიასამიძის პირველი და უკანასკნელი ქორწინება ქალბატონ მელიტა იოსელიანთან დაიმსხვრა, მაგრამ უკვალოდ არ გამქრალა. დაქორწინებიდან სულ მაღე, მათი ვაჟიშვილი თემური დაიბადა. იგი დავაჟკაცდა, დღეს არქიტექტორია, სამშენებლო ფირმა „არქსტუდიას” გენერალური დირექტორი, იქრსახით და აღნაგობით მომხიბლავი ჩვევებით და თვისებებით

მამას მიმსგავსებული, ნაადრევად გაჭაღარაგებული ახალგაზრდა, შესანიშნავი ქართველი. მას ეამაყება, რომ მისი ბაბუის, სულეიმან დიასამიძის ოჯახიდან დაამთავრეს თბილისის უნივერსიტეტი არაერთმა თანამემამულებ აჭარიდან, მათ შორის: **მებებულე დიასამიძემ**, მინირე აბაშიძემ და სხვებმა, რომ ბაბუამისის სახელს უკავშირდება ქობულეთის საკურორტო ქალაქად გამოცხადება.



თემურ დიასამიძემ 1951 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა თბილისში, ოქროს მედალზე და შევიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ბატონი თემური, როგორც არქიტექტორი, შემდგომში საპროექტო ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი და ამჟამად არქსტულიის დირექტორი, არის უამრავი პროექტის ავტორი, რომელთაგან 15-მდე უკვე რეალიზებულია. მათ შორის: ბანკი „რესპუბლიკის“ სათაო ოფისი, საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის ქუჩაზე, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი კომპლექსი ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე და ა.შ.

იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგორებს მამასთან გატარებულ დღეებს: „მამაჩემი კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. ჩვენ ცალკ-ცალკე კცხოვრობდით, რადგან მშობლები ჩემს ბაგშვილაშივე დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ მამას ხშირად ვხვდებოდი... დაშორების მიზეზი არასოდეს მიკითხავს. ჩანს, ქალებს ქმრებად არ მოსწონდათ ორიგინალური და კოლორიტული პიროვნებები (გაზ. „თბილისი“, 1997 წ. 25 ოქტომბერი). თემურის პყავს მეუღლე მეუღლე ანება წულაძე (დედით ფრანგი) და ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსს ნიაზი დაარქვა. მეორე შვილი ჯაბა 19 წლისაა და სწავლას აგრძელებს საფრანგეთში.

ნიაზი დაიბადა 1973 წელს, თბილისში, დაამთავრა №6 გერმანული სკოლა, სამხატვრო აკადემია სამრეწველო გრაფიკის სპეციალობით. 14-15 წლის ასაკიდან დაინტერესდა მუსიკით და ჩამოაყალიბა ანსამბლი 33 - ა (მისი საცხოვრებელი სახლის ნომერი), არის უამრავი ნახატის ავტორი, იგი მიხვდა, რომ მხოლოდ ფუნჯითა და ფანქით ვერ შეძლებდა სათქმელის ბოლომდე გამოხატვას და თავისი სულის საიდუმლო გაანდო სიტყვას, მელოდიას. მისი მუსიკა ყოველთვის საინტერესო და შშვენიერია. მასში ჩანს სიყვარული, სილამაზე, რომანტიკა, ქართული კლასიკური პოეზიის („ვეფხისტეებისნის“) გალაქტიონის პოეზიის) ხიბლი. „5 წლიდან დავდივარ პარიზში, ბებიასთან. ჩემი მუსიკაც ჰგავს რაღაცით ქართულისა და ფრანგულის ნაზავს. ოდონდ გემოვნებაში და არა რამე კონკრეტულ სტილში, ანუ ჩამომიყალიბდა რადაც ჩემებური ხედვა, რომელიც გადმოვეცი მუსიკაში“— ამბობს იგი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უწევს პარიზში ყოფნა, მისთვის მთავარ ქალაქად მაინც თბილისი რჩება, რადგან იგი არის მისი ქალაქი, იმიტომ რომ იქ დაიბადა და გაიზარდა. ნიაზი ამაყობს, რომ ატარებს ბაბუის სახელს, რომ არის შთამომავალი აჭარელთა შორის პირველი უმაღლესგანათლებული დიდი სულეიმან დიასამიძისა, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-განმთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში.

ნიაზი განსაკუთრებული მოწიწებით იხსენებს მისი ბაბუის, დიდი ნიაზის სახელს: „როცა ბაბუის სახელი გქვია, მოქმედებს. რა თქმა უნდა, რა კაციც იყო, მერე შენზე გადმოდის ის მადლი, გენები. ის ხარ შენ, ცუდ

აკეთებ თუ კარგს. რომ ვთქვათ, მისი „ბრალია“ მეტი წილი. მითუმეტეს, როცა ყველასათვის საყვარელი ადამიანები აღმოჩნდნენ ჩვენი ბაბუები... ჩე-მი სახელი ნიაზი ინტერესს იჩენდა ბაბუის გამო. ბაბუაჩემს ისე ვაფასებ, რომ მასზე უკეთესობას ვერ ვიგრძნობ, ნადდად ვერასდროს. დიდი ნიაზი ბევრად უფრო საინტერესო ტიპი იყო, ვიდრე მე. მეც ვცდილობ, რომ მისი გენები, რაც გადმომეცა მაქსიმალურად გამოვიყენო”... პატარა ნიაზს პყავს მეუღლე – მაია გელოვანი და ერთი ვაჟი-ოშემური.

42 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიაზ დიასამიძე (დიდი ნიაზი). სიცოცხლის ბოლო წლებში დასთან გუბულისთან და დიშვილთან ერთად ცხოვრობდა. თითქოსდა გრძნობდა კიდევ სიკვდილის მოახლოებას. ერთხელ ნიაზს გია ლექავასთვის უთხოვია-წამომყევი ერთ ადგილას, დედაჩემი მომენატრაო (დედა უკვე მკვდარი იყო). ვაკის სასაფლაოსაკენ მიუწევდა გული. ყვავილები დაუწყია დედის საფლავზე, შემდეგ უკან გამობრუნებულს კლე-სიაში შეუვლია, დაჩოქილა დატოსმშობლის ხატთან და ქვითინით უთქვამს: „დედავ და მამავ, სულ მაღლ მოგალ თქვენთანო” (ნიაზ დიასამიძე, გახსენება, თბ. 1992, გვ. 50). ვაკეში დაასაფლავეს დედაქალაქის სიამაყე, კოლორიტი.

ბევრმა სცადა, გაეთავისებინა თბილისი, მაგრამ ვერ შეძლო. თბილისე-ლობა არ იყო ადვილი, მას შეუვალი კანონები პქონდა-რაინდობის, ერთგულების, მაღალზნეობრიობის და სიკეთის კანონები, რომელიც იქმნებოდა დუ-დაქალაქის ცალკეული უბნებისა თუ უბნების „ცხოვრებისეულ სკოლებში.”

თბილისელობა შეძლო ნიაზ დიასამიძემ, რადგან მას თბილისი აწუ-ხებდა და ახარებდა, ატირებდა და აცინებდა, ამღერებდა, ახატვინებდა, აძერწინებდა, ათრობდა და აფხიზდებდა. მისით დაიბადა ბევრი ახალი ლექსი, სიმღერა, იუმორი. ამიტომაც ძნელი წარმოსადევებია ნიაზი უთბილი-სოდ და თბილისი უნიაზოდ (თემურ ნამორაძე). თბილისს და სრულიად სა-ქართველოს ახსოვს ნიაზი, ახსოვს არა მარტო დიდი იუმორისტი, არამედ მრავალმხრივი შემოქმედი. 40-იანი წლების თბილისის ინტერნაციონალური სულის, განუმეორებელი კოლორიტის წარმოსაჩენად გიზო ნიშნიანიძემ თა-ვის დოკუმენტურ პოემაში სხვა ლირსეულ თბილისელებთან ერთად ნიაზ-საც განსაკუთრებული ადგილი დაუთმო:

„ნიაზას გაუმარჯოს, ბიჭებო დიასამიძეს

და იმის სარიგით ბულდოგს.

ყველა სახლს და ქუჩას, ყველა მერცხლის ბუდეს-

ბედის ბუდეს

სადაც ჩვენი ბუდა ბუდობს

ჩიტიგით ჭამდა და ჩიტიგით სვამდა, მგონი ჩიტი იყო თვითონაც

ფიროსმანის იყო ჯიშის და ჯილაგის,

ეს კაცმაც იცოდა, ხვითომაც.

იზამდა – მსგავსს სხვა ვერ იზამდა;

იცვამდა – სხვის წესს არ იცავდა;

დალევდა – ზეცას ახედავდა;

იტყოდა – ქვასაც გახეთქავდა

ვერავინ იტყოდა ნიაზზე უკეთესად,

ვერავინ დაუკრავდა როიალზე,

ვერავინ ფიქრსაც ვერ გაბედავდა,

უფრო მოხდენილსა და შნოიანზე.

.....

მას თავის სიმღერე ფეხებზე ეკიდა,

მიტომ გაიხარჯა პაიპარად,
ჯიბეამოტრიალებული წავიდა ქვეყნიდან,
ჩვენი გახარებით გაიხარა

კაცთან კი არა, ხესთან ნახავდა ნიაზა საერთო ენას,
ოუ რამე დააკლო, თავისთავს დააკლო,
ისე კი მოგეცათ ლხენა.
წლისთავზე ერთმა ხისტვინამ ბრძანა:
ნიაზმა შეაწუხაო ქალაქი
ქაჯმა ქაჯური იცის შესანდობარიც,
სახეში გვესროლა ტალახი.
ავდექი, მის სიტყვას - სიტყვა შევაგებე,
წარსულზე არ ითქმის ძვირი
(ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოთ ბიჭებო,
არც როცა ყროფინობს ვირი)
ნიაზი თბილისს ისე უხდებოდა,
როგორც ნიავი დილის –
მე დავავიწყდები,
შენ დაავიწყდები,
ის არ დაავიწყდება თბილისს!"

(გიზო ნიშნიანიძე, პაემანი გერაზე, თბ. 1991, გვ.240-246)

ნიაზი მთელ საქართველოს უკარდა, მაგრამ მისდამი სიუკარულითა
და სითბოთი იმდენი ვატრიალეთ მისი სახელი, რომ ხუმრობა-ხუმრობაში
ნიაზის ნამდვილი პორტრეტი ცოტათი შემოგველახა, ხოლო როცა მის რეს-
ტავრაციას შევუდექით, ნ.დუმბაძის ქალიშვილის მანანა დუმბაძის
თქმით – „პროფესიონალი მხატვრისა და ნამდვილი ოსტატის ნაცვლად, პორ-
ტრეტი მდებავებს ჩავუგდეთ ხელში –ნიაზ დიასამიძე ანეკდოტებისა და სა-
ლალობო გამონათქვამების ხელოსნად ვაქციეთ და ბევრი ისეთი უკბილო
ხუმრობაც მივაწერეთ, ცხოვრებაში რომ არ იტყოდა.“

მილოცვები

2012 წელი საიუბილეოა **მზია ჯდარკავასათვისტის**, გენერალური გუბუშვილისა და დავით ხიტირისათვისტის. დიდი ხანი არაა, რაც მათ დაიწყეს მუშაობა სა-არქივო სამმართველოში, მაგრამ უმოკლეს დროში გაითავისეს საარქივო საქმიანობის სპეციფიკა და თვითსებურებები, წარმატებით აითვისეს საქმის წარმოებისა და დოკუმენტების დამუშავებასთან დაკავშირებული წესები, აქტიურად ჩაიტანა არქივის ცხოვრებაში. ვულოცავთ ჩვენს კოლეგებს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

2012 წელი საიუბილეო თარიღია აგრძელებული არქივისტების ელგუჯა ჩაგანავასა და მაია რურუსათვისტის. ისინი არქივში დიდი ხანია მუშაობენ. ამიტომ მათ შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

ელგუჯა ჩაგანავა – 60

არიან ადამიანები, რომელთა თავდადებული გარჯა, საქმის სიყვარული და ბუნებით მომადლებული ძველქართული შრომისმოყვარეობა მისაბამი და სამაგალითოა გარშემომყოფთათვის.



ერთ-ერთი მათგანია ელგუჯა ჩაგანავა, საარქივო სამართველოს აპარატის უფროსი, საქმის მცოდნე და პროფესიონალი არქივისტი. ელგუჯა ჩაგანავა დაიბადა ექვსი ათეული წლის წინათ, ბათუმში, ცნობილი არქივისტების გრიგოლ ჩაგანავასა და ლენა ზაქარეუშვილის ოჯახში. უჩვეულო თარიღს დაქმთხვა მისი დაბადება. 29 თებერვალი, თარიღი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ მეორდება. ამიტომაცაა, რომ ამ ოთხ წელიწადში ყოველი წელი ელგუჯა ჩაგანავასათვის საიუბილეო წელია.

ე. ჩაგანავა 7 წლის ასაკში მიუჯდა სკოლის მერხს. 1967 წელს დაასრულა ბათუმის N9 საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ხის დამამუშავებელ კომბინატში, ერთი წლის შემდეგ კი – 1968 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. პარალელურად მუშაობა დაიწყო აჭარის სახელმწიფო არქივში უმცროსი მეცნიერ-მუშავის თანამდებობაზე (1969-1970 წწ.), საიდანაც გაიწვიეს სამსედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ, 1973-1974 წწ. მუშაობდა სალიბაურის სკოლა-ინტერნატში მებაღუდეეკორატორად, მოგვიანებით, 1974-1975 წწ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში ბრიგადირის თანამდებობაზე აგრძელებს თვის საქმიანობას. 1975 წლიდან იგი უბრუნდება თავის პროფესიულ საქმიანობას და ხელვაჩაურის რაიონის სარფის კოლმეურნეობაში იწყებს მუშაობას აგრონომის, მთავარი აგრონომის, შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ასეთი შრომითი ბიოგრაფიის მიუხედავად, ელგუჯა ჩაგანავას იტაცებდა მშობლების პროფესია, აინტერესებდა დოკუმენტებთან მუშაობა, რამაც იგი აჭარის არ სახელმწიფო არქივამდე მიიყვანა. 1997 წ. იგი საარქივო დეპარტამენტის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურის დირექტორის, მთავარი სპეციალისტის, ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების უფროსის თანამდებობებზე. 2010 წლიდან ე. ჩაგანავა საარქივო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უფროსია. „საარქივო დარგის განვითარების საქმეში შეტანილი დამსახურებისათვის“ იგი დაჯილდოებულია დირსების ორდენით. მიღებული აქვს აგრეთვე მედალი „საზღვრის დაცვისათვის“.

საარქივო დაწესებულებაში მუშაობის პირველი დღიდანვე ე. ჩაგანავა აქტიურად ჩაერთო არქივის სამეცნიერო საქმიანობაში. მას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, ტურისტული ორგანიზაციების და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ე. ჩაგანავას ჰყავს შესანიშნავი ოჯახი - გულისხმიერი მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. ასე, რომ ხარობს ნერგი, რომელსაც გახმობა არ უწერია.

შესანიშნავი არქივისტი, მინდობილი საქმის უპირობო შემსრულებელი, შრომისმოყვარეობით გამორჩეული მოქალაქე არაჩვეულებრივია სუფრასთან. უზომოდ ღვინოს არ სვამს, მაგრამ იცის მამაპაპური ქეიფი და შექცევა, ცეკვა-სიმღერითა და იუმორით შეზავებული მოლენა.

ხანდახან იტყვიან - არქივისტებს, პოეტებისა არ იყოს, არ უყვართ ერთმანეთიო. ეს მოარული გამოთქმა ალბათ იმათი მოგონილია, ვისთვისაც არქივისტობა და პოეზია სახელის და გამოჩენის წყაროა მხოლოდ. ბათუმში ვერც ერთი არქივისტისაგან ერთმანეთის შესახებ ვერ გაიგონებ აუგს საარქივო სამართველოს შენობის მიღმა.

უკანმოუხედავად მირბიან წლები, მაგრამ რჩება საქმე, რომელსაც ასე ერთგულობს იუბილარი არქივისტი ელგუჯა ჩაგანავა. ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საარქივო სამმართველოს თანამშრომლები ულოცვენ ე. ჩაგანავას საიუბილეო თარიღს, უსურვებენ სიხარულს, ბედნიერებას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საარქივო დარგის შემდგომ განვითარებაში.

გაია რურუ-50

ადამიანი, მითუმეტეს დამსახურებული პიროვნება მის მიერ განვლილ გზას რომ გადახედავს, ახარებს ის ფაქტი, რომ ერთი დღეც არ უცხოვრია მოვალეობის მაღალი გრძნობისა და უდიდესი პასუხისმგებლობის გარეშე, როცა აცნობიერებს, რომ მასაც აქვს შეტანილი წვლილი ქვეყნის მშენებლობაში, მასაც მოუტანია სარგებელი თანამემამულეულისათვის, გაუთბია ადამიანთა გულები.



ერთ-ერთი ამათგანია - ღირსეული ქალბატონი, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი, საარქივო საქმის შესანიშნავი სპეციალისტი, საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის დაცვის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი მაია რურუა.

ცხოვრების სასახელო გზა განვლო მოსამსახურის ოჯახში 1962 წ. 4 მაისს დაბადებულმა ქალბატონმა. 1979 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის N 2 საშუალო სკოლა, 1981 წელს კი ჩაირიცხა საქართველოს ზოო-გეტერინალურ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში (დაუსწრებელ განყოფილებაზე) და აქაც ერთი უწყინარი, კეთილი, მოყვასის გამკითხავი, გულისხმიერი და ამავე დროს ცოდნისმოყვარე ადამიანის იმიჯი შეიქმნა. სწავლის პარალელურად პროფილის შესაბამისად მუშაობდა მეფრინგელეობის ფაბრიკის საინკუბაციო სამქროში, მოგვიანებით კი საბავშვო ბაღში – ძიძის საპატიო მოვალეობის შესრულებაზეც არ უთქვამს უარი.

1996 წ. მ. რურუამ თავისი შრომითი საქმიანობა აჭარის არ საარქივო დაწესებულებას დაუკავშირა. იგი დაინიშნა საარქივო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. მოგვიანებით მ. რურუა დაწინაურდა დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების I კატეგორიის არქივისტად. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს გამოავლინა საოცარი შრომისმოყვარეობა, საქმის სიყვარული და ალლო, რამაც განსაზღვრა ჯერ დაგეგმარებისა და საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგის, მოგვიანებით კი ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მისი დაწინაურება. გამოცდილმა არქივისტებმა მაშინვე შენიშნეს გულმოდგინე ახალგაზრდა ქალბატონის მოწადინება, უნარი და შესაძლებლობები. უცხო პროფესიულ გარემოში მყოფს არ გაჭირვებია ახალ საქმიანობასთან შეგუება, გაიჩინა უამრავი მეგობარი და კეთილის მსურველი, აქტიურად ჩაეხა საარქივო საქმიანობის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი საცნობარო, მეთოდურ თუ სამეცნიერო საქმიანობაში.

მის კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო სტატია, მეთოდური წერილი, მხატვრული ნარკვევი, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემებში. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი თანამშრომლობა საარქივო სამმართველოს პრიორულ გამოცემა - „ურნალ „არხევონთან“, სადაც მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა. მ. რურუას პიროვნების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მისი დამოკიდებულება დავაწლმოსილ არქივისტებთან. მან კარგად იცის, რომ „სიბერე ჩვენი მომავალია“, რომ დამსახურებულ ადამიანებს დაფასება სჭირდებათ. მას აწუხებს ვაჟასეული ტკივილი: „ოუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება“. ამიტომაც ითავა რუბრიკის „ამაგდარი არქივისტების“ ხელმძღვანელობა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენა მათი დვაწლი, დამსახურება და ამით კარგი მაგალითი მისცა მომავალ თაობასაც.

მ. რურუა აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო კონფერენციების

მუშაობაში, თემატური გეგმების შედგენაში, სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, არქივის გზამკვლევის შედგენასა და აჭარის საარქივო დაწესებულების ისტორიის საკითხების კვლევაში. ამიტომაც დაიმსახურა საქართველოს პრეზიდენტისა (2002 წ.). და საარქივო დაწესებულების ხელმძღვანელთა მადლობები

თავისი ცხოვრების მანძილზე თითოეულ ჩექნთაგანს ურთიერთობა გვაქვს უამრავ ადამიანთან, რომლებიც სხვადასხვაგვარად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მათ შორის თითზე ჩამოსათვლელია ისეთ ადამიანთა რიცხვი, ვინც “ვერ ახერხებს” უგულისყურობას, მოვალეობის სათანადო დონეზე შეუსრულებლობას. მ. რურუა ყოველთვის დიდი უურადღებით, სიზუსტით, სიყვარულით აკეთებს თავის საქონებელს. მის მიერ განვლილი გზა-დიდი გზაა. ეს გზა ეკლიანიც იყო და ვარდ ყვავილიანიც, მწარეც, ტკბილიც, სალხენიც და სამწუხაროც, მაგრამ ყოველთვის, სუფთა და გამჭვირვალე, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ამოსუთქვაზე პატიოსნებით ნათელცხებული, დიდსულოვანი, საქმიანი, აზრიანი. სწორედ ამის გამო უყვარს ყველას, ვისაც კი მასთან შეხვედრის ბედნიერება პქონია.

2012 წელი ჩექნი მაიასათვის საიუბილეო წელია. მას დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. სამი შვილის დედას და შვილიშვილის ბებიას, შესანიშნავ მეუღლეს, გამორჩეულ კოლეგასა და მეგობარს ვულოცავთ ცხოვრების შუაგულს, ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საარქივო საქმის შემდგომ განვითარებაში.

ახალი ფიგნები

ივანე ანდრონიკაშვილი

გათუმის ძალაშის თავი

ქართულ მუნიციპალურ მოღვაწეთა შორის ივანე ანდრონიკაშვილს გა-
მორჩიეული ადგილი უჭირავს. სწორედ მისი მოღვაწეობის შეფასებასა და
ანალიზს ეძღვნება პროფ. რამაზ სურმანიძის შესანიშნავი მონოგრაფია
„ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმის ქალაქის თავი”. ნაშრომში წარმოჩენი-
ლია ივანე ანდრონიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი ან
ნაკლებად ცნობილი მასალები, ანდრონიკაშვილის საგვარეულო ისტორიისა
და გენიალოგიის საკითხები. ნაშრომში წამოდგენილია აგრეთვე ივანე ან-
დრონიკაშვილის ორი მოგონება: „ჩემი აღსარება” და „რამდენიმე სიტყვა”.

გათუმი

ბათუმის ისტორიის საკითხებს ეძღვნება ნ. დაკიშევჩის 1890 წ. რუსულ
ენაზე გამოცემული წიგნის - „ბათუმი”-ს ქართული თარგმანი. წიგნი თარ-
გმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო პროფ. რამაზ სურმანიძემ.
ნაშრომი გამოვიდა სერიით - „აჭარა უცხოელთა თვალით”. მართალია და-
კიშევჩის ნაშრომი დიდი მეცნიერული ლიტერატურული არ გამოირჩევა და
ბევრი საკითხი იმპერიული პოლიტიკის გავლენით ტენდენციურადაა წარ-
მოდგენილი, მაგრამ იგი მაინც საინტერესო მკითხველი საზოგადოებისათ-
ვის, რადგან მასში საინტერესოდაა წარმოდგენილი უცხოელის თვალით
დანახული პატარა ბათუმი, მისი ისტორია, ფლორა, ფაუნა, ქალაქის საკუ-
რორტო და ტურისტული მომავალი.

ლუპა ასათიანი

ბათუმის მერიის მხარდაჭერით გამოიცა ცნობილი ქართველი მუნიცი-
პალური და საზოგადო მოღვაწის ლუკა ასათიანისადმი მიძღვნილი უაღრე-
სად საინტერესო წიგნი. წიგნის ავტორია ცნობილი პროფესორი რამაზ
სურმანიძე. ნაშრომში წარმოდგენილია ერის ინტერესების დაცვისათვის
თავდადებული მებრძოლის, იმპერიის სამსახურში მყოფი ჩინოვნიკის ლუკა
ასათიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ფურცლები, განხი-
ლულია ერის ჭირ-ვარამზე დაფიქსირებული პატრიოტის აზრები, განცდები,
განწყობილებები, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ილია ჭავჭა-
ვაძის ეროვნულ – განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ნაშორმი მკითხველთა უურადღებას იპყრობს სხვა თვალსაზრისითაც.
ავტორს ღრმად შეუსწავლია ასათიანთა გვარის ისტორია, რამაც შესაძ-
ლებლობა მისცა გამოეთქვა შეხედულება აჭარაში მცხოვრები ასათიანების
და ლუკა ასათიანის წინაპრების ნათესაური კავშირის შესახებ.

ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები

გამომცემლობა „უნივერსალი“-ს გრიფით გამოიცა ცნობილი პროფესორის რ. თოფჩიშვილის წიგნი „ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები“ (თბ. 2008 წ.). წიგნში მკითხველი გაეცნობა ქართველთა წარმომავლობის საკითხებს. ნაშორმში საინტერესოდაა განხილული ქართველთა ეთნონიმები, ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სახელწოდებები. ცალკე პარაგრაფი ეძღვნება იმ მიზეზებისა და ფაქტორების წარმოჩენას, რომელთა წყალობით მოხერხდა ქართული ეთნოსის შენარჩუნება და გადარჩენა.

ძართველ მთიალობა მუნიციპალიტეტის ისტორიიდან

ტრადიციული მენტალობის ფორმირების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რელიგიას. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ახალგაზრდა და პერსაექტიული მკვლევარის როზეტა გუჯეჯიანის უაღრესად საინტერესო გამოკვლევა „ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან“. ნაშრომში სამეცნიერო და სავალე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე წარმოდგენილია ქართველ მთიელთა მენტალობის უმთავრესი მახასიათებლები. მენტალობის საკითხის შესწავლა ქართული ეთნოლოგიისათვის დღემდე სრულიად უცნობი მიმართულება იყო. ამ თვალსაზრისით გზა პირველად რ. გუჯეჯიანმა გაკვალა და ძალზე საყურადღებო წიგნი მიაწოდა მკითხველს. მენტალობის პრობლემები მან წარმოადგინა სოციალური საკითხებისა და რელიგიური ყოფის ურთიერთგავლენის ფონზე და ხაზი გაუსვა ქრისტიანობის როლსა და მნიშვნელობას საერთო ქართული მენტალობის ფორმირებაში.

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“-ს გრიფით. მონოგრაფიის რედაქტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი, რეცენზენტები არიან მეცნიერებათ დოქტორები: ნ. მინდაძე და მ. ხიდაშელი.

ზვათაშე ნატგრებიდან პოუზია

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ახალგაზრდა პოეტის, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ხორჩ შემოქმედთა და ორგანიზაციის „კავკასიონის“ ლიტერატურული კლუბის წევრის, №2 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლის ნიკა ფუტკარაძის ლექსების კრებული „წვეთავს ნატვრებიდან პოეზია“. კრებულის ავტორი ასაკით ბავშვია, მაგრამ აზროვნებით მოწიფელი. მისი სულიერი პარამეტრები, იდეები, აზრები და განწყობილებები სრულიადაც არ შეესაბამება მის ასაკს. ნიკას სახით მკითხველის წინაშეა თვითნაბადი პოეტი, რომელიც „ფეხაკრეფით მიუყვება პოეზიის დიდ შარაგზას“.

შეთვებან აღასანია

გამორჩეული ადამიანების შრომამ და გარჯამ, მათმა ნიჭმა, ინტელექტურობამ, სამეცნიერო მოღვაწეობამ მოიტანა დღევანდელობა. დროის ცვალებადობის მიუხედავად ეს ადამიანები ქართველთა კოლექტიური ხასიათის განმასახიარებლები იყვნენ. ერთ- ერთი მათგანია ქეთვანი აღასანია, მეცნიერებითა კანდიდატი, როცენტი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (შემდგომში უნივერსიტეტი) ეწეოდა პედაგოგოურ და სამეცნიერო საქმიანობას. სწორედ მას ეძღვნება გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ დასტამბული პატარა კრებული. მასში წარმოდგენილი წერილები ნათლად წარმოაჩენს ამ დიდებული პედაგოგის ლვაწლსა და დამსახურებას სამსრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მშობლიური უნივერსიტეტის წინაშე.

აკმიდ მელაშვილი, ჩვენებურთა გელაძი

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ჩვენებურთა ეროვნული თვითშეგნების, ქართული ენისა და კულტურის გადარჩენისათვის თავდადებული მებრძოლის, საქართველოს სიუგარულში დაფერფლილი პატრიოტის ახმედ მელაშვილის გამოჩენა. სამწუხაროდ მისი ცხოვრების ბოლოც ილია-სავით ტრაგიკული აღმოჩნდა. სწორედ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება ცხობილი ქართველი უკრნალისტის გიორგი კალანდიას წიგნი „აკმედ მელაშვილი, ჩვენებურთა ბელადი“, რომელიც გამოიცა შპს „ჩვენებურები“-ს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და დიასპორის საკიონებების სახელმწიფო მინისტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საშუალებრ გამოცემა

მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდის მოვლენებს შორის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული სინამდვილეა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ათეული მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიიწირა. აჭარის არ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილი“-ს ეგიდით გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ გამოსცა მონოგრაფია „აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.)“ გამოჩენილი ისტორიკოსების აბელ სურგულაძის, სერგო ტაბადუას და სერგო დუმბაძის თანაავტორობით. წიგნში გამოქვეყნებულ მასალებს მკითხველი საზოგადოება იცნობდა ადრე ცალკე-ცალკე გამოქვეყნებული ნაშრომების სახით, რომლებიც ამ გამოცემაში ერთადაა წარმოდგენილი. მონოგრაფიაში საარქივო დოკუმენტების, პრესის, ეპისტოლარული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე გადმოცემულია აჭარის არ სამხედრო-თავდაცვითი, სამეურნეო – კულტურული და პატრიოტული საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გაანალიზებულია აჭარიდან წარგზავნილთა მონაწილეობა და თავდაცება ომის ფრონტზე; მოსახლეობის წვლილი ფაშიზმის დამარცხებაში, როგორც ფრონტზე, ასევე ზურგში.


Digitized by srujanika@gmail.com

2011 წლის პრიორიტეტების შესაბამისად, აქარის არ მთავრობის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით კაპიტალურად შეკეთდა საარქივო სამმართველოს შენობა. შესაბამისად, საარქივო დოკუმენტების უსაფრთხოდ შენახვის და დაცვისათვის, მოქალაქეთა უფრო მარტივი და კომუნიტული მომსახურებისათვის შეიქმნა შესაფერისი პირობები. გაიოლდა ინფორმაციის მოძიების სისტემა, საცავები და განყოფილებები აღიჭურვა თანამედროვე ავაჯით და კომპიუტერული ტექნიკით.



* * *

2012 წლის 24 იანვარს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-სა-არქივო სამმართველოს სტუმრობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიქ, მთავრობის აპარატის უფროსი ომარ მეგრელიძე, ქალაქის მერი რობერტ ჩხაიძე, ვიცე მერი დავით ლეპვეიშვილი. სტუმრებმა დაათვალიერეს განახლებული არქივის შენობა, საცავები, განყოფილებები, საკონფერენციო დარბაზი, არქივში დაცული უნიკალური დოკუმენტები. სა-არქივო სამმართველოს თანამშრომლებთან შეხვედრისას მთავრობის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა არქივისტებს ერის დოკუმენტური მეხსიერების - საარქივო დოკუმენტების მოვლა-შენახვისათვის, ხაზი გაუსვა დოკუმენტური წყაროების დაცვისა და უსაფრთხოების მნიშვნელობას, საარქივო ფონდების შევსება-გამდიდრებას უცხოეთის არქივებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტებით და აღუთქვა დახმარება საარქივო დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.



* * *

2012 წლის 22 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში გაიმართა ჟურნალ „არხეიონის“ I და II ნომრის პრეზენტაცია-განხილვა.

ღონისძიება გახსნა სამმართველოს უფროსმა ბატონმა თენგიზ ცინცქილაძემ. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა აჭარის არ მთავრობის აპარატის უფროსი ბატონი ომარ მეგრელიძე და სამმართველოს გადმოსცა მთავრობის თავმჯდომარის ბატონ ლევან ვარშალომიძის მოლოცვა.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებს ჟურნალ „არხეიონის“ გამოცემა მიულოცეს აგრეთვე: ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ აიდა აბუსერიძემ, ემერეტუსმა პროფესორმა, არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა ამირან კახიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პოეტმა დავით თეოდორაძემ, პოეტმა ვახტანგ დლონტმა და ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ნაზი ფუტკარაძემ. ჟურნალის მნიშვნელობისა და მეცნიერული ღირებულების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ: ნარგიზ ბასილაძე- საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, ქათევან იაკობაძე-სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პროფესორები: ბიჭიკო დიასამიძე, რამაზ სურმანიძე, მერაბ მეგერლიშვილი. მოეწყო საარქივო სამმართველოს სამეცნიერო გამოცემების გამოფენა.



* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში კვირეულის ფარგლებში ჩატარდა საბჭოთა ოკუპაციის 91-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.ღონისძიება გახსნა საარქივო სამმართველოს უფროსმა თენგიზ ცინცქილაძემ.

დამოუკიდებელი საქართველოსა და საბჭოთა ოკუპაციის შესახებ ისაუბრა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ქალბატონმა ნარგიზ ბასილაძემ. მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო გ. მაზნიაშვილის, ნ. უორდანიას, ნ. რამიშვილის, ამბროსი ხელაიას და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები, სახალხო გვარდიის, დამფუძნებელი კრების, ტაბახმელასთან დაღუპული იუნკერების, ეკლესიებიდან ჯვრის ჩამოსხინის ამსახველი ფოტოდოკუმენტები. დასასრულს ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „დამოუკიდებლობის 1005 დღე“.



* * *

2012 წლის 2 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველოში ჩატარდა არქივისტის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციის მონაწილებს არქივისტის პროფესიული დღესასწაული და დედის დღე მიუღოცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ მახარაძემ, საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილეებმა ნარგიზ ბასილაძემ და სანდრო ბერიძემ, პროფესორმა მერაბ მეგრელიშვილმა. მოსხენებით საარქივო დაწესებულების სათავეებთან, არქივისტის დღის, საარქივო სამმართველოში გაწეული მუშაობის, ვლადიმერ მკერვალიშვილის მოვაწეობის, სამეცნიერო კვლევა - ძიებაში ფოტო დოკუმენტების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს: მაია რურუამ, ეთერ ნათელაძემ, ნარგიზ ბასილაძემ, ნატო ქიქავამ, თამაზ ფუტკარაძემ, გუგული პატარიძემ. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ ამაგდარი არქივისტები: ლილი ოთიაშვილი, თალიკო შეყილაძე, ნანა კუჭაშვილი, რომლებსაც გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. მოეწყო აგრეთვე ფოტო და წერილობითი დოკუმენტების გამოფენა.



* * *

2012 წლის 23 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ენის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევარის ჯემალ იზეთის ქენდალის პირადი ფონდის მიმოხილვა. ღონისძიება გახსნა სამმართველოს უფროსმა თენგიზ ცინცქილაძემ. მოსხენებით ჯემალ

ნოღაიდელის პირადი ფონდის მიმოხილვის შესახებ, გამოვიდა საარქივო სამართველოს უფროსის მოადგილე ნარგიზ ბასილაძე. სიტყვით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს დაცვის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განვითარების უფროსი მაია რურუა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე, თინა შიოშვილი, ნოდარ კახიძე, აგრეთვე არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი, ქერეტუსი პროფესორი ამირან კახიძე და პოეტი ვახტანგ დლონტი. მოეწყო აგრეთვე ჯემალ ნოღაიდელის პირადი ფონდის გამოფენა.



* * *

2012 წლის 29 მარტს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მიერ ჩატარდა ექსკურსია - გაკვეთილი თემაზე: „გიორგი მაზნიაშვილი - ბრძოლები ბათუმისათვის“. ექსკურსია - გაკვეთილზე მოწვევლი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები. სტუდენტებს მიესალმა და მადლობა გადაუხადა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ქალბატონმა ნარგიზ ბასილაძემ. გაკვეთილის თემაზე ისაუბრა პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ფრიდონ ქარდავამ, ხოლო არქივში მეგზურობა გაუწია და არქივის ისტორიის შესახებ, მის ფუნქციებზე ესაუბრა სტუდენტებს ამავე განყოფილების უფროსმა ქალბატონმა მადონა ცხადაძემ.



მოეწყო აგრეთვე გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრების ამსახველი ფოტო გამოფენა და სლაიდშოუ.

* * *

2012 წლის 6 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქ- ვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება თემაზე: „საქართველოვანი შენ ვინ მოგცა შვილი დასა- კარგავი”. ღონისძიება გახსნა საარქივო სამმართველოს უფროსმა ბატონმა თენ- გიზ ცინცქილაძემ. მოკლე მიმოხილვა 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ გააკეთა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნარგიზ ბასილაძემ. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი.

მოეწყო აგრეთვე 9 აპრილის ამსახველი ფოტო გამოფენა.



* * *

2012 წლის 4 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა 6 მაისის- სადმი მიძღვნილი ძველი და განახლებული 6 მაისის სახელობის პარკის სუ- რათების გამოფენა. გამოფენა გახსნა სამმართველოს უფროსმა თენგიზ ცინ- ცქილაძემ. 6 მაისის სახელობის პარკის ისტორიის მოკლე მიმოხილვა გაა- კეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნარგიზ ბასილაძემ, სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პარკის დირექტორი ნატალია ზოიძე. მოეწყო აგრეთვე არ- ქივში დაცული 6 მაისის სახელობის პარკის ისტორიის ამსახველი დოკუ- მენტების, ფოტოების გამოფენა და სლაიდშოუ.



* * *


2012 წლის 8 მაისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზეც მოწვეული იყვნენ ამაგდარი არქივისტები, ომის ვეტერანები: სერგო ტაბადუა და ტოფია ფრანგიშვილი (ავადმყოფობის გამო ტოფია ფრანგიშვილმა ღონისძიებაზე მოსვლა ვერ შეძლო, ამიტომ საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ვეტერანი არქივისტი ოჯახში მონახულეს).

ომის ვეტერანებს მიესალმნენ და გამარჯვების დღე მიულოცეს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილებმა: ნარგიზ ბასილაძემ და რამინ ზოიძემ. სერგო ტაბადუამ გაისხენა ომის წლები, დამსწრე საზოგადოებას აჩვენა ბრძოლის ამსახველი ფოტოსურათები, მადლობა გადაიხადა მოწვევისა და დაფასებისათვის და საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად გადაიდო სამასსოვრო ფოტოსურათები. ღონისძიების ბოლოს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნარგიზ ბასილაძემ საარქივო სამმართველოს სახელით ვეტერანებს გადასცეს ფასიანი საჩუქარები.



* * *

2012 წლის 2 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოში ბინა დაიდო VII-XI უძველესმა ქართული ხელნაწერების ასლებმა, რომელთა დედანი დაცულია გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ამ ხელნაწერებიდან ყველაზე უფრო ძველია ხანმეტი ლექციონარი, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, თუმცა იგი მომდინარეობს V საუკუნის დედნიდან. სპეციალისტთა ინტერესს იწვევს მეორე ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს პალიფსესტს და თარიღდება X საუკუნით. სხვა დანარჩენი ხელნაწერები ("სიმონ სალოსოს ცხოვრება" "იაკობ მოციქულის ჟამისწირვა", "წესი განახლებისა" "ნაწყვეტები იოანეს სახარებიდან") აგრეთვე რელიგიური შინაარსისაა და თარიღდება X-XI საუკუნეებით. მეორე და მესამე ხელნაწერი დღემდე სპეციალურად არავის შეუსწავლია.



* * *

2012 წლის 24 მაისს ჩატარდა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო – ხულოს არქივში დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილი ექსკურსია – გაკვეთილი, სადაც მოწვევლი იყო დაბა ხულოს საჯარო სკოლის უფროსების დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი მოწვევლ სტუმრებს მიულოცა ხულოს არქივის უფროსმა თემურ ბერიძემ.

არქივის მთავარმა სპეციალისტებმა თინათინ ქონიაძემ და ლევან ბოლქვაძემ ისაუბრეს სახელმწიფო არქივის ისტორიის, მისი საქმიანობის შესახებ, მოსწავლეებს დათავლიერებინები არქივსაცავები. ღონისძიებას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ქალბატონი ხათუნა აბულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი რუსუდან ძირკვაძე, დაბა ხულოს საჯარო სკოლის დირექტორი ირინა ხოზრევანიძე, რომლებმაც მიულოცეს არქივის თანამშრომლებს და მოსწავლეებს 26 მაისი, დიდი კმაყოფილება გამოთქვეს ჩატარებული ღონისძიების შესახებ. დამსწრე საზოგადოებას დღესასწაული მიულოცა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ნარგიზ ბასილაძემ. დასასრულს ნაჩვენები იქნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სლაიდ შოუ.



* * *

2012 წლის 24 მაისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო შუახევის არქივში ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ექსკურსია - გაპვეთილი. მოწვევული იყო შუახევის დაბის საჯარო სკოლის უფროსკლასელები. 26 მაისი მიულოცა მოწვეულ სტუმრებს შუახევის არქივის უფროსმა თემურ დავითაძე. არქივის თანამშრომელმა მარინა გოგიტიძემ მოსწავლეებს ესაუბრა არქივების წარმოშობის, ძველი ხელნაწერი დოკუმენტების შენახვის როლსა და მნიშვნელობაზე, დაათვალიერებინა არქივსაცავები. სიტყვით გამოვიდნენ და 26 მაისი მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას შუახევის რესურსცენტრის უფროსი ბატონი ზაურ დავითაძე და საჯარო სკოლის დირექტორი შორენა კუერაძე. მათ კმაყოფილება გამოთქვეს არქივთან თანამშრომლობისა და ჩატარებული ღონისძიების შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები ილია დავითაძე და ზაზა დავითაძე. 26 მაისი მიულოცა და ექსკურსია-გაკვეთილი შეაჯამა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ქალბატონმა ნარგიზ ბასილაძემ. მოწვეულ აგრეთვე ფოტოდოკუმენტების გამოფენა, სადაც ასახული იყო შუახევის ძველი და ახალი არქივის სურათები. ბოლოს ნაჩვენები იყო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სლაიდშოუ.



* * *

2012 წლის 24 მაისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო ქედის არქივში ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ექსკურსია - გაპვეთილი. მოწვევული იყვნენ დავით გურამიშვილის სახელობის საჯარო სკოლის უფროსკლასელები. 26 მაისი - ქართველი ერის ზემი მოწვეულ სტუმრებს მიულოცა ქედის არქივის უფროსმა ბადრი შერგაშიძემ. პედაგოგმა მზია ვერდაძემ ისაუბრა 26 მაისის ისტორიულ მნიშვნელობაზე. არქივის მთავარი სპეციალისტები ირა ცინცაძე და შორენა ბაჯელიძე დამსწრე საზოგადოებას ესაუბრნენ არქივის ისტორიასა და მის საქმიანობაზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქედის მუნიციპალიტეტის აულტურის ცენტრის წარმომადგენელი მამული ზოიძე და რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი თენგიზგაოენაძე. ნაჩვენები იყო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სლაიდშოუ.



* * *

2012 წლის 25 მაისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის არქივში ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ექსკურსია-გაკვეთილი. მოწვეული იყო ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ოფის-მენეჯერისა და ტუროპერატორის სპეციალობის სტუდენტები. მისასალმებელი სიტყვით მოწვეულ სტუმრებს მიმართა ქობულეთის არქივის უფროსმა ნოდარ ზაქარიაძემ, მიულოცა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, გააცნოს გაზეთო სტატიებიდან საარქივო დოკუმენტები. არქივის თანამშრომლებმა მზია კეკეიშვილმა და ლია მუავანაძემ სტუდენტებს ესაუბრნენ არქივების წარმოშობის, ძველი ხელნაწერი დოკუმენტების შენახვის როლსა და საქმიანობაზე, ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენის მნიშვნელობაზე, 1991 წლის 26 მაისს გამოცემული საგაზეთო სტატიების შესახებ. სტუდენტებს დაათვალიერებინეს არქივსაცავები.



* * *

2012 წ. 25 მაისს საარქივო სამმართველოში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საზეიმო სხდომა გახსნა და ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა სამმართველოს უფროსი თენგიზ ცინცქლაძე. მოხსენებებით გამოვიდნენ: საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ნარგიზ ბასილაძე, ასოცირებული პროფესორი თამაზ ფუტკარაძე, საზოგადო მოღვაწე, მწერალი რამაზ სურმანიძე, მთავარი სპეციალისტი ნაზი ნაგერვაძე. მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი წერი-

ლობითი და ფოტოდოკუმენტების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის აქტი, დამფუძნებელი კრების, პირველი პრეზიდენტის, მთავრობის სხვა წარმომადგენლების პორტრეტები, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული სხვა წერილობითი და ფოტოდოკუმენტები. დასასრულს ნაჩვენები იქნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სლაიდშოუ.



განმარტება პრთი დასანაცი შეცდომის გამო

უკრნალ „არხეიონის“ 2011 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა სტატია „ერთიან ეთნოკულტურულ სივრცეში არაქართული კომუნიკაციური ველის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორები“, რომელშიც ვერსიების დონეზე გამოვთქმამთ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში, ზემო აჭარის ზოგიერთ სოფელში, რომელიც მთლიანად ეთნიკური ქართველებითა დასახლებული და სადაც საკომუნიკაციო სივრცის კველა სფერო (განათლება, კულტურა, საქმისწარმოება, მედია და ა.შ.) ქართულია, საოჯახო კომუნიკაციის ენის ფუნქციას ბოლო ათწლეულებამდე ქართულთან ერთად თურქულიც ასრულებდა. დაბეჭდვის დროს, სამწუხაროდ, გაიპარა დასანანი შეცდომა, კერძოდ, რატომდაც ამოვარდნილია სიტყვები: „ქართულთან ერთად“ და ციტირება დაბეჭდილია შემდეგი სახით: „...ამ სოფლებში საოჯახო ენის ფუნქციას დღემდე თურქული ასრულებს“, რის გამოც სავსებით სამართლიანად დავიმსახურეთ საყვედური.

საჯაროდ ვუხდით ბოდიშს ყველას, ვისაც აღნიშნულის გამო უნებლიერ ვატკინეთ გული.

ამასთან, კიდევ ერთხელ სრულიად გულწრფელად გვინდა ავდნიშნოთ, რომ ეს უნებლიერ შეცდომაა და არა შეგნებული ფორმულირება. თანაც ჩვენი ინტერესის სფეროა ზოგადად პრობლემის არსი და არა რომელიმე კონკრეტული სოფელი. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიშველიოთ ციტატა იმავე ოქმაზე გამოქვეყნებული კიდევ ერთი სტატიიდან: „ჩაკეტილი თემის ფენომენი და ენობრივი კომუნიკაციის ზოგიერთი თავისებურებანი“, (თ. ავალიანი, თ. ფუტკარაძე, თ. ცეცხლაძე) რომელიც დაბეჭდილია გაცილებით უფრო ადრე, 2012 წელს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მე-17 სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. „...აქ საოჯახო ენის ფუნქციას ქართულთან ერთად თურქულიც ასრულებს“ – ვწერ აღნიშნულ ნაშრომში (გვ.46).

ასე, რომ დასმული პრობლემისადმი კონკრეტული სოფლების მაგალითზე ხელმეორედ მიმდინებით აღნიშნული მოვლენის ახსნისადმი მეცნიერული ინტერესი გვამოძრავებდა და არა ვინმეს განაწყენების, მითუმეტეს ვინმესთვის გულის ტკენის სურვილი. გამოვთქვით ვერსიები, რომლებსაც უტყუარობის არანაირი პრეტენზია არ აქვს და რომელთა გაბათილებაც ნებისმიერს შეუძლია, ოდონდ არა ფაქტების უარყოფით, არამედ არგუმენტებით ან ვერსიების დონეზე მაინც.

ჩვენი ავტორები:

1. ოთარ გოგოლიშვილი – ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარიბონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე;
2. ნარგიზ ბასილაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქაეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე;
3. ელგუჯა ჩაგანაგა – საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსი;
4. მარინა პისკოვა – ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი);
5. ნური მურატოვა - ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი);
6. ქეთევან იაკობაძე – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. ციცი ცინცაძე – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთოან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
8. რამაზ სურმანიძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აჭარის არ უმაღლესი საპუოს დეპუტატი;
9. ბიჭიკო ლიასამიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ემერიტუსი;
10. თამაზ ფუტკარაძე-აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთოან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. მალხაზ ჩოხარაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. ნატო ქიქავა – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთოან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
13. ანასტასია პაშვა – ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი);
14. პიერ გოდენიჩაროვი – ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი);
15. გუგული პატარიძე- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
16. მაია რურუა – ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვის და სამეცნიერო - საცნობარო განყოფილების უფროსი;
17. მადონა ცხადაძე - საარქივო სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების და დიგიტალიზაციის განყოფილების უფროსი;
18. ფრიდონ ქარდაგა – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთოან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობებისა და პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

Our authors:

1. **Otar Gogoglishvili** – doctor of historical science, professor of Shota Rustaveli State University, deputy chief of Khariton Akhvlediani Museum of Local Lore;
2. **Nargiz Basiladze** – deputy chief of Sub-department of Ajara Autonomous Republic government - Archives Administration;
3. **Elguja Chaganava** – head of office of Ajara Archives Administration;
4. **Mariana Piskova** – professor of Neophite-Rilsky University (Blagoevgrad, Bulgaria)
5. **Nurie Muratova** - professor of Neophite-Rilsky University (Blagoevgrad, Bulgaria)
6. **Ketevan Iakobadze** – senior specialist of Archives administration;
7. **Tsitsi Tsintsadze** – Archives administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department;
8. **Ramaz Surmanidze** – MD, professor, deputy of Ajara AR Supreme Council;
9. **Bichiko Diasamidze** – professor of Shota Rustaveli State University;
10. **Tamaz Putkaradze** – doctor of historical science, professor of Shota Rustaveli State university, head of foreign, public, media relations and publication and utilization department;
11. **Malkhaz Chokharadze** - professor of Shota Rustaveli State University;
12. **Nato Kikava** – Archives administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department;
13. **Anastasia Pashova** – professor of Neophite-Rilsky University (Blagoevgrad, Bulgaria);
14. **Peter Vodenicharov** – professor of Neofit Rilski University (Blagoevgrad, Bulgaria);
15. **Guguli Pataridze** – Archives Administration, senior specialist of national archival fund's documents protection, information and utilization department;
16. **Maia Rurua** – Archives Administration, head of national archival fund's registration and scientific – informational department;
17. **Madona Tskhadadze** – Archives Administration, head of informational technology and digitalization department;
18. **Fridon Kardava**- Archives administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department.

ს პ რ ე ვ ა ზ ი

1. თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა – საარქივო სამმართველოს სათავეებთან	3
2. ქეთევან იაკობაძე, ციცი ცინცაძე – აფხაზები აჭარაში	10
3. ფრიდონ ქარდავა – ლაზების საკითხი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შემდგომ	16
4. მალხაზ ჩოხარაძე – საქართველოს გასაბჭოება და ბათუმის ოლქის საკითხი ოპოზიციურ პრესაში (1921 წ.)	26
5. თამაზ ფუტკარაძე – ქართული ხეროთმოძღვრების ნიმუშები ზღვისპირა ზოლის ლაზურ დასახლებებში	35
6. Anastasia Pashova, Peter Vodenicharov – the beginning of the collectivization of Land in Bulgaria (1946 – 1948)	42
7. Рамаз Сурманидзе – Педагог Батумской гимназии- великий учёный академик Николай Державин	47
8. Mariana Piskova, Nurie Muratova – the multimedia center of computer Archives studies, Digital archives, history of local self-government and teaching Archive studies in South-West University, Neophyte Rilsky”	52
9. ოთარ გოგოლიშვილი – ორი ერის სახელოვანი შვილი – დიდი ჰუმანისტი და განმანათლებელი - ანთომოზ ივერიელი	61
10. მაია რურუა – არქივისტთა პროფესიული დღესასწაულის ისტორიისათვის	70
11. ელგუჯა ჩაგანავა – საარქივო სამმართველოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	73
12. თამაზ ფუტკარაძე – სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა საარქივო სამმართველოში	78
13. გუგული პატარიძე – საარქივო სამმართველოში დაცული ფოტო – დოკუმენტების შემადგენლობა და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა	83
14. ნარგიზ ბასილაძე – ვლადიმერ მკერვალიშვილის ბიოგრაფიისათვის	89
15. მადონა ცხადაძე – იუსუფ კობალაძე – ქართული სცენის ჯადოქარი	91
16. საარქივო დოკუმენტები	96
17. ძველი პრესის ფურცლებიდან	108
18. გახსენება	114
19. მილოცვები	120
20. ახალი წიგნები	124
21. ქრონიკა	127
22. თემურ ავალიანი – ერთი დასანანი შეცდომის განმარტება	137
23. ჩვენი ავტორები	138



გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილი გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge